ილია აბულაძე

ძველი ქართული ენის ლექსიკონი
(მასალები)

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1973

499.962.1—3
ა 205

ლექსიკონში წარმოდგენილია 11 800-მდე სიტყვა ძველი ქართული ენის (V—XI სს.) 150-ზე მეტი ძეგლიდან. ყველა სიტყვა დოკუმენტირებულია სათანადო მასალით წყაროებიდან. ლექსიკონს უძღვის წინასიტყვაობა რედაქციისაგან და შემოკლებათა განმარტება. ეს ლექსიკონი დიდად საჭირო წიგნია ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის საკითხებზე მომუშავე ყველა სპეციალისტისათვის და ძვირფასი შენაძენია ქართული მეცნიერებისათვის.

ე. მეტრეველი

რედაქტორები:

ც. ძურციკიძე

7—1—5
113—70 ადგ.

წინასიტყვაობა

ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი პროფესორ ილია აბულაძის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომთაგანია, სწორედ ამ ლექსიკონის საბოლოო დახვეწაზე მუშაობის პროცესში მოუსწრო მას სიკვდილმა.

ძველი ქართული ენის ლექსიკონის უქონლობას თანაბრად გრძნობენ ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და არა ერთი სხვა დარგის სპეციალისტები. მიუხედავად ამისა, ამ ლექსიკონის დამუშავება დღემდე ვერ მოხერხდა.

სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ და ძველი ქართული მწერლობის ცალკეული ძეგლების გამოცემებზე დართული ლექსიკონები ქართული ენის შესწავლის თანამედროვე დონეზე მკვლევართა გაზრდილ მოთხოვნილებებს ყოველთვის ვერ აკმაყოფილებენ. ამდენად ძველი ქართული და ძველი სომხური ფილოლოგიის გამორჩენილი სპეციალისტის პროფ. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, რომელსაც ავტორი თითქმის მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მისთვის ჩვეული გულმოდგინებითა და სიყვარულით ადგენდა, დიდი შენაძენია ქართული მეცნიერებისათვის.

„ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ შეტანილია 11 800-მდე სიტყვა, ხოლო წყაროებად გამოყენებულია 150-ზე მეტი ძეგლი, უმთავრესად V—XI საუკუნეებისა, როგორც გამოქვეყნებული, ისე მხოლოდ ხელნაწერების სახით დაცული. ესენია: ძველი და ახალი აღთქმის ქართული თარგმანების ყველა არსებული რედაქცია, ქართული „მრავალთავები“ (კრებულები, რომელთაც შემოგვინახეს უძველესი ორიგინალური და ნათარგმნი აგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ძეგლები) IX—XI სს. ყველა ხელნაწერის მიხედვით; ისეთი შესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა „შატბერდის კრებული“, „იოანესა და ეფთვიმის ცხოვრება“, თვითონ ილ. აბულაძის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, „შუშანიკის წამება“, „მამათა სწავლანი“, „ლიმონარი“, „ბალავარიანის“ რედაქციები, ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲ“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“, პატერიკების უძველესი ხელნაწერები, ბასილი კესარიელის სწავლანი, აპოკრიფული ძეგლები და სხვა მრავალი.

თავდაპირველად ეს ლექსიკონი პროფ. ილია აბულაძეს გამიზნული ჰქონდა როგორც ქართულ-სომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი. ამ სახითვე შეადგინა მან ლექსიკონის პირველი ვარიანტი, რისთვისაც მოიპოვა უმდიდრესი მასალა V—XI საუკუნეების ქართულ-სომხური პარალელური ტექსტებიდან[1]. მაგრამ, გაითვალისწინა რა დიდი მოთხოვნილება ძველი ქართული ენის ლექსიკონზე, მან განიზრახა პირველ რიგში მისი მომზადება, რისთვისაც ავტორმა, ბუნებრივია, უკვე გამზადებულ ძველ ქართულ-ძველ სომხურ სალექსიკონო მასალას მიმართა, გამოიყენა იგი და შეავსო იმ ძეგლთა მასალით, რომელთა ლექსიკონებიც თვითონვე ჰქონდა ადრე შედგენილი, ამას დაუმატა ძველი ქართული მწერლობის ისეთი ძეგლებიც, რომელთა ლექსიკაც მკითხველისათვის ნაკლებად იყო ცნობილი. ამის გამოა,

---

[1] ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს განზრახული აქვს ახლო მომავალში ამ ლექსიკონის გამოქვეყნებაც.

რომ ლექსიკონში სრული ასახვა ვერ პოვა ძველი ქართული მწერლობის ისეთმა მნიშვნელოვანმა დარგებმა, როგორიცაა ორიგინალური აგიოგრაფია, ფილოსოფიური ლიტერატურა, საისტორიო მწერლობა.

ძველი ქართული ენის სრული ლექსიკონის შედგენა დიდი სამეცნიერო კოლექტივების საქმეა. წინამდებარე ლექსიკონი კი აგებულია ძველი ქართული მწერლობის მხოლოდ გარკვეული ძეგლების მასალაზე ავტორის სამეცნიერო ინტერესებისა და მიზნების გათვალისწინებით. ამიტომაა, რომ რედაქციამ მიზანშეწონილად მიიჩნია ამ დიდი და შესანიშნავი შრომისათვის ეწოდებინა „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)".

ლექსიკონი გადაწერილია ილია აბულაძის კალიგრაფიული ხელით 25 დავთარში (1502 გვერდზე), ტექნიკური რედაქციაც ძირითადად თვითონვე ჰქონდა გაკეთებული ავტორს. ლექსიკონში თანხმოვანფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვის ნიშანი გამოყოფილია; ხმოვანფუძიანი სახელები ფუძის ფორმითაა წარმოდგენილი. ზმნები გატანილია საწყისზე; იშვიათ შემთხვევებში—ძირზე. ენებითი გვარის მიმღეობები ძირითადად ზმნის პირიან ფორმებთანაა მიტანილი; თუ სიტყვა მხოლოდ ენებითი გვარის მიმღეობის სახით შეხვედრია ავტორს, სიტყვაში გაქვს კაებში აღდგენილი საწყისი (იხ. აბრიზება, აქმნა).

ერთი და იმავე ძირისაგან ნაწარმოები სიტყვების თავმოყრისა და მათი უკეთ დაძებნის მიზნით ლექსიკონში გამოყენებულია მითითებათა გარკვეული სისტემა. იგი ავტორს დამთავრებული არ ჰქონდა (გაკეთებული იყო ასო რ-მდე). მითითებები ავტორისეული პრინციპით გაკეთდა ბოლომდე, ოღონდ გამოცემისათვის რამდენადმე გამარტივდა.

ლექსიკონში განსამარტავი სიტყვა შავი კორპუსითაა აწყობილი, ხოლო სიტყვის განმარტება—თეთრი კორპუსით. ავტორისეულ განმარტებას ხშირად თან ახლავს წყაროსეული განმარტება, ან განსამარტავი სიტყვის შესატყვისი, რომელიც ავტორისეული განმარტებისაგან გასარჩევად ტეხილ (« ») კაებშია ჩასმული; ციტატები წყაროებიდან აწყობილია თეთრი პეტიტით; წყაროები შავი პეტიტით; ციტატებში განსამარტავი სიტყვა დაშლილი არის წარმოდგენილი. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იმავე წყაროდან ციტატები რამდენიმე განსხვავებული რედაქციით არის მოტანილი, მაშინ პირველთან მითითებულია რედაქციის აღმნიშვნელი ლიტერი, ხოლო მეორესთან—ლიტერთან ერთად წყარო. მაგ.: „მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თჳსსა" DE,—„მიცემად რჩებისა მათა ჟამსა" C, ფთ. 24,45. ერთი წყაროდან მოტანილი მასალა მეორე წყაროს მასალისაგან გამოყოფილია წერტილ-მძიმით. მაგ.: „რაჲთამცა სართულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ" ფთ. 8,8; „შჯობს ცხორებაჲ გლეხისაჲ სართულთა ქუეშე ძელისათა" O, ზირ. 29,29.

საჭირო შემთხვევაში საილუსტრაციო მასალას ავტორი ავსებს. ჩანართები ფრჩხილებშია ჩასმული.

ილია აბულაძის ლექსიკონის ღირსებას და მნიშვნელობას დიდად ზრდის განმარტებისათვის მოხმობილი დოკუმენტაცია წყაროს პარალელური რედაქციებიდან. ხშირად განსამარტავი სიტყვის მნიშვნელობა პარალელური რედაქციის სინონიმითაა დადგენილი. ლექსიკონში წარმოდგენილია მდიდარი მასალა ძველი ქართული სინონიმური ლექსიკონისათვის.

ვინაიდან განსამარტავი სიტყვის დოკუმენტაციისათვის ავტორი ჩვეულებრივ მასალას მრავალი წყაროდან იმოწმებს (წყაროთა რიცხვი რიგ შემთხვევაში 10—15 დასახელებას აღწევს), ხოლო თითოეული წყარო უმეტესად რამდენიმე რედაქციითაა წარმოდგენილი, ამიტომ განმარტების გვერდით ხშირად თავს იყრის ტეხილ კაებში ჩაწერილი რამდენიმე სიტყვა (იხ. მწუხარება, შჯნის-თაობა, ნათესავი, ნამეტავი და სხვ.). მათგან ზოგი განსამარტავი სიტყვის სინონიმია, ზოგი—შესატყვისი. განსამარტავ სიტყვასთან შინაარსობრივად მონათესავე ეს სიტყვები, სხვადასხვა კონტექსტით მოწოდებული, ხშირად საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სიტყვის შინაარსის ნიუანსები. მაგრამ ზოგჯერ ტეხილ კაებში ჩაწერილი სიტყვები შინაარსობრივად შეტ-ნაკლებად არის დაცილებული განსამარტავი სიტყვის ძირითად

მნიშვნელობას (იხ. მაგ.: ასის-თავი, რომლის ერთ-ერთ შესატყვისად წყაროდან მოტანილია მტარვალი; ლმობა—ტირილი; მამაკაცი—გმირი და სხვ.). ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ავტორი მათ განსამარტავი სიტყვის სინონიმად ან შესატყვისად მიიჩნევს. სხვადასხვა წყაროების რედაქციებიდან მოტანილი შესატყვისები განსამარტავი სიტყვის შინაარსთან სიახლოვის თვალსაზრისით ავტორს დიფერენცირებული არა აქვს. ის ცდილობს არ დაკარგოს პარალელურ ტექსტებში წარმოდგენილი არც ერთი ერთეული.

სიტყვათა მნიშვნელობის დადგენას ხელი შეუწყო სომხური პარალელური ტექსტების მომარჯვებამაც. ქართულ თარგმანთა პარალელური რედაქციებისა და ქართულ-სომხური თარგმანებიდან მოხერხებულად შერჩეული დოკუმენტაციის წყალობით ავტორისეულ ბევრ განმარტებას დამოუკიდებელი გამოკვლევის ღირებულება აქვს.

პროფ. ილია აბულაძეს ძირითადად დასრულებული ჰქონდა ქართულ ლექსიკონზე მუშაობა, მაგრამ მას რომ დასცლოდა, ამ დიდ შრომას, რომელსაც ის მრავალი წლის მანძილზე ამზადებდა, რა თქმა უნდა, არაერთგზის დაუბრუნდებოდა და ნებსით თუ უნებლიე შეცდომებს გაასწორებდა. ტექსტის სწორებას რედაქცია დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა. გასწორდა მხოლოდ აშკარა შეცდომა და ლაფსუსი.

ზოგი რამ ვერ გასწორდა: ვერ მოხერხდა იმ წყაროს მიგნება, რომელიც თვითონ ავტორს x-ით აქვს აღნიშნული. გარდა ამისა, გაუშიფრავი დარჩა შემდეგი წყაროები: ხ. ს. (სიტყვებთან: კარაული, კასტელი, კბილღრჭენა და სხვ.); ბარლ., ბრ. (აღმოტყინება, ვერ-მიახლება, დამადნობელი); მარკ. (აღმობრწყინ(ვ)ება, აღსუბუქება).

ერთი და იგივე წყარო ავტორს ზოგჯერ სხვადასხვაგვარად აქვს შემოკლებული. გამოცემაში ჩვენ ამ მხრივ ერთგვაროვნობა ვერ დავიცავით, რადგან ეს ავტორისეულ ტექსტში დიდი ცვლილებების შეტანას მოითხოვდა.

განმარტებები ზოგჯერ იწვევს შენიშვნებს (იხ. განხერხული, რიყურაჟუ, რორინება და სხვა).

არის შემთხვევები, როდესაც მოტანილია მხოლოდ განსამარტავი სიტყვა, განმარტება და წყარო კი მიწერილი არ არის (იხ. აგანდაგირი); ან პირიქით: მოტანილია წყარო, ციტატი კი არა; წყარო მითითებულია, გვერდი კი არა; წყარო ფანქრითაა მიწერილი, ციტატისათვის კი თავისუფალი ადგილია დატოვებული.

რიგ შემთხვევაში წყარო დაზუსტებას მოითხოვს (იხ. ალქატი, დამოცკვნება...)

არის შემთხვევები, როცა ერთი სიტყვა ორი ფონეტიკური ვარიანტითაა განსამარტავად გატანილი, დამოწმებულ წყაროში კი მხოლოდ ერთ-ერთი დასტურდება (იხ. ანგაჰრი, ანგაჰარი; ანგელოზთ-მთავარი, ანგელოსთ-მთავარი და სხვ.).

შემოწმდა ყველა ნაბეჭდი წყარო, ხოლო დამოწმებული ხელნაწერებიდან მხოლოდ დაბადების ტექსტები, რისთვისაც ვსარგებლობდით ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფის მიერ ყველა ხელნაწერის მიხედვით გამართული ტექსტებით. დანარჩენი ხელნაწერი წყაროებიდან ციტატების შემოწმება ტექნიკურად შეუძლებელი აღმოჩნდა.

დედანს ბევრ ადგილას აკლდა წყაროთა რედაქციების ლიტერები. ამ თვალსაზრისითაც დედანი შეივსო, რამდენადაც შესაძლებელი იყო.

რაკი ქართული ბიბლიური ტექსტები ხელნაწერებში დამუხლული არ არის, ამიტომ ტექსტებზე მითითებისათვის პროფ. ილ. აბულაძე სარგებლობდა 1805 წლის სომხური გამოცემით.

მცენარეთა, ცხოველთა და მინერალების სახელწოდებათა ლათინური შესატყვისები ავტორს მოჰყავს 1836 წლის სომხური განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით.

* * *

ლექსიკონი გამოსაცემად მომზადდა ილია აბულაძის სახელობის კაბინეტში ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლების ც. ქურციკიძის, ლ. ათანელიშვილისა და ც. ჭანკიევის მიერ ც. ქურციკიძის ხელმძღვანელობით. ც. ქურციკიძესვე ეკუთვნის „შემოკლებათა განმარტება". წყაროების შემოწმებაზე მუშაობდნენ ხელნაწერთა ინსტიტუტის ლაბორანტები ნ. ნატრაძე, მ. კვაჭაძე, ნ. იაშვილი.

რედაქცია დიდ მადლობას უხდის მეცნიერებათა აკადემიის სტამბის ასოთამწყობს ნ. ბეროშვილს, რომელმაც ლექსიკონი თავიდან ბოლომდე დიდი გულისყურითა და მონდომებით აწყო.

შემოკლებათა განმარტება

აბდ.; **აბდია** იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ადამ.—საკითხავი ადამ და ევაჲსი სამოთხით გამოსლვისაჲ: ციალა ქურციკიძე, ადამის აპოკრიფული ცხოვრების ქართული ვერსია, ფილოლოგიური ძიებანი, I, თბ. 1964, გვ. 97—136.

ათ. ალექს.-ანტ. დ.; **ანტ. დ.**—ათანასე ალექსანდრიელი, ჴსენებაჲ წმიდისა ანტონისი: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—1109 ხელნაწერი, 19r—36r.

ათ. მრთ.—ათონური მრავალთავი: ათონის ივერიის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N 57 ხელნაწერი.

აწმ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

აწოს იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ანან. ებრ.—საკითხავი ენებისათჳს და სიკუდილისა, მოსაჴსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქუმული ანანია ებრაელისაჲ: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—70 ხელნაწერი, 304v—314v.

ანან.; **ანან. ებრ.**— საკითხავი ენებისათჳს და სიკუდილისა, მოსაჴსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქუმული ანანია ებრაელისაჲ: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—71 ხელნაწერი, 21r—45v.

ანან.; **ანან. ებრ.**—საკითხავი ენებისათჳს და სიკუდილისა, მოსაჴსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქუმული ანანია ებრაელისაჲ, დასისაგან შჯულის მეცნიერისა: ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახ. კაბინეტმა, თბ., 1947, გვ. 193—199.

ანგ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ანდ.—ანდერძი.

ანდ.-ანატ.—წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ ანდრიანჱსი და ცოლისა მისისა ანატოლჱსი და მათ თანა მოწამეთაჲ, რომელნი ნიკომიდია ქალაქსა იწამნეს: ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, VI. მარტჳლობაჲ ანდრიანჱსი და ანატოლჱსი, ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965, გვ. 171—236.

აპკ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

არეთ. წამ.—წამებაჲ წმიდისა არეთაჲსი და კრებულისა მისისაჲ ნეგრა ქალაქსა ომერიტელთასა: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 719—766.

ატმ.—წამებაჲ წმიდისა ატომისი და ძისა მისისაჲ და მოყუასთა მისთაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 95—113.

ანტ. დ. იხ. ათ. ალექს.-ანტ. დ.

არსტ.—წამებაჲ წმიდათა მღდელთ-მოძღუართაჲ სომხითისათა არისტაკჱსი, ორთანჱსი, ოსკისი, გრიგორისი, დანიელისი: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 62—68.

ბაბ.—წამებაჲ წმიდისა ბაბილაჲსი და სამთა ყრმათა მოწაფეთა მისთაჲ: კიმენი, ტ. I, ქ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფ., 1918, გვ. 44—47.

ბალ.—ცხორებაჲ ნეტარისა იოდასაფისი, ძისა აბენეს ჰინდოთა მეფისაჲ, რომელი მოაქცია ნეტარმან მამამან ბალაჰვარ მოძღუარმან: ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1957.

ბარ.; **ბარუქ** იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ბას. კეს.-ეჭუს. დღ.—ბასილი კესარიელი, ეჭუსთა დღეთაჲ: უძველესი რედაქციები ბასილი

კესარიელის „ეჭუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“ X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1964. გვ. 29—135.

ბიბლია

ძველი აღთქმა:

G—გელათის ბიბლია, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ. A—1108 და Q—1152 ხელნაწერები.
I—იერუსალიმის ბიბლია, იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N 7/11 ხელნაწერები.
M—მცხეთის ბიბლია, ხელნაწ. ინსტ. A—51 ხელნაწერი.
O—ოშკის ბიბლია, ათონის ივერიის მონასტრის ქართული კოლექციის N 1 ხელნაწერი.
pb.—ბაქარის ბიბლია, ქართული ბიბლიის 1743 წლის მოსკოვის გამოცემა.

დაბ.—წიგნი დაბადებისაჲ.
გამოსლ.—წიგნი გამოსლვათაჲ.
ლევიტ.—წიგნი ლევიტელთაჲ.
რიცხ.—წიგნი რიცხუთაჲ.
II შჯ.—წიგნი მეორე შჯულისა.
ისუ ნ.—წიგნი ისუ ნავესი.
მსჯ.—წიგნი მსაჯულთა.
რუთ—წიგნი რუთისი.
I მფ.—წიგნი პირველი მეფეთაჲ.
II მფ.—წიგნი მეორე მეფეთაჲ.
III მფ.—წიგნი მესამე მეფეთაჲ.
IV მფ.—წიგნი მეოთხე მეფეთაჲ.
I ნშტ.—წიგნი პირველი ნეშტთაჲ.
II ნშტ.—წიგნი მეორე ნეშტთაჲ.
I ეზრა—წიგნი პირველი ეზრისი (წიგნი ეზრა ზორობაბელისი, არაკანონიკური).
II ეზრა—წიგნი მეორე ეზრასი (კანონიკური ეზრა).
ნეემია—წიგნი ნეემიაჲსი.
III ეზრა—წიგნი მესამე ეზრასი (=წიგნი ეზრა სუთიელი).
ტობ.—წიგნი ტობისი.
იუდ.—წიგნი იუდითისი.
ესთ.—წიგნი ესთერისი.
იობ—წიგნი იობისი.
ფს.—ფსალმუნნი: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზექალა შანიძემ, თბილისი, 1960.
იგ.; იგ. სოლ.—იგავნი სოლომონისნი.
ეკლ., ეკლეს.—ეკლესიასტე.
სიბრძ. სოლ.—სიბრძნე სოლომონისი.
ქება—ქებაჲ ქებათაჲ.
ზირ.—სიბრძნე ისუ ზირაქისი.
ეს.—წინაწარმეტყუელებაჲ ესაიაჲსი.
იერემ.—წინაწარმეტყუელებაჲ იერემიაჲსი.
გოდ. იერემ.—გოდებაჲ იერემიაჲსი.
ბარ., ბარუქ—წიგნი ბარუქისი.
ეზეკ.—წინაწარმეტყუელებაჲ ეზეკიელისი.
დან.—წინაწარმეტყუელებაჲ დანიელისი.
მალ.—წინაწარმეტყუელებაჲ მალაქიაჲსი.
ზაქ.—წინაწარმეტყუელებაჲ ზაქარიაჲსი.

ანგ.—წინაწარმეტყუელებაჲ ანგეაჲსი.
სოფონ.—წინაწარმეტყუელებაჲ სოფონიაჲსი.
ამბ.—წინაწარმეტყუელებაჲ ამბაკუმისი.
ნაუმ—წინაწარმეტყუელებაჲ ნაუმისი.
მიქ.—წინაწარმეტყუელებაჲ მიქიაჲსი.
იონა—წინაწარმეტყუელებაჲ იონაჲსი.
აბდ; აბდია—წინაწარმეტყუელებაჲ აბდიაჲსი.
ამოს—წინაწარმეტყუელებაჲ ამოსისი.
იოვ.; იოველ—წინაწარმეტყუელებაჲ იოელისი.
ოსე, ოსე—წინაწარმეტყუელებაჲ ოსესი.

ახალი აღთქმა:

ოთხთავი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945.
მთ.—სახარებაჲ მათჱსი, გვ. 1—109.
მრ.—სახარებაჲ მარკოზისი, გვ. 110—178.
ლ.—სახარებაჲ ლუკაჲსი, გვ. 179—293.
ი.—სახარებაჲ იოვანჱსი, გვ. 294—380.

საქმე მოციქულთა: საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1950.
საქ. მოც.; ს. მოც.—საქმჱ წმიდათა მოციქულთაჲ.

კათოლიკე ეპისტოლენი: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X—XIV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1956.
იაკ.—იაკობისი კათოლიკჱ, გვ. 011—016.
II პეტრე—პეტრესი სამოციქულოჲ, გვ. 024—027.
I ი.; I. იოვ.—იოვანე მოციქულისა წიგნი კათოლიკე (პირველი), გვ. 028—033.
იუდა—იუდაჲსი წიგნი, 036—037.
თავნი იაკ. ეპ.; იაკობ ეპ.—თავნი იაკობ მოციქულისა კათოლიკისანი, გვ. 37—39.
I პეტრე თავნი—პეტრე მოციქულისა პირველი წიგნი კათოლიკე, გვ. 54—66.
უწყ. II ეპ. პეტრ.; II პეტრე (უწყ.)—უწყებაჲ მიზეზსა პეტრეს მეორისა კათოლიკისასა, გვ. 66—67.
უწყ. ეპ. ი.; უწყ. ი. ეპ.—უწყებაჲ მიზეზსა იოვანეს პირველისა კათოლიკისასა, გვ. 76—78.
I ეპ. ი.—იოვანე მოციქულისა წიგნი კათოლიკე, გვ. 80—91.
III ი. (უწყ.)—უწყებაჲ მიზეზსა იოვანეს მესამისა კათოლიკისასა, გვ. 95.
III ი. თავნი—თავნი იოვანეს მესამისა კათოლიკისანი, გვ. 95.
III იოვ.—იოვანე მოციქულისა მესამე კათოლიკე, გვ. 96—97.
იუდა (უწყ.)—უწყებაჲ მიზეზსა იუდა მოციქულისა კათოლიკისასა, გვ. 98.
ეპ. იუდ. თავნი; იუდ. (თავნი)—თავნი იუდაჲს კათოლიკისანი, გვ. 99.

ეპისტოლენი პავლესნი:
ჰრომ.—რომაელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი.
I კორ.—კორინთელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი.
II კორ.—კორინთელთა მიმართ... ეპისტოლე პავლესი.
გალ.; გალატ.—გალატელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი.
ეფეს.—ეფესელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი.
ფლპ.—ფილიპელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი.
კოლ.—კოლასელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი.
I თეს.—თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი პირველი.

II თეს.—თესალონიკელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი მეორე.
I ტიმ.—ტიმოთეს მიმართ ეპისტოლე... პავლესი პირველი.
II ტიმ.—ტიმოთეს მიმართ ეპისტოლე... პავლესი მეორე.
ტიტ.—ტიტეს მიმართ ეპისტოლე... პავლესი.
ფილიმ.—ფილიმონის მიმართ ეპისტოლე... პავლესი.
ებრ.—ებრაელთა მიმართ ეპისტოლე... პავლესი.

გამოცხადებაჲ იოვანესი: იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით. ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ., 1961.

აპკ.—აპოკალიფსისი, გამოცხადებაჲ იოვანესი.

ბ. კეს.-მარხ.; ბახ. კეს.-მარხ.—საკითხავნი წმიდათა მარხვათანი, თქუმული წმიდისა და ნეტარისა ბასილი მთავარეპისკოპოსისაჲ კაბადოკიელისაჲ, მარხვისათჳს დღესა აღებასა: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—1109 ხელნაწერი, გვ. 51v—64r.

ბ. კეს.-ხბსტ.; ბ. კეს.-40 სბსტ.; ბ. კეს.-40-თჳს; ბახ. კეს-ორმეოც.; ბახ. კეს.-40 სბსტ.—თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისა კესარია კაბადუკიელისაჲ, ჴსენებასა წმიდათა ორმეოცთა მოწამეთასა: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 115—123.

გაბ. იხ. ს. გაბ.-დაჯდ.

გაბ. იხ. ს. გაბ.-მოც. საჴს.

გალ.; გალატ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

გამოსლ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

გამოჩ. ჯუარ.; ჯუარ.; ჯუართა გამოჩ.; ჯუარ. გამოჩ.; გამოცხ. ჯუართა; ჯუარ. გამოცხ.—გამოჩინებაჲ ჯუარისაჲ, რომელი გამოუჩნდა კოსტანტინე მეფესა მდინარესა ზედა დანუბსა, რომლისა მიერცა მოიძია პატიოსანი ძელი ჯუარისაჲ წმიდასა ქალაქსა იერუსალემს: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 237—243.

განს. ი.; განს. იოან.—განსუენებაჲ იოვანჱსი, მოციქულისაჲ და მახარებელისაჲ; კიმენი, ტ. I, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფ., 1918, გვ. 198—201.

გ[ა]ი—წამებაჲ წმიდისა გიორგისი, რომელი აღწერა და თანა-დახუდა ყოველსა სიმჴნესა მისსა მოწაფემ წმიდისა გიორგისი ბასიქარტოს: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—1708 ხელნაწერი, 75r—77v.

გიორგ.—წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი: ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N 57 ხელნაწერი, გვ. 257v—266r.

გოდ. იერემ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

გრ. ანძ.-შობ.; გრ. ნაზ.—საკითხავი, თქუმული წმიდისა გრიგოლი ანძიანძორეველისა ეპისკოპოსისაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა: ილია აბულაძე, „მრავალთავი", ენიმკის მოამბე, ტ. XIV, 293—301.

გრ. ნაზ. იხ. გრ. ანძ.-შობ.

გრ. ნაზ.-ნათლღ. — თქუმული წმიდისა გრიგოლი ანძიანძორეველ ებისკოპოსისაჲ ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—19 ხელნაწერი, გვ. 360—369.

გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისათჳს; გრ. ნოს.; გრ. ნოს.-კაც. აგებ.—თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ ებისკოპოსისაჲ კაცისა შესაქმისათჳს...: უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს", X—XIII სს.-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1964, 139—230.

დაბ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

დავ.; დ.დ.—წამებაჲ წმიდისა დავითისი, რომელი აღესრულა დვინს ჴელმარიტითა სარწმუნოებითა ქრისტჱს მიერ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში. თბ., 1944, გვ. 124—132.

დან. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

დ.დ. იხ. დავ.

დიონ.—ცხორებაჲ დიონოსიოსისი ეპისკოპოსისაჲ, რომელი იყო ძჳ სოკრატისი და მთავარი ათენელთაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 133—147.

ეზეკ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

I ეზრა იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

II ეზრა იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

III ეზრა იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ე. კეს. ხაეკლ. უწყ.; ხაეკლ. უწყ.—საჴსენებელსა წმიდისა სერგისსა, თქუმული წმიდისა ევსები ეპისკოპოსისაჲ ჟამთა-მწერლისაჲ საეკლესიოჲსაგან უწყებისა, ქებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ: ქ. ქეყელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—95 ხელნაწერი, გვ. 1217—1222.

ეკლ. ეკლეს. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

I ეპ. ი. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ეპ. იუდ. თაჳნი იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ეპ. კჳპრ.-დაფლ.—თქუმული... ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსისაჲ საღმრთოთა ჴორცთა... ი᷾ ქ᷾ს᷾თა დაფლჳისათჳს...: იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N 4 ხელნაწერი, გვ. 92v—100v.

ეპ. კჳპრ.-ფსალ. თარგ.—ეპიფანე კჳპრელ ეპისკოპოსი, თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 148—175.

ეფეს. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ეს. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ესთ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ვარ.—წამებაჲ წმიდისა ვაროზისი: ქ. ქეყელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 802—824.

ვრდ.—წამებაჲ წმიდისა ვარდანისი და ძმათა მისთაჲ...: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 85—94.

ზაქ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ზ. ზ.—ზმნიზედა.

ზ. ს.—ზედსართაჲი სახელი.

ზირ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

თაჳნი იაკ. ეპ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

თ᷾ე—ცხორებაჲ წმიდისა თეოდორესი: ქ. ქეყელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 551—554.

თევდ.; თეოდ.—მარხვათა პირველსა კჳრიაკესა, დღესა შაბათსა, საჴსენებელი წმიდისა და ღუაწლით შემოსილისა თ᷾ესი (თეოდორესი), ეჳჭიტელ ახლად სტრატიოტად მოყვანებულისა, ცხოერებაჲ და სიმჴნე მისი: Материалы по грузинской агиологии, по рукописям X века, с предисловием издал А. Хаханов, Москва, 1910, გვ. 1—9.

თევდრ.; თევდრ. Q—240—წამება წმიდისა გიორგისი (და თევდორესი): ქ. ქეყელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Q—240 ხელნაწერი, 1v—49v.

თეკ.; თეკლა—წამებაჲ წმიდისა თეკლაჲსი: ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები. „მრავალთაჳის" ზოგიერთი თაჳის წყარო, III: ენიმკის მოამბე, ტ. VIII, გვ. 91—124.

თეოდ. სტრ., საკ. წიგნ. II—ჴსენებაჲ წმიდისა თევდორესი და წამებაჲ მის᷾ი: საკითხაჲი წიგნი ძველ ქართულ ენაში, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, II, თბ., 1966, გვ. 41—45.

თეოდრ.—წამებაჲ წმიდისა თეოდორჱსი ეჳსაიტელისაჲ...: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 554—559.

I თეს. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

II თეს. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

თნდ.—თანდებული.

თომა; თომა მოც.—წამებაჲ წმიდისა თომა მოციქულისაჲ ჰინდოეთს: ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1959. გვ. 14—20.

ი. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

I ი.; I იოვ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

იაკ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

იაკობ ეპ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

იგ.; იგ. სოლ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ი.-ჳ.—ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი...: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა; გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, თბ., 1946.

იერემ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ივდ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ივლიან. წამ.—მარტჳლობაჲ წმიდისა იულიანესი: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 824—831.

იზბ. იზტ.—წამებაჲ წმიდისა იზიდბოზიდისი: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 114—123.

III ი. თავნი იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

III ი. (უწყ.) იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ი. მოც.—საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყუელისანი და პროხორე მოწაფისა მისისანი; ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1959, გვ. 55—91.

იოან იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

იოვ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

III იოვ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

იონა იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ი. ოქრ.-სასუმლ.—საკითხავი თქუმული წმიდისა ბასილი მთავარეპისკოპოსისაჲ კესარია კაბადოკიელისაჲ ამისთჳს, მამაო, უკუეთუ ჯერ-არს, თანა-წარმჴედინ სასუმელი: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—144 ხელნაწერი, გვ. 40—49.

ი. ოქრ.-პეტრე და ელია; ოქრ.-პეტრე და ელია; პეტრე და ელია—თთუესა ივნისსა ქ"დ პეტრე მოციქულისაჲ და თთუესა ოცისსა ელია და ელისესი წინაწარმეტყუელთაჲ... საკითხავი თქუმული იოვანე ოქროპირისაჲ: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—144 ხელნაწერი, გვ. 311—328.

იპ. რომ.-კურთხ. ისააკ და იაკობ; იპოლიტე რომაელი-კურთხ. ისაკ და იაკ.; კურთხ. იხ.-იაკ—წმიდისა იპოლიტეს თქუმული კურთხევათა მათთჳს იაკობისთა, ვითარ-იგი ათორმეტნი ნახეპტნი აკურთხნა: R. Graffin, Patrologia Orientalis, t. XXVII, Fasc. 1 et 2, Paris, 1954, გვ. 3—115.

იპ. რომ.-კურთხ. მოს.; იპ. რომ.-მოს.; კურთხ. მოს.; კურთხ. მოსესი—იპოლიტეს განმარტებაჲ კურთხევათა მათთჳს მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა: R. Graffin, Patrologia Orientalis, t. XXVII, Fasc. 1 et 2, Paris 1954, გვ. 116—199.

იპ. რომ.-ქრონ.—იპოლიტე რომაელი, ქრონიკონი: ილია აბულაძე, იპოლიტე რომაელის ქრონიკონის ძველი ქართული ვერსია, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961, გვ. 223—243.

იუდა იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

იუდა (უწყ.) იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

იუდ. (თავნი) იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ი. ურშ.; Brt.—ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა იოვანე ურაჰაელისა კათალიკოზისაჲ: ბრიტანეთის მუზეუმის Add. 11281 ხელნაწერი, გვ. 274v—285v.

იხუ ნ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

კავშ.—კავშირი.

კ. იერ. აღდგომ; კ. იერ. აღდგ.—თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა კჳრილე მთავარეპისკოპოსისაჲ იერუსალიმელისაჲ აღდგომისათჳს მკუდრეთით უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 155—170.

კ. იერ. აღდგ.; კირ. იერ.-აღდგომ.; კ. იერ.-აღდგომ.—აღსებისა ორშაბათსა ზატიკსა საკითხაჲ თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა კჳრილჱ იერუსალემელ მთავარეპისკოპოსისაჲ მკუდრეთით აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა და სულთათჳს: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—ფონდის N 144 ხელნაწერი, გვ. 113—131.

კ. იერ.-მარტ.; კ. იერ.-მარტჳლ.; კირ. იერ.-მარტჳლ.—თქუმული კჳრილე მთავარეპისკოპოსისა იერუსალემელისაჲ, რაჟამს-იგი მოვიდა წმიდათა მოციქულთა ზედა სული წმიდაჲ: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 185—190.

კ. იერ.-ნათლღ.; კ. იერ.-ნათლისღ. — თქუმული კჳრილჱსი ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 83—89.

კ. იერ.-სული წმ.—საკითხავი სულისა წმიდისაჲ, თქუმული კჳრილჱ მთავარეპისკოპოსისაჲ იერუსალემისაჲ: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—144 ხელნაწერი, გვ. 230—260.

კ. იერ.-პოვ. სამწ.; პოვნ. სამს.—პოენაჲ წმიდათა სამშჯუალთაჲ: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ. 1959, გვ. 243—244.

კ. იერ.-სინან.; კირ. იერ.-სინან. — სწავლაჲ კჳრილჱსი იერუსალემელისაჲ სინანულისათჳს: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—1109 ხელნაწერი, გვ. 64r—69r.

კოლ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

I კორ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

II კორ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

კურთხ. იხ.-იაკ. იხ. იპ. რომ.-კურთხ. ისააკ და იაკობ.

კურთხ. მოს. იხ. იპ. რომ.-კურთხ. მოს.

ლ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ლევიტ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ლიმ.—იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1960 წ.

ლონგ. წამ.—წამებაჲ წმიდისა ლონგინესი: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 432—446.

ლონგ.—წამებაჲ წმიდისა ლონგინოზ ასისთავისაჲ: კრებენი, ტ. 1, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფ., 1918, გვ. 188—192.

მალ. იხ. ბიბლია, ძვ. აღთქმა.

მაშ. წამ.—წამებაჲ წმიდისა მამაჲსი: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 392—416.

მატ. ქართლ.—მატიანე ქართლისა: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 211—232.

მდასლ. მოც. იხ. მიმოდასლ.

მთ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

მიმოდასლ.; მდასლ. მოც.; მიმოსლ. მოც.—მიმოდასლვაჲ მოციქულთაჲ: ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1959, გვ. 21—42; ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 260—305.

მიქ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

მრ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

მრთ. A—უდაბნოს მრავალთავი: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—1109 ხელნაწერი.

მრთ. B—სვანური მრავალთავი: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—19 ხელნაწერი.

მრთ. C—პარხლის მრავალთავი: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—95 ხელნაწერი.

მრთ. D—ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A—144 ხელნაწერი.

მრთ. E—ათონური მრავალთავი: ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N 57 ხელნაწერი.

მრთ. F—ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 11 ხელნაწერი.

მრთ. S—სინური მრავალთავი: სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N 32/57 ხელნაწერები.

მსკ.—წამებაჲ წმიდათა მოწამეთა მესხეკავეთაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 22—61.

მ. სწ.—მამათა სწავლანი, X და XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955.

მსჯ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

I მფ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

II მფ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

III მფ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

IV მფ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

მ. ცხ.—მამათა ცხოვრება: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—1105 ხელნაწერი.

ნაუმ იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ნეემია იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ნერს.; ნრს.—წამებაჲ წმიდისა ნერსჱ მთავარეპისკოპოსისა სომხეთისაჲ და ხადისი ეპისკოპოსისაჲ, მოწფისა მისისაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 69—79.

ნიკოლოზ. ცხ.—საკრველებანი წმიდისა ნიკოლაოს მთავარეპისკოპოსისანი: სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N 11 ხელნაწერი, 143r—152r.

ნრს. იხ. ნერს.

I ნშტ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

II ნშტ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ნწლკ.—ნაწილაკი.

ოვსე იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ორმეოც.; ხბხტ.—წამებაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ, რომელნი იწამნეს სებასტია ქალაქსა: ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო, IV. მარტყლობაჲ ორმეოცთაჲ: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962, გვ. 111—144.

ოხე იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ოხკ.—სიტყუანი წამებისათჳს წმიდისა ოსკისი და მოყუასთა მისთაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 9—21.

ოქრ.-გურიტ.—თქუმული მისიჲ ოქროპირისაჲ გურიტისათჳს და წმიდისა ეკლესიისათჳს: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 225—231.

ოქრ.-მარხ. და იონ.—თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს და იონაჲსთჳს: სინური მრავალთაჲი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 100—111.

ოქრ.-პეტრე და ელია იხ. ი. ოქრ. პეტრე და ელია...

ოქრ.-უძღ. შვილ.; ოქრ. უძღ. შვ.; ოქრ.-უძღებ.; უძღ. შვილ.—თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ უძღებისა მისთჳს შვილისა: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—95 ხელნაწერი, 511r—520v.

ოქრ.-ფერჴთა ბან.; ოქრ.-ფეჴის ბან.—საკითხავნი წმიდისა ხუთშაბათისანი, თქუმული წმიდისა იოვანე მთავარეპისკოპოსისაჲ, კოსტანტინეპოლელისაჲ, ოდეს-იგი აღდგა უფალი სერისა მისგან და იწყო მოწაფეთა დაბანა ფერჴთაჲ: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—1109 ხელნაწერი, 95v—102v.

პავ. თებ.; პავლე თებ.—ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა ამბა პავლე ბერისაჲ: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—95 ხელნაწერი, გვ. 316v—323v.

პატ. ათ.—პატერიკი ათონური იხ. Ath.—12.

პეტრე და ელია იხ. ი. ოქრ.-პეტრე და ელია...

პეტრე; პეტრე მოც.—წამებაჲ წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ ჰრომჲს შინა უწინარეს რვისა დღისა ვარდობისა: ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1959, გვ. 43—49.

I პეტრე თავნი იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

II პეტრე იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

II პეტრე (უწყ.) იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

პოვნ. სამსჭ. იხ. კ. იერ.-პოვ. სამშ.

პოვნ. სტეფ.—პოვნაჲ ნაწილთა სტეფანწმისთაჲ: Le Synaxaire géorgien. Redaction ancienne de l'union arméno-géorgienne, publié et traduit par N. Marr, Paris, 1926, 657—670.

რიფს.—წამებაჲ წმიდისა რიფსიმესი და გაიანესი და მოყუასთა მისთაჲ: ილ. აბულაძე, აგათანგელოსის „რიფსიმეანთა მარტჳლობის" ძველი ქართული თარგმანი: ხელნაწერთა ინსტიტუტი, მოამბე, თბ., 1960, გვ. 145—180.

რიცხ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

რუთ იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

რუსთ.—შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი...

(ს.); (საბა)—სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. თხზულებანი, ტ. IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., 1965.

საეკლ. უწყ. იხ. ე. კეს.-საეკლ. უწყ.

საკ. წიგ.; საკითხ. წიგ.; საკ. წიგ. II; საკითხ. წიგნ. II—საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1966.

საჭ. მოც. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

საჭ. წ'წყ.; ხჭ. წწყ.; წწტყ.; წწყლ.—საქმენი წმიდათა წინაწარმეტყუელთანი, ვინაჲ იყვნეს, ანუ სადა მოსწყდეს, ანუ სადა დაეფლნეს: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—691 ხელნაწერი, გვ. 92—112.

ხ. გაბ.-დაჯდ.; ს. გაბ.-დაჯდომ; გაბ.—შესხმისათჳს ყრმათაჲსა და დაჯდომისათჳს უფლისა კიცუსა ზედა შესულსა მას მისსა იერუსალემდ, თქუმული სებერიანოს გაბალონელ ეპისკოპოსისაჲ: სინური მრავალთაჲი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, 132—140.

ს. გაბ.-მოც. საკ.; ს. გაბ.-საკითხ. მოც.—თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სებერიანე გაბალონელ ეპისკოპოსისაჲ მოციქულთა საკითხავი: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—144 ხელნაწერი, გვ. 316—320.

ს. გაბ; ს. გაბ.-მოც. საჴს.; ს. გაბალ.-მოც. საჴს.—თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სებერიანე გაბალონელ ეპისკოპოსისაჲ, მოციქულთა საჴსენებელი: ილია აბულაძე, ქართულ-

სომხური ფილოლოგიური შტუდიები. „მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო V. სებერიანე გაბალოვნელი: მოციქულთა საკსენებელი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ. 1963, გვ. 85—102.

ხიბრძ. ხოლ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ხ. მოც. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

სნდ.—წამებაჲ წმიდისა დედოფლისა სანდუხტისი: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ. 1944, გვ. 3—8.

სოფრონ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

სჯკ.—აღსრულებაჲ წმიდისა სჯაკისი პართევისაჲ, ძისა დიდისა ნერსესი, რომელი იყო მეექუსე ნათესავი წმიდისა გრიგოლისი: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 80—84.

I ტიმ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

II ტიმ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ტიმ.-მავრ.—ღუაწლი წმიდისა ტიმოთესი და მაურაჲსი, ცოლისა მისისაჲ: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 446—468.

ტიტ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ტობ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

უძღ. შვილ. იხ. ოქრ.-უძღ. შვილ...

უწყ. ებ. ე.; უწყ. ე. ეპ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

უწყ. II ეპ. პეტრ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ფიზ.—მჴეცთაჲს სახისა სიტყუაჲ წიგნთაგან თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელისაჲ: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VI, СПб. 1904, გვ. 1—44.

ფილიმ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ფილიმ. იხ. ფლმ.

ფლკტ.—წამებაჲ წმიდისა ფილეკტიმონისი; კიმენი, ტ. I, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფ. 1918, გვ. 133—160.

ფლმ.; ფლმნ.; ფილიმ.—წამებაჲ წმიდისა ფილემონ მენესტჳსაჲ: ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N 57 ხელნაწერი, 294v—302v.

ფლპ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ფლპ. მოც.—წამებაჲ წმიდისა ფილიპე მოციქულისაჲ იუფრიმე ქალაქსა: ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1959, გვ. 3—13.

ფოკა—წამებაჲ წმიდისა მოწამისა ფოკაისი: ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N 57 ხელნაწერი, გვ. 339r—345v.

ფს. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ქებ.; ქება იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

ქ. ცხ.—ქართლის ცხოვრება: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 5—136.

ღთშ. შობ.; ღშობ.; ღშშობ.—თქუმული ღმრთისმშობლისა შობისათჳს: ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტმა, თბ., 1947, გვ. 184—193.

შ.; შუშ.—წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ: იაკობ ცურტაველი, მარტჳლობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., 1938.

II შჯ. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

წამ. იაკ.—წამებაჲ წმიდისა იაკობისი, რომელი იწამა ქუეყანასა სპარსეთისასა, ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან ბალღა, სადად მეფისა მიერ უშჯულოჲსა: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—95 ხელნაწერი, გვ. 1183—1194.

წარტყ. იერუს.—თქუმული ნეტარისა (...ტატი) მონაზონისაჲ, რომელი დაწკჳდრებულ იყო ლავრასა წმიდისა საბაჲსა, რომელი თქუა წარტყუენისათჳს ქრისტეს ჯუარისა, რომელი-იგი არს ძელი ცხორებისა ჩუენისაჲ...: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 611—719.

წყაროსთ. ოთხთ. ანდ.; წყრსთ. ოთხ.—წყაროსთაჳის ოთხთაჳის ანდერძი: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Q—907 ხელნაწერი.

წწტყ.; წწყლ. იხ. საქ. წ̃წყ.

ხანმტ. მრთ.—ხანმეტი მრავალთავი: აკაკი შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფ., 1926, გვ. 98—159.

ხარალ.—წამებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა მღდელთმოწამისა ხარალამპესი...: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის H—341 ხელნაწერი, გვ. 124—146.

ხარიტ.; ხარიტ. წამ.—ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ხარიტონისი, მოღუაწისაჲ და აღმსაარებელისაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ: ბრიტანეთის მუზეუმის Add.—11281 ხელნაწერი, გვ. 145r—162r.

ჯუან̃შ.—ჯუან̃შერი: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლეევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 139—199.

ჰებრ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ჰრომ. იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

ხელნაწერები

A—35, A—65, A—92, A—135, A—142, A—484, A—1335, A—1399—კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ. A ფონდის ხელნაწერები.

Ath.—11, Ath—12, Ath—17—ათონის ივერიის მონასტრის ქართული კოლექციის ხელნაწერები (რ. ბლეიკის კატალოგის მიხედვით).

H—341, H—622, H—1660, H—1741, H—2251—კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტ. H კოლექციის ხელნაწერები.

Ier.—36, Ier.—140, Ier.—156 —იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები (რ. ბლეიკის კატალოგის მიხედვით).

K—176—ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის N 176 ხელნაწერი.

Q—1062—კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის Q ფონდის N 1062 ხელნაწერი.

S—407, S—1141, S—1463—კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის ხელნაწერები.

Sin.—6, Sin.—8, Sin.—11, Sin.—50, Sin.—68, Sin.—97—სინას მთის ეკატერინეს მონასტრის ქართული კოლექციის ხელნაწერები (ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის კატალოგების მიხედვით).

ლიტერები

Ⴂ (შემოკლებასთან „ფს.“)—ფსალმუნის Ⴂ რედაქცია; იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

Ⴂ (შემოკლებასთან „საქ. მოც.)“—„საქმე მოციქულთაჲს“ Ⴂ რედაქციის ტექსტი; იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

Ⴂ¹ (დამოწმებებში კათოლიკე ეპისტოლეებიდან)—სინას მთის ხელნაწერების ტექსტი; იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

Ⴒ (დამოწმებებში კათოლიკე ეპისტოლეებიდან)—Ⴒ რედაქციის ტექსტი; იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

Ⴒ (შემოკლებასთან „ბალ.“)—ბალავარიანის Ⴒ რედაქცია; იხ. ბალ.

Ⴓ (დამოწმებებში კათოლიკე ეპისტოლეებიდან)—Ⴓ რედაქციის ტექსტი; იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

Ქ (შემოკლებასთან „საქ. მოც.")—„საქმე მოციქულთაჲ"-ს Ქ რედაქციის ტექსტი; იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

Ქ (შემოკლებასთან „ფს.")—ფსალმუნის Ქ რედაქცია; იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

Ქ (შემოკლებასთან „ბას. კეს.-ეჭეს. დღ.")—ბასილი დიდი, ეჭესთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ. 1947.

A იხ. მრთ. A.

A (შემოკლებასთან „სბსტ.")— „წამებაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ, რომელნი იწამნეს სებასტია ქალაქსა"-ს A რედაქცია; იხ. სბსტ.

B იხ. მრთ. B.

B (შემოკლებასთან სბსტ.)—„წამებაჲ წმიდათა ორმეოცთაჲს"... ტექსტის B რედაქცია. იხ. სბსტ.

Brt. იხ. ი. ურჰ.

C (მთ.; მრ.; ლ.; ი. შემოკლებებთან)—ადიშის ოთხთავი, იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

C იხ. მრთ. C.

D იხ. მრთ. D.

D (მთ.; მრ.; ლ.; ი. შემოკლებებთან)—ჯრუჭის ოთხთავი; იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

E (მთ.; მრ.; ლ.; ი. შემოკლებებთან)—პარხლის ოთხთავი; იხ. ბიბლია, ახალი აღთქმა.

E იხ. მრთ. E.

F იხ. მრთ. F.

Frg. რიცხვ. **Fr.** რიცხვთა—(რიცხუთაჲ): ილია აბულაძე, ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი, უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941, თბ., გვ. 149—158.

I იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

M იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

O იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

pb. იხ. ბიბლია, ძველი აღთქმა.

Q (დამოწმებებში პავლეს ეპისტოლეებიდან)—K—128.

S იხ. მრთ. S.

ან ქართული ანბანის პირველი ასო, რიცხვითი მნიშვნელობა—1.

ა კითხვითი ნაწილაკი, ეთანაბრება „-მე" ნაწილაკს და ხშირად მასთან ერთად იხმარება: „არა გიძიოა შენ განსუენებაჲ?" G,—„არა-მე გიძიო შენ განსუენება?" O, რუთ 3,1; „ღმერთი მოქენე-მე არნა კაცთა?" Sin.—11,72v.

ა დედრობითი სქესის სუფიქსი ძველი ქართულის გვიანდელ ტექსტებში: „უკუეთუ იყიდო ძმაჲ შენი ებრაელი ანუ ებრალაჲ" G, II მჯ. 15,12.

ა შეკვეცილი სახე მეშველი ზმნის მესამე პირისა („არს"): „უადვილესა ზომთსაბლისაჲ კურელსა ნემსისასა განსლვაჲ" მთ. 19,24; „შენნია მარტჳლნი" მრკ. A, ოქრ.-უძღ. შვილ. 516; „რამეთუ ესეა ჴორცი ჩემი" Ath.—11,80v; „ეგეა ძე ჩემი საყუარელი" Ath.—11, 151 v.

აბა, მაბა აბა, მაშ: „დასცხერ აბა, რომლისათჳსცა-იგი გწადოდა, მოგეცა შენ" ფლტ. 167,20; „აბა, მალე ყავ, რაცა გნებავს" O, I მფ. 14,7.

აბა იხ. აბბა.

აბანო საბანელი სახლი: „შევიდა აბანოსა მას" ფოკა 845,7; „იბანებიან აბანოებსა" მ. ცხ. 222 r; „ადგილი იგი წოდებისა მისისაჲ აღავსო მეცელმან მან აბანოჲსამან" ატმ. 110,6; „იყო აბანოჲ იგი, ვითარცა რვალი განჯურვებული, ელვარეჲ" Sin.—11,70r.

აბბა, აბა, ამმა, ანბა მამა: „და იტყოდა: აბბა, მამაო ჩემო" DE,—„და იტყოდა: აბბა, მამაო" C. მრკ. 14,36; „მიუგო მათ ამბა იოანე" მარკ. 247; „აღწერა ამბა (ანბა) იოანე" ლიმ. 1,0.

აბეზრობა განშორება, განდგომა: „აწ... რომელსა ესტი-როდი... აბეზრობასა შენსა... ანუ განყენებასა შენსა მამისაგან სახიერისა" მ. სწ. 120,22.

აბმა ჩამოკიდება: „ბრძანა დიაკონისაჲ მის ძელსა აბმაჲ" Sin.—8,868v. იხ. ბმა.

აბრეშუმ-ი: „ეფუფუნებდეთ სამოსლითა, ჩჩულითა და თხელითა, ჭსოჲლითა სელისაგან და აბრეშუმისა, ზეზითა და ჭიჭნაურითა" A—22,286.

აბჯარ-ი (აბჯრის) საჭურველი, იარაღი: „არარაჲ არს უსარგებლესი აბჯარი და უმკუეთელესი მახჳლი მტერთა მიმართ" ბალ. 121,20; „ზოგი აბჯრისა მათისაჲ... დაუტევეს შიშისაგან" S—1141, 514. იხ. მეაბჯრე.

აბჯრის-დამაბნეველ-ი საჭურვლის, იარაღის გადამყრელი: „ნუ იქმნები შენ მჴედარ ჩუენ, აბჯრის-დამაბნეველ" მ. სწ. 18,22. იხ. დამაბნეველი.

აგარა იხ. აგარაკი.

აგარაკ-ი, აგარა «ქუეყანაჲ საქმარი», «დაბა», სოფელი, უანა, «ველი»: „რაჲთა მიეიდენ გარემოსა აგარაკებსა" C, — „რაჲთა წარე-დენ გარემო დაბნებსა" DE, მრ. 6,36; „ექუს წულ დასთესო აგარაკი შენი" O, ლევიტ. 25,3; „ქუეყანაჲ საქმარი ...მოიყიდა და დაჰნერგა ფუძე" O, — „აგარაკი მოიყიდა... და დაჰნერგა ვენაჯი" pb., ეგ. ხოლ. 31,16; „რომელი მოვიდოდა აგარაკით" C,—„მომავალი ველით" DE, ლ. 23,26; „აგარათა მონასტრისათა — ეთა სისიკონი არს და კარავანი..." ი.-ე. 44,23; „არიან აგარანი ჩემნი ფრიად და სომრავლე მონათაჲ" Sin—11,193r. იხ. მეაგარაკე.

აგება იხ. აღება.

აგებულ-ი იხ. აღება.

აგებულება სხეული, ტანი, აღნაგობა, შედგენილობა: „დალპების... ყოველივე აგებულებაჲ მისი" მ. ცხ. 317v; „განვიცადე საკჳრველად აგებულებაჲ ჩემი" ბალ. 70, 12; „უკუეთუ ვინ მორკინლობასა ისწაულიდეს, აქუნდეს აგებულებაჲ გუამისაჲ კეთილი და ძლიერი" H—2251, 274r; „ქუეყანისა აგებულებაჲ არა ყოველივე ერთ არს, ვრამედ რომელნიმე არიან მთანი და რომელნიმე ველნი..." A—22,289.

აგვა აწმენდა, აღება: „მტუერი, რომელ აგვაებს ჭარმან პირისაგან ქუეყანისა" ფს. 1,4. იხ. გვა.

აგზება, აგზებულ-ი იხ. აღგზება.

აგიარო იხ. აღსაარება.

აგრგჳნება ახმაურება: „ქარი... აგრგჳნდის ძრვითა მით შინაგანითა, ნესტჳთა მით, რომელ არს ჴორცი" გრ. ნოს.-კაც. აგებ. 169,1. იხ. გრგჳნვა.

აგურ-ი გამომწვარი ალიზი: „გარემოს მისსა მოიწმოდა აგურითა და კირითა" ჭ. ცხ. 156,2.

აგჳსტო, აგჳსტოს-ი აგვისტოს თვე: „... და იულისი და აგჳსტოსი უწჳმრად გარდავლო" ი.-ე. 22,29.

ადამა, ადამანტ-ი, ადამატ-ი, ანდამატია «ადამანტი-ანი», adamas, antis, ალმასი: „და პეტრესა მისსა ადამაი" ამოხ 7.7; „ქვესა მისსა ესერა ადამანტი" ოჭრ.-გურიტ. 228.24; „კაცი ერთი, მდგომარე ზღუდესა ზედა ადამანტისასა" pb.,—„აჰა ესერა მდგომარე ზღუდეთა ზედა ადამანტიანისათა" O, ამოხ 7,7; „ვითარცა ენუსა გული მათი, ვითარცა ადამატი, შეუპრეველი და მუდრეკელი" ოხ. 15.6; „დაჰმუსრენ მოქლონნი ადამატისანი" ფსკტ. 156.35; „განტეხნა მოქლონნი და კლიტენი ანდამატიანისანი" მრთ. F, 26v.

ადამანტ-ი, ადამატ-ი იხ. ადამა.

ადამანტიან-ი, ადამანტინე «ადამანტი», ანდამატისა: „აჰა ესერა მდგომარე ზღუდეთა ზედა ადამანტიანისათა" O,—„კაცი ერთი, მდგომარე ზღუდესა ზედა ადამანტისასა" pb., ამოხ 7,7; „დგა ადამანტინესა ზედა ზღუდესა" ოჭრ.-გურიტ. 226,24.

ადამიან-ი ადამიანი, ადამის ჩამომავალი: „წინაშე ყოველთა ადამიანთა..." მ. ცხ. 83v.

ადარ-ი «იგრიკა», ებრაელთა მეექვსე თვე—მარტი: „პირველსა მას დღესა თუესა ადარ და ნესასა, რომელ არს იგრიკა და ვარდობაჲ, ჩუენებაჲ იხილა" O, ეხთ. 1,2.

ადგიდ-გება განმტკიცება, დამყარება, მოწესრიგება: „ელია მოსლვად არს და ადგიდ-აგოს ყოველი" C, მთ. 17,11. იხ. გება.

ადგილ-ი «მოადგილი»: „განვიდეს იგი ურწყუელთა ადგილთა" მთ. 12,43; „მიმოვალენ ადგილითი-ადგილად" Sin.—97,66v; „დაჯდა საყდართა ზედა, ურაკპარაკსა შორის, ადგილსა მას განსაკითხავსა" Sin.—11,2r; „მიეფარა, რამეთუ ერი იყო ადგილსა მას" DE,—„მიჰრიდა ამბოხებისა მისგან მოადგილსა მას" C, ი. 5,18.

ადგილად -თჳს, გამო: „არცა ერთისა მიზეზისა ცემად მჴდომისა ადგილად გინებისა" I ტიმ. 5,14.

ადგილ(ob)-მყრობა «დადგრომა», შედგომა, შეჩერება: „ადგილ-ობყრა მუნ, სადა იყო, ორ დღე" C,—„დადა-ადგრა ადგილსა მას, სადაცა იყო, ორ დღე" DE, ი. 11,6. იხ. მყრობა.

ადგილ(ob)-ცემა დათმობა, მიშვება: „ნუცა სეემთ ადჯილ ეშმაკსა" ეფეს. 4,27; „რაჲთა ადგილ-სცეს და განვიდეს მათგან" ხალ. 20,11. იხ. ცემა.

ადგილობან-ი ადგილი; საცხოვრისი, სამყოფი: „უკუეთუ დასხნენ იგინი, ადგილობანსვე ისხნენ" I, ეხ. 46,7; „კაცნი აღჰფხურნა ადგილობანით" O, ზირ. 29, 25. იხ. ადგილი.

ადგინება იხ. აღდგინება.

ადგმა იხ. აღდგმა.

ადგომა იხ. აღდგომა.

ადვილ-ი არაძნელი, თოლი, «წრფელი»: „ყოველი სიტყუაჲ ადვილი გინსაჴიან მათ" O, გამოხლ. 18,26; „ძნელი-განნი ყოველნი ადვილად გარდაიქცენ" O,—„იყუნენ ყოველნი გულისძნილნი წრფელად" pb., ეხ. 40,4. იხ. უადვილი.

ადვილ, ადვილად არაძნელად, იოლად, მსუბუქად: „ყოველივე ძნელი ადვილ იქმნების" მ. ცხ. 40v; „ადვილად იხილების მოყუარეთა მისთაგან" O, სიბრძ. სოლ. 6,18; „რომელი სხუათა მძიმე უჩნდეს და ძნელ, იგი შენ ზედა ადვილ და სუბუქ იყოს მოპოვნებად" მ. სწ. 156,4.

ადრე მალე, სწრაფად, მაშინვე, «მსთუად», «მეყსეულად»: „განვედ ადრე უბანთა" ლ. 14,21; „მალედ, ადრე მოელენ O, ეხ. 5,26; „ადრე (მეყსეულად DE) მომიძღუანოს იგი აქა" მრ. 11,9; „მოვიდე თჳენდა ადრე" I კორ. 4,19; „გარდაჴდეს ადრე გზისა მისგან" M,—„მისდრკეს მსთუად გზისაგან" G, მსჯ. 2,17.

ადრე ხვალ: „რომელი დღეს არს და ადრე წარწყმდების" მსჯ. 4,4(I).

ადრე-ადრე მალე, სასწრაფოდ: „აღდგა ადრე-ადრე და განვიდა" ი. 11,31; „არა ადრე-ადრე გამოვალნ მიერ" მ. ცხ. 66v. იხ. ადრე, უადრე, უადრეს.

ადრევე წინათვე: „ადრევე მოკუდა ესე" ვარ. 813.

ადრითგან ადრიდანვე: „წინაჲსწარ ადრითგან იცოდა იგი" სჭ. წწყ. 2.

ადრე მილება ადრე აღსრულება; «მოსწრაფედ წართქმა»: „ადრე მიღებისთჳს შეილისა ხატი შექმნა" O,—„მოსწრაფედ წართქმულისა შეილისა ხატი შექმნა" pb., სიბრძ. სოლ. 14,15.

ადრე-უოფა სწრაფა: „ადრე ყავ და შესუარე სამი საწყაული სამინდრჲ და ქმენ ყურბეული" O, დაბ. 18,6. იხ. ადრე-ადრე.

აელვება ბრწყინვა: „გარდაიქცა თმაჲ თეთრად აელვებასა მას შინა" G, ლევიტ. 13,25. იხ. ელვა.

აერ-ი, მაერ-ი ამინდი; ჰაერი; ქარი: „აერნი იცვალნენ" III ეზრა 6,6; „ბნელისა წყაღნი ღრუბელთა შინა ჰაერისათა" ფს. 17,12; „აერნი გამობრწყინდებიან და შფრინველთა შეიცვალეს ქმაჲ მათი" Sin.—97,66v.

აეროვან-ი «უსართოლო»: „განზომა სივრცე იგი ეზოჲსაჲ მის აეროვანისა მისგან ბჭისა შინაგანისა უსართოლოდ მიმართ" I, ეზეკ. 40,19.

ავ-ი იხ. ჰავი.

ავაზ-ი, ავაზა felis pardus: „ვექმნე მათ, ვითარცა ავაზ და ვითარცა ვეფხი გზასა ზედა" I, ოსე 13,7; „ავაზნი მშჳდ არს, ჴეცმა და ყურონ" ფიზ. XIX, 17.

ავაზაკ-ი ყაჩაღი, მტაცებელი: „ვითარცა ავაზაკსა ზედა მოსრულ ხართ მახჳლითა და წათებითა" ლ. 22,52. იხ. ავაზაკობა, მოავაზაკება, საავაზაკო.

ავაზაკთ-მთავარ-ი ყაჩაღთა, მძარცველთა უფროსი, მეთაური: „განიყვანეს იგი მთად და ყუეს იგი ავაზაკთ-მთავარ" მ. სწ. 201,86. იხ. მთავარი.

ავაზაკობა, ავაზაკება ყაჩაღობა, ტაცება, ძარცვა: „ვითავაზაკე და განვკფდი ცოდვასა შინა და ვერ შემძლებელ ვარ განრომად" მ. სწ. 205,18. იხ. ავაზაკი.

ავაზან-ი «სიავი», ქვაბი; აუზი; ემბაზი: „მოაბ, ავაზანი სასოებისა ჩემისაჲ" Ჭ.—„სიავი სასოებისა ჩემისაჲ" შ, ფს. 107, 10; „დადგეს ჯურღმულსა ზედა ავაზანი სასა" O, IV მფ. 18,17; „ავაზანი, რომელი სხუათა ბწყაჳს და ბცხის" მ. ცხ. 252r.

ავან-ი სოფელი: „მოიწივნეს ავანსა თილს“ ნრს. 70,5.

ავანდაგირ-ი საისტორიო წიგნი; თხრობა, ისტორია, «პატმოთინი»: „ვითარცა იტყჳან ავანდაგირსა უწყებისასა“(1); „ვითარცა ვუაუწყებს განგებასა სომხითისასა წიგნი, რომელსა ეწოდების ავანდაგირი, რომელ არს პატმოთინი“ თევდრ. 552.

ავარ-ი (ავარისა) ალაფი, ნაძარცვი, «წარმონაღები»: „აღიჰრეს ავარი მისი“ ეზეკ. 29,19; „მოიღე თავსნიერი ავართა ნატყუენავისაჲ“ G,—„მოიღე მეათედი წარმონაღებისა მის ნატყუენავისა“ pb. რიცხ. 31,20; „უკუეთუ ავარის-ყოფად მოხვალ შენ“ O, ეზეკ. 38,13. იხ. ავრობა, წარმოავრება.

ავაჯ-ი კილო, ხმა: „ძლევაჲ მოიღეს არა ჴმა-ჰამოდ გალობითა, არცა ძლის-პირთა და ავაჯთა ქამობითა“ მ. ცხ. 91 r.

ავთოლოფოს-ი ἀυτόβλοψ: „არს მჴეცი, რომელი იწოდების ავთოლოფოს“ ფიზ. III, 3.

ავლ-ი ფერფლი, ნაცარი: „შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი“ შუშ. XIV, 9; „იგიცა ავლ იქმნა“ მ. ცხ. 440r.

ავლ-ი «წესტჳ», სალამური: „ვითარცა ავლი, ოხრიდეს გული ჩემი კაცთა ზედა“ pb.,—„ვითარცა ნესტჳ, ოხრიდეს გული ჩემი კაცთა ზედა“ O, იერემ. 48,36.

ავლა იხ. წიალ-ავლა.

ავლინ-ი «ეზოს»: „რომელი იდვა შორის ავლინსა, გინა ეზოსა“ მ. ცხ. 211v.

ავუანდა შეწევნა, დახმარება: „ანატოლე ავქანდა ექმნა წმიდასა ანდრიანეს“ ანდ.-ანატ. 219,28.

ავრობა ტაცება: „ერსა ჩემსა ზედა უბრძანო ტყუენვაჲ და ავრობაჲ“ I, ეს. 10,6. იხ. ავარი.

აზავერ-ი (აზავრისა) ხარი: „მოართუმიდეს მათ აქლემებითა და ჯორებითა და ვირებითა და აზავრებითა საზრდელსა“ M, I შჯ. 12,40.

აზარაპეტ-ი იხ. აზრაპეტი.

აზელა ფეხით ტკეპნა, თელვა: „აზიღე (თიჭაი) ბზითურთ და განაჴმე ვითარცა ალიზი“ ხ. გაბალ.-მოც. საკს. 96,20. იხ. ზელა.

აზნა ქეთილშობილი: „უკუეთუ აზნა იყოს, ვიპყრა იგი ჩემდა ცოლად, და უკუეთუ მჴეცალი იყოს, მიუსც სასყიდელი მისი და იყოს იგი ჩემდა ხარჯად“ Sin.—11,78v. იხ. აზნება, სიაზნე, უაზნო.

აზნაურ-ი თავისუფალი, არამონა; წარჩინებული წოდებისა ან გვარისა, დიდებული, «მდიდარი», «მთავარი»: „ქაცი ვინმე აზნაური წარვიდოდა შორსა სოფელსა“ ლ. 19,12; „მზა უყო პური... აზნაურთა გალილეაჲსათა“ DE,—„ტაძრობას ჰყოფდა... მთავართა თანა გალილეაჲსათა“ C, მრ. 6,21; „განაჩინნეს მსახურნი იგი დედანი აზნაურნი“ საქ. მოც. 13,50; „მსგავსად მისვე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“ შუშ. XVII,7. იხ. აზნა; სიაზნაური, უაზნაურეს.

აღვსება ავსება, გავსება; შესრულება, «განძლება», «აღსრულება»: „აღევსენით ტაკუანი ეგე წყლითა“ ი. 2,7; „საუნჯენი მათნი აღვავსნე კეთილთა“ O, ფს. ხოლ. 8,21; „სალმობითა აღავსე გული ჩემი“ ფსქტ. 188,9; „დუქსი იგი აღივსო გულის-წყრომითა“ სბნტ. 132,3; „ვითარცა აღივსნეს დღენი რვანი“ C,—„ვითარცა აღესრულნეს დღენი რვანი“ DE, ლ. 2,21; „სული დამდაბლებული აღავსო“ G,—„გული ჭეუბული განაძღო“ O, ეს. 58,10. „ჟამი ჩემი არღა აღხებულ არს“ ი. 7,8. იხ. ესება; აღმავსებელი, აღმვსებელი.

აღვსება აღდგომა (ქრისტესი): „აღვსებაჲ ჩუენი დღეს არს“ მრთ. C. ოქრ.-უძღ. შვილ. 377; „დღისა მისთჳს აღვსებისაჲსა იტყჳს“ აპ. რომ.-კურთხ. ისაკ და იაკ. 30,16; „და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი“ შუშ. VIII 7. იხ. ესება.

[აღზავება] შეზავება, კეთილსურნელოვნება: „სცხოს სისხლისა მისგანი ჴბოჲსაჲ რჩეთა მათ საკურთხეველისათა საკუმეველისა მის აღზავებულისათა“ O, ლევიტ. 4,7. იხ. ზავება.

აღზახება «ქმობა», ყვირილი: „აღიზახეს“ M,—„ჴმობდეს“ G, მსჯ. 15,14; „მტერთა შენთა აღიზახეს“ ფს. 82,3. იხ. ზახება.

[აღზახვა] «შეგრაგნა», დაძახება: „მეწამულითა აღზახილითა“ G,—„შეგრაგნილითა მით მეწამულითა“ pb., ლევიტ. 14,52. იხ. ზახვა.

აღზრდა გამოკვება, გაზრდა, გამოზრდა: „მოსცე მათ (საზრდელი) და აღიზარდნენ იგინი“ Č, ფს. 103,28; „აღიზარდე სიმართლით ზედა მუცლთა ჩემთა“ რიფხ.

178,18; „სახუეველითა აღვიზარდე და ზრუნვითა“ O, ბიბრძ. ხოლ. 7,4; „ეიშუე და აღვიზარდე და დავბერდი ცოდვასა შინა და ურვასა“ ჰ. სწ. 204,16.

აღზრდილ-ი «განზრდილი»: „აღზრდილი (განზრდილ C) ამას ჭალაჴსა შინა (და აღზრდილ C) ფერჴთა თანა გამალიელისთა“ ხაქ. მოც. 22,8; „კაცი ცოდვათა შინა შობილი და აღზრდილი“ ჰ. ცხ. 107r. იხ. ზრდა; თანა-აღზრდილი.

აღზრნება აღძერა, გაღიზიანება: „აღაზრზინნეს და განაბოროტნეს გულნი წარმართთანი ძმათა ზედა“ ხაქ. მოც. 14,2; „აღაზრზინა მათ ზედა დავით“ O. II მფ. 24,1; „რომელი აღაზრზენდეს და მოავონებდეს საშუებელთა ამაოჲსა ამის სოფლისათა“ ბალ. 83,6. იხ. ზრზენა.

აღზუავება «ამაღლება», გაამაყება, გაამპარტავნება: „ანუმცა მეტად აღზუავა და მერმე ქუეყანად დააკუეთა“ Ч.—„ანუ მეტად აღამაღლა და მერმე ქუეყანად დააკუეთა“ C, ბალ. 68,6; „ამასცა ზედა კუალად აღლაღნების და აღზუავნების უბადრუკი იგი“ ჰ. ცხ. 18r.

აღზუავებულ-ი «განლაღებული», ამაყი: „იყვნენ კაცნი... წარმდებ, აღზუავებულ“ pb.,—„იყვნენ კაცნი... წარმდებ, განლაღებულ“ II ტიმოთ. 3,4. იხ. ზუაობა.

აღთუალვა, ათუალვა აღრიცხვა, დათვლა; დათვალიერება, აღლუმი: „მწუხრი ათუალი (ღრნჱაჲ) და თუ ...უმრავლეს იპოს, ეჯამი პური“ Ath.—12, 227r; „აღრაცხეთ, აღთუალეთ ყოველი ერი“ II მფ. 24,2. „რიცხჳ აღთუალვისაჲ მის“ O. II ეზრა 1,9. „კუალად მისცეს ოქროჲ განძად ათუალული კ“ ლიტრაჲ“ ი.-ე. 22,29. იხ. თუალვა.

აღთქმა იხ. აღთქუმა.

აღთქუეფა ათქუეფა, ამღერება, არევა, ერთმანეთში გაქნა: „არღარა აღთქუეფოს იგი ფერჴმან კაცისამან“ O. ეზეკ. 22,18. „რომელი ასუმიდეს მოყუასსა თჳსსა აღთქუეფულსა მრღუსა“ O. ამბ. 2,15. იხ. თქუეფა.

აღთქუმა დაპირება, აღთქმის დადება, აღიარება, «ლოცვა»: „მე აღგითქუამ თქუენ, ვითარცა მე აღმითქუა მამამან ჩემმან სასუფეველი“ ლ. 22,29; „აღუთქუეს მას მიცემად კეცხლი“ DE, ბრ. 14,11; „აღუთქუა იეფთაემან აღთქუმაჲ უფალსა“ G.,—„ილოცა იეფთაე ლოცვაჲ უფლისა მიმართ“ M, მსჯ. 11,30. „რაჲთა ეწიო აღთქუმულთა მათ ღმრთისათა“ ანდ.-ანატ. 913. **აღთქუმა, აღთქმა «შჯული»**; პირობა; ზავი: „მოჰსენებად აღთქუმაჲ თჳსი წმიდაჲ“ C.—„მოჰსენებად შჯულ ეხა წმიდისა მისისა“ DE, ლ. 1,72; „ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ“ მთ. 26,28; „აღუთქუან აღთქუმაჲ უფალსა“ I. ეხ. 19,21; „რამეთუ გარდაჴდეს აღთქუმაჲ მათ ჩემსა“ O. ოვხე 6,1; „აღუთქუა მათ აღთქუმაჲ მშჳდობისაჲ“ O. ეზეკ. 37,26; „განამრავლენ აღთქუმანი შენნი ქუეყანად მიმართ კანანელთა“ O. ეზეკ. 10,29; „აღუთქუა მათ საყოველი თითოეულად დრაჰკანი დღესა შინა“ DE,—„აღთქუმა-ყო მოქმედთა მათ მიმართ თითოჲ სატირი დღისა“ C, მთ. 20,2; „აღთქმი დადვნეს მის მიმართ“ pb.,—„ნაძლევი დაიდვეს მის თანა“ O, ნიბრძ. ხოლ. 1,16. წიგნი აღთქუმისაჲ წინაჲსწარ დაბეჭდილი ღმრთისაგან“ გალატ. 3,17. იხ. თქუმა; აღმთქუმელი, აღნათქუმი.

აღთქუმის-ყოფა «აღთქუმა», შეპირება, პირობის დადება: „აღთქუმა-ყო მოქმედთა მათ მიმართ თითოჲ სატირი დღისა“ C,—„აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულად დრაჰკანი დღესა შინა“ DE, მთ. 20,2; „აღთქუმა-ეყო ჰურიათა მათგან“ ი. 9,22.

აღკაზმვა მომზადება, გაწყობა: „აღჰკაზმა იგი განსლვად სამეუფოდ თჳსად“ ბალ. 135,16; „დღითი-დღე აღჰკაზმაენ იგი მალაკსა თჳსსა“ ჰ. ცხ. 202r. იხ. კაზმვა.

აღკელობება დაკოჭლება: „დაცა იგი ფერჴთა ზედა მის ყრმისათა და აღაკელობა იგი“ O. II მფ. 4,4. იხ. კელობა.

აღკეცა «აღსაბურველება», აკეცვა: „აღგეკეცნა ქუექუემონი (ქუემოჲ I) განსაჭებელად ტერფთა შენთა“ O,—„აღგესაბურველნეს უკუანა კერძონი შენნი განსაჭებელად ქუსლთა შენთა“ pb., იერემ. 13,22.

აღკიდება, აკიდება «აღება», აღტვირთვა, მოკიდება, ზურგზე «აღდება»: „რაჲთა აღიკიდოს ჯუარი მისი“ C.—„რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი“ DE, მთ. 27,32; „რომელი-იგი აღიკიდიან და დასჯან ბჭეთა თანა მის ტაძრისათა“ ხაქ. მოც. 3,2; „აღეკიდა და მოაქუნდა“ I. ეს. 46,20; „მძლავრ მოიტაცებდეს და წარმართთა აჰკიდებდეს“ მრთ. A, ანტ. დ. 32v; „დაგდვა მას ზედა, მერმე შემოგიჴდე და აღგიკიდო შენ“ ჰ. ცხ. 272v; „ნუ აღიკიდებთ ტჳრთსა“ I,—„ნუ აღიდებთ ტჳრთსა“ O, იერემ. 17,21. იხ. კიდება.

აღკრვა აკვრა, მიკვრა: „მტუერი, რომელი აღგუეკრა ფერჴთა ჩუენთა... განვიყრით“ ლ. 10,11; „აღეკრა ქუეყანასა მუცელი ჩუენი“ ფს. 43,26. იხ. კრვა; პირ(ის)-აღკრვა (-ული).

აღკრთომა ავარდნა: „ნუუკუე ნამუსრეი პილენძისაჲ მის აღჰკრთეს და ეცეს მას“ ფლკტ. 105;10. იხ. კრთომა.

აღკრძალვა შევიწროება, შეჭირვება: „არამედ აღვიკრძალავ ჴორცთა ჩემთა და დაეიმონებ“ I კორ. 9,27. იხ. კრძალვა.

აღკუმინვა «ვაება», კენესა, გმინვა: „არავინ აღიკუმინა, არავინ ძეთა ისრაჱლისათამან ენითა თჳსითა“ M,—„არა იყოა არცა ერთმან ძეთა ისრაჱლისათამან ენითა თჳსითა“ G, ისუ ნ. 10,21. იხ. კუმინვა.

აღლაღება გაამაყება, ქედმაღლობა, მედიდურობა: „აღილაღე გულითა შენითა“ IV მფ. 14,10; „ამასცა ზედა კუალად აღლაღნებს და აღზუავნების უბადრუკი იგი“ ჰ. ცხ. 18r. იხ. ლაღობა.

აღლევა გამოლევა, დახარჯვა: „აღილია ყოველად-დასაწუეელი იგი“ M, I ნშტ. 21,26. იხ. ლევა.

აღლესვა წამახვა, «ალმახუება», ალესვა: „აღილესნეს ენანი მათნი ვითარცა გუელისანი“ ფს. 139,4; „ეჩუეა აღილესა და გამოთალა მით“ I. ეხ. 44,12; „რომელი აღჰლესაე ენასა მონაზონისასა გინებად“ ჰ. ცხ. 20v; „აღვლესო, ვითარცა ელჳაჲ“ pb.,—„აღმახო, ვითარცა ელჳაჲ“ G, II მჯ. 32,41. „მახჳლი აღლესულ იყო“ ბახ. კეს.-ორმეოც. 117,2. იხ. ლესვა.

აღლობნა ალოკვა, ენის ასმა: „აღლობნეს შესაკრებელთან ამან ყოველნი გარემოჲსანი“ G, რიცხ. 22,4; „აღლობნიან თუალნი მათნი“ ფს. II 14. იხ. ლობნა.

აღმაგზებელ-ი ამნთებელი. იხ. გზება.

აღმადგინებელ-ი აღმდგენელი, «აღმმსთობელი»: „გურწამს აღმადგინებელი უფლისა ჩუენისაჲ“ მრომ. 4,24; „რომელი აღმადგინებელ ხარ მკუდართაჲ“ ფსკტ. 147,87; „აღვადგინო... დამკჳდრებულთა ზედა ქალდეველთასა გულნი აღმადგინებელთანი“ pb.,—„განვაღჳძო მკჳდრთა ზედა ქალდეველთასა გული აღმმსთობელთაჲ“ O. იერემ. 51,1. იხ. აღდგინება.

აღმაჟალ-ი «აღმწედრებული», ამავალი: „იხილნეთ... ანგელოზნი ღმრთისანი, აღმამავალნი და გარდამომავალნი“ ი. 1,51; „შამაცი, აღმამავალი ცხენსა ზედა ხსედსა“ pb.,—„კაცი, აღმჯედრებული ცხენსა ზედა ხსედსა“ O. ზაქ. 1,8. იხ. აღსლვა.

აღმავსებელ-ი ამვსებელი: „ჰ მუუდროებაო... სულისა აღმავსებელო“ მ. ცხ. 81ვ. იხ. აღვსება.

აღმამაღლებელ-ი ამამაღლებელი: „აღმამაღლებელი თაჳისა ჩემისაჲ“ კურთხ. მოსეხი 194,2. იხ. აღმაღლება.

აღმაორძინებელ-ი ამაორძინებელი, აღმომაცჳნებელი, აღმზრდელი: „აღმაორძინებელი ღმერთი“ I კორ. 3,7; „ითჳმის მცჳნარეთათჳს და ხეთა, ეითარმედ აჳეს მათ ძალი აღმაორძინებელი“ ბას. კეს.-ეჭეხ. დღ. 26,15. იხ. აღორძინება.

აღმაოჯრებელ-ი დამაჭცეველი, ამკლები: „ესე არს... პირველითგანვე აღმაოჯრებელი მონასტრისა ჩუენისაჲ“ მ. ცხ. 177ვ. იხ. აღოჯრება; ოჯერი.

აღმართ ზეჳით: „კაცად-კაცადი მოყუასსა თჳსსა ზიდვიდა აღმართ“ მ. ცხ. 287ვ. იხ. მართ-; პირ-აღმართ.

აღმართ-ი აქანება: „დავით აღვიდოდა აღმართსა მას ზეთისხილისასა“ O, II მფ. 15,30. იხ. მართ-.

აღმართება, ამართება «აღდგინება», «აღდგმა», ამართვა, «აღხლდომა», ამაღლება: „მესამესა დღესა აღჳმართოო ენე (ტაძარი)“ C.—„მესამესა დღესა აღჳადგინო ენე“ DE, ლ. 2,10; „სწაელამან შენმან აღმმართა მე სრულიად“ ფს. 17,36; „აჰმართეს მუნ კარავი წამებისაჲ“ G.—„აღდგეს მუნ კარავი საწამებელი“ M. ისუ ნ. 18,1; „დამჳობილი იგი აღეჰმართოდა აღეაშჳნო“ ხაქ. მოც. 15,16; „აღემართა და აწყო სლვად“ Ჭ.—„აღხლდნა და აწყო სლვად“ Ქ. ხაქ. მოც. 14,10. „ესე დგას დაცემად და აღმართებად“ C.—„ესე დგას დაცემად და აღდგინებად“ DE, ლ. 2,34; „რომელი აშჳნებდეს აღმართებად ტაძარსა ამას“ O. აგგ. 2,9; „ძელი აღმართებულ იყო“ მრთ. S. ბას. კეს.-ორშეოც. 117,3; „ქალაჭი იგი აღმართებული და მტკიცჳ შეძრა“ მრთ. S. ოქრ.-მარხ. და ოთ. 108,15. იხ. მართვა.

აღმარლუეველ-ი ამაღელვებელი: „აღმარღუეველი წყლისაჲ“ O, ოსე 6,8. იხ. აღრღუევა.

აღმასრულებელ-ი შემსრულებელი: „ეითარცა აღმასრულებელი შჯულისაჲ მის წინაჲსწარმეტყუელი იგი არს“ იაკ. რომ.-კურთხ. მოხ. 172,4. იხ. აღსრულება.

აღმატება ამეტება: „უკეთუ არა აღემატოს სიმართლჱ თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა“ მთ. 5,20.

აღმატებულ-ი «ამაღლებული»: „საყდარ დიდების აღმაბებულ, სიწმიდეო ჩუენო“ O,—„საყდარ დიდების აღმაღლებულ, სიწმიდე ჩუენი“ pb., იერემ. 17,12; „მჯდომარე საყდართა ზედა მაღალთა და აღმატებულთა“ I. ეს. 6,1. იხ. მატება; აღსმატებელი.

აღმალლება, ამალლება მაღლად ქცევა; აღდგენა; აღება, აღფხერა; გაამაყება; «აღსლვა»: „ნუ ცადმდე აჰმაღლდები“ მთ. 11,23; „აღჰმაღლდე შენ, ეითარცა ორბი“ O, აბდ. 1,4; „რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, დამდაბლდეს“ მთ. 23,12; „უკუეთუ ვინმე ამაღლდების თჳენ ზედა“ II კორ. 11,20; „აღმაღლდა გული შენი“ O. ეზეკ. 28,1; „სკორეთაგან აღამაღლის დაჳრდომილი“ O, I მფ. 2,8; „ზღუაჲ იგი ღელვათა აღამაღლებდა“ ოქრ.-მარხ. და ოთ. 104,23; „აღამაღლეთ ამაოჲ ნუგეშინისცემაჲ“ I, ეს. 29,23; „ეითარ აღიმაღლეს მათგან“ C.—„ვითარცა აღვიდეს“ DE, ლ. 2,15; „სიბრძნისა შენისათჳს ნუ ამაღლდები“ pb.,—„სიბრძნესა ნუ აღჰყვები“ O. იგ. სოლ. 8,6.

ამაღლება ცად ასვლა (ქრისტესი): „შეჰვედრა სული მეუფჱსა ცათასა... ქრისტეს ამაღლებითგან სამას ოცდა თრჳაშჳტსა წელსა“ ჭ. ცხ. 128,8.

აღმაღლებულ-ი, ამაღლებულ-ი «აღმატებული», გაამაყებული: „სული აღმაღლებული მოვიდოდა ჩრდილოჲთ“ I, ეზეკ. 1,4; „სახლი იგი... აღმაღლებულ იყვენ წინაშე შენსა“ O, II მფ. 7,26; „მოსრნეს ყოველნი აღმაღლებულნი ეეცხლითა“ O. სოფონ. 1,11; „საყდარ დიდების ამაღლებულ სიწმიდე ჩუენი“ pb., — „საყდარ დიდების აღმატებულ, სიწმიდეო ჩუენო!“ O, იერემ. 17,12. იხ. აღმამაღლებელი, აღსამაღლებელი; მაღალი.

აღმაშჳნებელ-ი მაშენებელი: „არა ყოველი აღმაშჳნებელ არს“ I კორ. 10,23. იხ. აღშჳნება.

აღმახუა «აღლესვა», «გამოყრა»: „აღემახო, ეითარცა ელვაჲ“ G.—„აღვლესო, ეითარცა ელვაჲ“ pb., II მჯ. 22,41; „დააყენე ენაჲ შენი დრტჳნვისაგან და აღმახუე ჲგი გალობად ღმრთისა“ მ. ხწ. 290,15; „რკინამან რკინაჲ აღმახჳს“ O, იგ. სოლ. 27,17; „აღმახუა ხუროჲმან“ pb.,—„კაცმან ხუროჲმან გამოყარა საქმარი თჳსი“ O, ეს. 44,12. იხ. მახუა.

აღმდგომ-ი იხ. წინა-აღმდგომი.

აღმვსებელ-ი ამავსებელი: „არა სუა (წყალი) გონჯობისათჳს აღმვსებელისა“ მ. ცხ. 220ვ. იხ. აღვსება.

აღმზადება მომზადება: „აღიმზადეთ გამოსაზრდელი“ G, ისუ ნ. 1,11; „აღიმზადა ყოველი მონაგები“ ვარ. 814. იხ. მზადება; მზა.

აღმზადება «აღშფოთება»: „აღჰმზადებდეს გულთა თქუენთა“ Ჭ.—„აღაშფოთებდეს სულთა თქუენთა“ Ქ. ხაქ. მოც. 14,28. იხ. მზადება.

აღმზრდელ-ი «მპოხელი»: „შეაჩუენეთ ხოლო აღმზრდელიცა თქუენი“ pb.,—„შეაჩუენეთ მპოხელი თქუენი“ I, ბარ. 4,8.

აღმთქუმელ-ი აღთქმის დამდები: „ესე არს შჯული აღმთქუმელისაჲ“ G, რიცხ. 7,13. იხ. აღთქუმა.

აღმკობა შემკობა, მორთვა: „აღიმკენენ ახლითა ნაბრდღუენითა, ეითარცა ორბნი“ I, ეს. 40,31. „შუენიერითა სამკაულითა აღმკულ არს“ ფსკტ. 134,4; „ასულნი მათნი განშუენებულ არიან და აღმკულ მსგავსად ტაძრისა“ ფს. 143,12. იხ. მკობა.

აღმმსთობელ-ი ადრე ამდგარი, «აღმადგინებელი»: „განვაღჭო... მკჳდრთა ზედა ჭალდეველთასა გული აღმმსთობელთაჲ“ O, — „აღვადგინო... დამკჳდრებულთა ზედა ჭალდეველთასა გულნი აღმადგინებელთანი“ pb., იერემ. 51,1. იხ. აღმსთობა.

აღმო იხ. ქუეაღმო.

აღმობგერება იხ. აღმომბგერებელი; ბგერა.

აღმობერვა «განტევება», ამოშვება: „აღმობერა სული“ C,—„ვანუტევა სული“ DE, მრ. 15,37; „აღმობერნა სამ-გზის“ მ. ცხ. 337r. იხ. ბერვა.

აღმობოყინება «გამოცემა», ამობოყინება: „რომელთა „აღმობოყინებენ წყალნი“ G,—„რომელთა გამოსცემენ წყალნი“ O, ლევიტ. 11,10; „პირი აღმოიბოყინებს უკეთურებასა“ მ. ხწ. 145,25. იხ. ბოყინება.

აღმობრწყინ(ვ)ება «აღმოჭდომა», «მოფენა», ამოსვლა: „აღმობრწყინებისა მზისასა“ C,—„ვითარცა მზჱ აღმოჰჴდა“ DE, მრ. 4,6; „აღმობრწყინდა მზე და შეკრბეს“ ფს. 103,22; „ცისკარი აღმობრწყინდა“ მარკ. 250r, „მზისთჳალ ქუეყანით აღმობრწყინებულ“ კურთხ. მოხ. 170,10. იხ. ბრწყინება.

აღმობურვა დაბურვა, «დაფარვა», დახურვა: „აღმოიბურნეს თაჲთა მათთა“ O,—„დაიფარნეს თაჲნი მათნი“ pb., იერემ. 14,4. იხ. ბურვა.

აღმოგდება ამოგდება: „აღმოაგდო ყრმაჲ იგი ცოცხალი“ ი. მოც. 71,10; „აღ-რე-უგდო მას (ბეუჭდსა) თუალი“ ჯ. ცხ. 212,3. იხ. გდება.

აღმოგუალ- ამოსვლა: „აღმოგუალე ზემო კერძო“ ლ. 14,10; „აღმოგუალეთ ნავსა ამას“ H—241,266. იხ. გუალ-.

აღმოგურა «აღუყვანება»: „შემდგომად ზატიკობისა აღმოჰგუაროს იგი“ Ш.—„შემდგომად ზატიკისა აღიყვანოს იგი“ Ჩ, ხაჯ. მოც. 12,4; „მე აღმოგგუარო ჟმე შენ“ O. დან. 42,27. იხ. გურა.

აღმოდინება ამოსვლა: „აღმოგიდიოდენ (I) წყალი შენთაგან წყაროთა“ O, ოგ. სოლ. 5,16.

აღმოდინებულ-ი ამოსული, ამოდინებული: „ეყოს მას წყარო წყლისა აღმოდინებულისაჲ“ C,—„ექმნეს მას შინა წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად“ DE, ი. 4,14. იხ. დინება.

აღმოვალ-, აღმოვედ-/აღმოვიდ- იხ. აღმოსლვა.

აღმოვლინება ამოყვანა: „მზე მისი აღმოაველინის ბოროტთა ზედა და კეთილთა“ მთ. 5,45. იხ. ველინება.

აღმოვსება ავსება; ამოტენა, «მოწრედა»: „აღმოავსეთ აწ და მოართუთ პურისა უფალსა“ ი. 2,8; „აღმოავსებედ უპჱ-ი და მუცელსა თჳსსა“ მრთ. S, ჩჭრ.-მარხ. და თონ. 110,18; „შთაჰჴედით საწნეხელსა აღმოვსებად ერგასისსა საწყაულსა“ O, ამგ. 2,10; „რომლისა მიერ აღმოივსო მცირედი წყალი“ pb.,—„რომლითამცა მოსწრიდა წყალი მცირედ“ O, ეს. 30,14. იხ. აღმომავსებელი; ვსება.

აღმოზიდვა ამოზიდვა: „აღმოზიდის მას საბლითა მთ“ O, იერემ. 26,18. იხ. ზიდვა.

აღმოთქუმა ამოთქმა: „აღმოთკუან და იტყოდიან სიცრუჱსა“ ფს. 93,4; „აღმოთქუნ გულმან ჩემმან სიტყუაჲ კეთილი“ ფს. 44,2 იხ. თქუმა.

აღმოთხრა «მოთხრა»: „აღმოთხარეს თავისა მათისა ჯურღმული გურელოვანი“ I. იერემ. 2,16; „აღმოთხარეს კარსა წინა ქუაბისასა საფლავი“ მ. ცხ. 182v; „აღმოთხარა ჭეეყანაჲ“ C,—„მოთხარა“ DE, მთ. 25,18. იხ. თხრა.

აღმოკითხვა ამოკითხვა, «წარკითხვა»: „რომელი აღმოიკითხვიდეს, ჰსცნობდინ“ მრ. 13,14; „ესე ფიცარი მრავალთა აღმოიკითხეს ჰურიათა“ DE,—„იგი ფიცარი წარიკითხეს ჰურიათა მრავალთა“ ი. 19,20; „აღმოიკითხა იგი და იკითხა“ საჯ. მოც. 23,34; „აღმოვიკითხე წიგნი იგი თქუენი, რომელი მოსწერეთ ჩემდა“ O, I ეზრა 2,20. „წიდათა წერილთა აღმოკითხვაჲ“ მ. ცხ. 14r. „უწყებულ და აღმოკითხულ ყოველთა მიერ კაცთა“ I კორ. 3,2. იხ. კითხვა.

აღმოკოდა «აღმოკუეთა»: „აღმოუკოდეს იგი მეფეთა“ pb.,—„აღმოჰკუეთეს იგი ჯურღმული მეფეთა“ G, რიცხ. 21,18. იხ. კოდა.

აღმოკრთომა ამოსვლა, ძვრა: „სულნი ღათუ აღმოჰკრთებოდიან“ ოქრ.-გურიტ. 227,18; „გულისაგან აღმოჰკრთების სიმჴურვალჱ“ გრ. ნოხ.-კაც. აგებ. 168,20. იხ. კრთომა.

აღმოკუეთა «გამოკუეთა», «აღმოკოდა», «აღმოჭდა», ამოჭრა, ამოკვეთა, ამოთხრა: „რომელი-იგი აღმოეკუეთა კლდესა შინა“ C,—„რომელი გამოეკუეთა კლდისაგან“ DE, მთ. 27,60; „აღმოჰკუეთნეს თუალნი მისნი“ G,—„აღმოჰჴადნეს თუალნი მისნი“ M, მხჯ. 10,21; „აღმოჰკუეთეს იგი (ჯურღმული) მეფეთა“ G,—„აღმოუკოდეს იგი მეფეთა“ pb., რიცხ. 21,18; „ჴნარცჴთხარა და აღმოჰკუეთა“ ფს. 7,16; „აღმოჰკუეთა მთხრებელი“ ფსალტ. 156,3; „აღმოგკუეთნე ენანი თქუენნი“ ანდ.-ანატ. 105,21. იხ. აღმოსაკუეთელი.

აღმომავალ-ი ამომავალი: „რაჟამს იხილოთ ღრუბელი აღმომავალი“ ლ. 12,54. იხ. აღმოსლვა; სლვა.

აღმომავსებელ-ი ამვსებელი: „რაჲ ბიწი შეხუდების გჳნჯობისაგან აღმომავსებელისა (წყალსა)“ მ. ცხ. 226v. იხ. აღმოვსება; ვსება.

აღმომბგერებელ-ი სამუსიკო იარაღზე დამკვრელი: „მითხრობდა ჴმისავან აღმომბგერებელისა საშუალ მორწყულთაჲსა“ G, მხჯ. 5,11. იხ. აღმობგერება; ბგერა.

აღმომდინარე იხ. კეთილად-აღმომდინარე.

აღმომზადება «ქცდა», ამოწვდა: „მეგობარსა ზედა მახჳლი-ღა თუ აღმოიმზადო“ O,—„მოყუასსა ზედა უკუუთუ იჴადო მახჳლი“ pb., ზირ. 22,20.

აღმომორჩება აღმოცენება: „იწყო თმამან თავისა მისისამან აღმომორჩებად“ G, მხჯ. 10,22. იხ. მორჩება.

აღმომ(ფ)შჯნავ-ი, აღმომ(ფ)შჯნველ-ი «მშჯნიერი», «მშუმინვიერი», სულიერი: „არა დაშთა მას შინა აღმომშჯნავი“ G,—„არა დაშთა მას შინა მშჯნიერი“ M, ისუ ნ. 11,11; „არა წარმოსტყუენოთ მათგან ყოველთა აღმომშჯნელი“ G,—„არა დაუტეო მას შინა ცოცხალი ერთიცა მშუმინვიერი“ M, II, შჯ. 20,16; „აღმომფშჯნველი“ G,—„მშუმინვიერი“ M, ისუ ნ. 10,20; „არა დაშთა მას შინა მშჯნვიერი (აღმომფშჯნავი“ G) M, ისუ ნ. 11,11. იხ. მშჯნავ/მფშჯნავ; შდრ. მშჯნავი, მშჯ.

აღმომფხურელ-ი ამომგლეჯელი: „არა თუ აღმომფხურელნი ვართ ენებთანი, არამედ მბრძოლნი ოდენ" ჰ. ცხ. 180r. იხ. აღმოფხურა.

აღმომყვანებელ-ი აღმომცენებელი: „ღმერთნი... ქუეყანით ნაყოფთა აღმომყვანებელნი" ჭ. ცხ. 103,4. იხ. აღმოყვანება.

აღმომცენარე გამოღებული: „ყოველივე აღმომცენარე ქუეყანისაჲ ზღუაგან არს" ბას. კეს.-ექუს. დღ. 01,11. იხ. მცენარე.

აღმომწუბება ამოგორება: „ნუღარა აღმოიმწუბვი მწჯრესა მას შინა ცოდვისა" ჰ. ცხ. 102r; „ნუ კუალად მწჯრესა შინა აღმოიმწჯებათ თაეთა თჳუენთა" Ath.-11,1337. იხ. მწუბვა.

აღმორთუმა მირთმევა, წაღება: „აღმოართუა იგი მეფესა სოლომონს ტაძრად უფლისა" II ნშტ. 4,10. იხ. რთუმა.

აღმოსავალ-ი სადაც ამოდის, ამოსვლა: „არცა აღმოსავალი მთოვარისაჲ განათობდეს შენ ღამე" ეს. 60,19. იხ. აღმოსლვა.

აღმოსავალ-ი, აღმოსავ(ა)ლეთ-ი: „რომელი იხილეს აღმოსავალით" მთ. 2,9; „წარკუედ ამიერ აღმოსავალად კერძო" III მეფ. 17,2; „მოელენ კრებულად აღმოსავალითგან მიდასავალადმდე" ბარუქ 4,37; „იყო რაჲ თორნიე აღმოსავალეთს" ი.-ე. 20,19; „ყოველსა აღმოსავლეთისა ნოელისოჩოსმან" A—484, 324. იხ. აღმოსლვა; შდრ. მზის-აღმოსავალი/ჩუნ-აღმოსავალი.

აღმოსაკუეთელ-ი ამომკვეთი: „წარიღეს თანა წერაქჲ და ეჩუაჲ და ქვისა აღმოსაკუეთელნი" Sin.-11, 242v. იხ. აღმოკუეთა.

აღმოსლვა «აღმომორჩება», აღმოცენება, ამოსვლა: „აღმოვიდა იოსებცა გალილეაჲთ" ლ. 2,4; „აღმოვიდენ ქუეყანისა მისგან" ოჳხე 1,11; „მეუსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით" DE.—„მენეჳეს ოდენ, ეითარ აღმოვიდოდა იგი მიერ წყლით" C, მრ. 1,10; „აღმოვალს მზე და დაჰვალს მზე" ეკლს. 1,5; „იწყო თმამან თავისა მისისამან აღმოსლვად" M,—„იწყო თმამან თავისა მისისამან აღმოჩორჩებად" G, მსჯ. 16,22; „იყო აღმოსლვასა სულისა მისისასა" დაბ. 35,18.

აღმოსრულ-ი «აღმოცენებული», ამოსული: „იყუნეს ეინმე წარმართნიცა აღმოსრულთა მათგანნი" ი. 12,20; „აღმოვიდოდა და აღორძნებოდა" DE,—„აღმოცენებული და აღორძინებული" C მრ. 4,8; იხ. სლვა; აღმომაეალი, აღმოსავალი.

აღმოსხმა ამოსვლა, გაზრდა: „ვიდრემდის აღმოგესხას თმაჲ და წეერი" I ნშტ. 19,5 იხ. სხმა.

აღმოტაცება გამოტაცება, გამოგლეჯა: „მიერ ჴელმან ჩემმან აღმოიტაცნეს იგინი" ამოს 9,2.

აღმოტაცებულ-ი «გამონატაცები»: „შეჰჯლემული... მოკუეთილი და აღმოტაცებული არა შესწირო იგი უფალსა" pb.,—„შეჰჯლემული და გამოკუეთილი და გამონატაცები არა მოჰგუარნით ესენი უფალსა" G, ლევიტ. 22,24. იხ. ტაცება.

აღმოტევება «განტევება»: „აღმოუტევა სული" C,—„განუტეჳა სული" DE, მთ. 27,50. იხ. ტევება.

აღმოტჱინება ამოგიზგიზება: „პირით ალი ცეცხლისაჲ აღმოუტყუინებისჴ" ბარლ. 225r. იხ. ტყინება.

აღმოფრინვა ამოფრენა: „ტრედი სჱტაკო... აღმოფრინდა პირით მისით" ჰ. ცხ. 161r. იხ. ფრინვა.

აღმოფშჴვა ამოსუნთქვა: „რაჲთა... მოელოდის განსაცდელსა ვიდრე უკუანასკნელად აღმოფშჴვადმდე" ჰ. ცხ. 354v. იხ. ფშჴვა.

აღმოფხურა ამოგლეჯა, ამოგდება: „აღმოჰფხურათ მის თანა იფქლიცა" მთ. 13,29; „რაჲთა აღმოჰფხურას საჯსენებელი შენი გულისაგან ჩემისა" ჰ. ცხ. 60r; „რაჲთამცა ქართველნი ამის მონასტრისაგან აღმოჰფხურნეს" ი.-ე. 50,23. იხ. ფხურა; აღმომფხურელი.

აღმოქმნა ამოთხრა: „ჭურღმულებისა მის აღმოქმნულებისა, რომელ არა შენ აღმოჰქმნენ" II მჯ. 6,11. იხ. ქმნა.

აღმოქუან- ამოტანა: „რომელსა აღმოაქუნდა წყალი" III მფ. 18,44. იხ. ქუან-.

აღმოქუმა ამოყვანა: „არა-ჱე მეყსეულად აღმოიქუა" ლ. 14,5. იხ. ქუმა.

აღმოღება «აღმოქდა», ამოღება, ამოგლეჯა: „აღმოიღე იგი (თუალი)" DE,—„აღმოიქადე იგი" C, მრ. 9,47; „აღმოუღო მათ გული ქჳისაჲ... და მიესცე გული ჯორციელი" ეზეკ. 11,19; „ენაჲ მისი კისრით აღმოუღონ" რიფს. 170,39. იხ. ღება.

აღმოყვანება «აღყუანება», აყვანა, წაყვანა: „აღმოიყვანეს ყრმაჲ იგი იერუსალჱმდე" DE—„აღიყუანეს იგი იერუსალჱმდე" C, ლ. 2,22; „აღმოიყუანეს იოსებ ჯურღმულისა მისგან" დაბ. 37,28. იხ. ყუანება; აღმომყვანებელი.

აღმოყრა ამოღება: „იჴუელდა და აღმოჰყრიდა თეღვასა" ჰ. ცხ. 128v; „სისხლსა აღმოჰყრიან გუამით მისით" ჰ. ცხ. 124r. იხ. ყრა.

აღმოშობა ახლად შობა, აღდგომა: „ვარქუ თავსა ჩემსა: დღეს ახლად აღმოიშევ" ჰ. ცხ. 445r; „კუალად ღაჳე სიონს შინა მკუდრეთით აღმოიშუა" ეპ. კჳპრ.-დიფლ. 82v. იხ. შობა.

აღმოშრეტა დავსება: „თჳალნი სედეკიაჲსნი აღმოჰშრიტნეს" ჱრემ. 52,11. იხ. შრეტა.

აღმოცემა აღმოდინება; მოცემა: „აღმოსცეს გულმან ჩუენმან მრავალსახჱ სიტყუათა შემოძინებაჲ" ფსალტ. 138,3; „აღმოსცა სულნი თჳსნი ჴშჳდობით" ფოკა 345r. იხ. ცემა.

აღმოცენება, აღმოცჱნება «აღმოჴდომა», ამოსვლა, ამოყვანა, ამოდინება: „რაჲთამს დაეთესოს, აღმოსცენდის" C,—„ოდეს დაეთესოს, აღმოჴდის" DE მრ. 4,32; „აღმოუცენა თიაჲ პირტეტყუთა" ფს. 103,14; „აღმოსცენდა თმაჲ" მარკ. 250r; „გამოშეეს და აღმოაცენოს და მოსცეს თესლი მთესველსა" ეს. 55, 10; „აღმოეაცენო ეუეყანასა ურწყულსა ნაძჳ" ეს. 41,19.

აღმოცენებულ-ი «აღმოსრული», წარმოშობილი: „ვამოსეს ნაყოფი აღმოცენებული და აღორძინებული" მრ. 4,8; „მორჩად აღმოცენებულ, შვილო" ფს. 2,7; „აღმოცენებული და აღორძინებული (გამოსცის ნაყოფი)" C,—„აღმოვიდოდა და აღორძნებოდა (მოკლებდა ნაყოფსა)" მრ. 4,8. იხ. ცენება.

აღმოცხნა ამოცხნა: „აღმოიცხნიდეს საცხოვნელსა საცხოვართა შორის" ლევიტ. 11,4; „კუალად-ძოეს

იგი... და ოდეს პოჰვეხოს პირი ეკალმან, აღმოიცოხნის იკი" 8. ცხ. 278r. იხ. ცოხნა.

[აღმოწება] ამოწება: „პატრი ჴენჯნითერთ მსგავს არს ბახლსა, თაფლსა შინა აღმონწებულსა" A—86,10r. იხ. წება.

აღმოწოდება ხელახლა წოდება: „დაღათუ განჴენ მარხვითა კორცნი მონაზონისანი, გარნა სული სიღრეთაჲან ენებათაჲსა აღმოიწოდების" 8. ცხ. 120r. იხ. წოდება.

აღმოწუდა ამორთმევა, ამოგლეჯა, ამოხდა: „აღმოუწუაღნეს ენანი მათნი" რიფს. 177,20: „სასტიკებით აღმოსწუაღე სული მაჴისი" 8. ცხ. 411v. იხ. წუდა.

აღმოწყვა ამოკორტნა (თვალთა): „უკუეთუ ვინმე აღმოუწყუნის თუალნი მართუეთა მათ მისთა, აქუს მათ სამკურნალოჲ" ბახ. კეს.-ეჭუს დღ. 115,25. იხ. წყვა.

აღმოჭრვა «განთენება»: „ვიდრე ვიდის აღმოჭრდეს ცისკარი" G.—„ვიდრე განთენებადმდე ხვალისა" O, მხჯ. 16,8. იხ. ჭრვა.

აღმოხილვა ძებნა, ჩხრეკა: „აღმოიხილეთ იგი ვითარცა ქეაბი" იერემ. 50,26. იხ. ხილვა.

[აღმოხუეწა]: აღმოხუეწინ-ი ამოკვართული: „აღმოხუეწინი ურცხვნოდ სამოსლითა მათითა" S—1141,502. იხ. ხუეწა.

აღმოხუმა ამოთხრა, ამოღება: „აღმოუხუნეს მას თუალნი" მოძღახლ. 21,12. იხ. ხუმა.

აღმოჴდა «აღმოღება», «აღმოკუეთა», ამოთხრა; «ჴდა», ამოწედა: „აღმოიკადე იგი" C.—„აღმოიღე იგი" DE. მრ. 9,47; „აღმოჰჴადნეს თუალნი მისნი" M,—„აღმოჰკუეთნეს თუალნი მისნი" მხჯ. 16,21; „აღმოიჴადა მახჳლი თჳსი" C,—„იჴადა მახჳლი თჳსი" DE მთ. 26,51: „აღმოიჴადა იგი და სცა მღელთა-მოძღურისა მონასა" C, ი. 18, 10; „დააჴენ მახჳლი ქარქაშთა მათთა, რაჲთა არა აღმოიჴადოს ბრძოლად" 8. სწ. 66,14. „უბრძანა... აღმოჴდაჲ თუალთაჲ" H — 341,5; „იყუნეს თუალნი აღმოჴდილ" მრთ. C, ხაქკლ. უწყ. 1200. იხ. ჴდა.

აღმოჴდომა «გამოსლვა»; «აღმობრწყინება»; «აღმოცენება»; ამოსვლა, ამოხდომა: „აღმოუჴდა მეხუთე წილი ნათჳსაჲსა" M,—„გამოვიდა წილი მეხუთე ასორისა" G. იხუ 5. 10,24; „ვითარცა მზე აღმოჰჴდა" DE, —„აღმობრწყინებასა მზისასა" C, მრ. 4,6; „ოდეს დაეთჳსის, აღმოჴდის" DE,—„რაჟამს დაეთჳსის, აღმოსცენდის" C, მრ. 4,32; „უკუეთუ აღმოჴდეს თჳჱზი ჴმელად" 8. სწ. 166, 21. იხ. ჴდომა.

აღმოჴოცა აღმოფხვრა: „აღმოჴოცე სახელი შენი აღწერილთა მათჴან თინამძღუბთა" ანდ.-ანატ. 109,27. იხ. ჴოცა.

აღმოჴუარდნა ჩაცვენა, ჩაყრა: „კბილი მჴეელისა თჳსაჲ... აღმოჰჴუარდის" გამოხლ. 21,27. იხ. ჴუარდნა.

აღმოჴჴლება აღმოცენება: „აღმოჯჴჴლდენ მარცუალნი იგი" ფიზ. IV,24. იხ. ჴჴლი.

აღმრღუევა, ამრღუევა «აღრღუევა», ამღვრევა; აშლა: „რაჟამს წყალი ესე აღიმრღუეს" C,—„რაჟამს წყალი ესე აღირღუეს" DE. ი. 5,7; „აღიმრღუევდ წყალთა ფერჴეთა შენითა" ეზეკ. 32,2; „ვინ შთააგდის ქვაჲ წყალსა წიდასა და აამრღჳს იკი" Sin.-97,50r; „აღიმრღუა გულის-თქუმითა ტრუიალებისაჲთა" რიფს. 103,20.

აღმრღუევა «აღძრვა»: „რომელნი მოელოდეს წჴლისა მის აღმრღუევასა" C.—„რომელნი ელიედ წყლისა მის აღძრვასა" DE. ი. 5,3. იხ. მრღუევა.

აღმსაარებელ-ი ვინც აღიარებს: „აღმსაარებელნი სამებისანი" ბალ. 18,10. იხ. აღსარება.

აღმსთობ-ი ადრე ამდგარი: „აღმსთობმან იისუმან ჴანთიად" G.—„აღიმსთო ისო განთიად" M, იხუ 5. 8,10. იხ. მსთობა.

აღმსთობა, ამსთობა ადრე ადგომა, «მსთობა»; სწრაფვა: „ყოველმან ერმან აღიმსთჳს მისა ტაძარსა მას შინა სმენად სიტყუათა" ლ. 21,38; „აღიმსთო მოსე განთიად" გამოხლ. 24,4; „აღიმსთუეთ ხვალისაგან" M,—„იმსთუეთ ხვალისა" G, მხჯ. 19,2; „აღვიმსთოთ ჴენაჴუბად" O,—„ვიმსთოთ ჴენაჴთა შინა" M, ქებ. 7,11; „შენდამი აღვიმსთე" Č.—„შენდამი აღვიმსთობ" Q, ფს. 62,2; „რომელთა აიმსთონ მისა, აღივსნენ ყოველთა კეთილითა" ზირ. 4,19; „იხილო კაცი, მრჩობლად მეჴნიერი, აღიმსთუე მისა" 8. სწ. 10,22.

აღმსთობა «აღდგომაჲ მსთუად»: „ცუდად არს თქუენი ეგე აღმსთობაჲ" Q.—„ცუდად არს თქუენი იგი აღდგომაჲ მსთუად" Č. ფს. 126,2. იხ. მსთობა; აღმმსთობელი, აღსამსთობელი.

აღმსხდომ-ი შემჯდომი: „აღმსხდომნი ოცდაათორმეტთა საჴეღართა" G, მხჯ. 10,4. იხ. მსხდომი.

აღმტკმება, ამტკმება პირის დაღება, გაღება: „აღუმტკმიედ პირი და შეჰხედვიედ მას" I ეზრა 4,19; „პირი აემტკმო და შეჰხედვიდა მას" I ეზრა 4,31. იხ. მტკმობა.

აღმტრველ-ი დამძერელი: „ძალისა თანა მათისა პირველნი აღმტრველნი" რიცხ. 9,9. იხ. ტრვა; [მტრველი].

აღმურვა შემურვა: „თანა აქუნდა მური, არა რაჲთამცა აღმურნეს კორცნი უფლისანი" მრთ. F, 94v. იხ. მურვა.

[აღმჭისება] არაგლეჯობა: აღმჭისებულ არნ ზურგი მისი იისუერად" ბალ. 21,6. მჭისი, მჭისე.

აღმჭუმელ-ი, ამჭუმელ-ი მეანი, ბებია, ჩვილის მიმღები: „რაჲსა შემემთხჳნეს მუკლნი აღმჭუმელთანი?" ფლტკ. 142,27; „მოიღო ამჭუმელმან მან" დაბ. 38,28. იხ. ყრმის(ა)-აღმჭუმელი.

აღმღე, აღმლებელ-ი ვინც ტკივრთულობს, «მჴდელი»: „მისცა იგი აღმღეთა კიდობნისათა" G, II მჯ. 21,9; „ფერჴნი მღდელთანი ამღებელთანი კიდობნისა" G.—„ფერჴნი მღდელთანი, რომელთა აღეღოს კიდობანი იგი" M, იხუ 5. 9,15; „დადგეს... აღმღებელნი მახჳლისანი" pb.,—„დადგეს... მჴდელნი მახჳლსა" G, მხჯ. 20,2. იხ. აღღება.

აღმღერა «კრთომაჲ», შეძრვა, შეხტომა, შეთამაშება; «განხარება»: „აღიმღერნა ყრმამან მუცელსა მისსა" C,—„ჰკრთებოდა ყრმაჲ იგი მუცელსა მისსა" DE, ლ. 1,41; „აღიმღერა (ქუეყანამან) შუენიერებითა თჳსითა" ბახ. კეს.-ეჭუს. დღ. 65,8,—„თჳსთა მათ სამკაულთა ზედა განიხარა" Q, 51,18. იხ. მღერა.

აღმცირება შემსუბუქება; აღფხერა: „აღუმცირებდეს ნავსა მას" ხაქ. მოც. 27,38; „განაფიცხა უღონი ესე ჩუენ ზედა და აწ შენ აღგჳმცირე" III მფ. 12,4; „აღამცირა სნეულებაჲ და სალმობაჲ ჩუენი" ფიზ. VI,38.

აღმცირებულ-ი მჩატე, მსუბუქი: „სული აღმცირებული აღძრვასა ვერ დვან დამტკიცებულად“ ხ. გაბაალ.-მოც. ხაჯხ. 100, 87. იხ. მცირება.

აღმძრველ-ი იხ. შფოთის-აღმძრველი.

აღმწედრება შესხდომა ცხენებზე: „აღიმჭედრენით მჭედარნი“ იერემ. 46,4; „აღმჭედრდენ მჭედარნი მისნი“ ამმ. 1,8; „მჭედრებისა აღმჭედრებაჲ“ ნაუმ 3,2.

აღმწედრებულ-ი «აღმავალი»: „აღმჭედრებულ იყო კაჰრაულსა ზედა მისსა“ რიცხ. 22,22; „კაცი აღმჭედრებული ცხენსა ზედა ხსედსა“ O.—„მამაცი აღმავალი ცხენსა ზედა ხსედსა“ pb., ზაქ. 1,8. იხ. მჭედარი.

აღნადგინებ-ი «ვახში», პროცენტი, სარგებელი: „მოამცა-ვედა აღნადგინებითურთ ჳქმენიგი“ DE.—„მოაცევდ მე და ვახშითურთ ექმენიგი“ ლ. 19,23; „ვეცხლი თჳსი აღნადგინებად არა მისცეს“ ეზეკ. 18,8. იხ. აღდგინება.

აღნათქუემ-ი აღთქმული, შეპირებული: „აღვასრულო აღნათქუემი ჩემი“ II მფ. 15,7; „წლითი-წლად მოვიდის და აღასრულის აღნათქუემი იგი მსხუერპლისა“ ჭ. ცხ. 128,5. იხ. აღთქუმა.

აღნთება, ანთება მოკიდება, სინათლის გამოცემა; აგზება: „არცა აღანთიან სანთელი“ მთ. 5,15; „თჳთცეცხლი აღანთისა“ ფიზ. X, 21; „აღანთნა სანთლად ჯორცნი თჳსნი“ გრ. ანძ.-შობ. 200,21; „აღენთენ ნავშირი ესე“ Sin.—6,215v. „იგი იყო სანთელი, რომელი აღნთებული ნათობდა“ ი. ა,35; „... თჳნიერ ზეთისა, და ივიცა რომელნი მკითხველნი იყუნიან ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერლად აინთიან“ ი.-ე. 40,17. იხ. ნთება.

აღორძინება «განმწჳსება», «განორძინება», «წარმატება», ამოზრდა, გაზრდა; ასაკს მოწევნა: „აღორძნდა ყრმაჲ იგი“ M,—„განმწჳსნა ყრმაჲ“ G, შჯ. 13,24; „თესლი იგი აღორძნდებინ“ C,—„თესლი იგი აღმოჰსცენდების და განორძნდებინ“ DE. შრ. 4,27; „აღორძნდებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა“ C,—„წარმატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა“ DE, ლ. 2,52; „აღორძნდების სარწმუნოებაჲ ეგე თჳნეული“ II თს. 1,3; „რაჟამს აღორძნდებიან ლეკუნი“ ფიზ. XIII,22; „რაჟამს აღორძნდიან მართუენი იგი, აღურინდიან“ ფიზ. XXI 21; „აღაორძინის უუაცილი მისი“ ეს. 61,11; „რაჟამს აღორძინდა“ თეოდრ. 552. „წინაჲსწარ აღორძინებისა იქცეული და ვალს“ ფლტკ. 158,7. „აღორძინებულ იყო და გამოელო თაეწარსხმული იფქლისაჲ“ ლიმ. 42,16.

აღორძინებად-ი რომელიც უნდა აღორძინდეს, ე. ი. გაიზარდოს: „შ... ძმანო, აღორძინებადნო და წარმატებადნო“ A—484, 318. იხ. აღმაორძინებელი; ორძინება.

აღოჯრება, აოჯრება «მოოჯრება», დაქცევა, დანგრევა, დარღვევა: „ყოველი სამეუფოჲ, გაეთული თაესა ზედა მისსა, აღოჯრდის“ მთ. 12,25; „ქალაჲი ესე აღოჯრდეს მკჳდრთაგან“ იერემ. 26,9; „დაჰჴსნნეს და აღაოჯრნეს ზღუდენი იერუსალჵმისანი“ I ეზრა 1,55. „იყო შემდგომად... აღოჯრებისა (მოოჯრებისა O) იერუსალჵმისა“ გოდ. იერემ. 1,0. იხ. ოჯრება; აღმაოჯრებელი; ოჯერი.

აღპარსვა «დაყუენა», მოპარსვა, გაკრეჭა: „შიშულად ნუ აღიპარსენედ თავთა მათთა“ ლევიტ. 21,5; „აღიპარსე თავი შენი და განაგდე“ იერემ. 7,29; „არა აღიპარს“ pb.,—„არცა დაიყჯნენ თავნი მათნი“ O, იერემ. 16,6. „მოუწოდა უფალმან.. ტყეებსა და აღპარსვასა (პარსვასა O)“ ეს. 22,12. იხ. პარსვა.

აღპყრობა, აპყრობა აღმართვა, აშვერა, «განპყრობა», აღება, გაშლა: „აღიპყრნა ჴელნი თჳსნი და აკურთხნა იგინი“ ლ. 24,50; „აღვიპყრენ ჴელნი ჩემნი“ II ეზრა 9,5; „არავინ მათგანმან აღიპყრას თავი“ ზაქ. 1,21; „აღეპყრა მწყემსსა არგანი ცემად მათდა“ ღთშ. შობ. 191,10; „აღუპყრნა ნეტარმან ანატოლე ფერჴნი“ ანდ.-ანატ. 225,6; „აღიპყრენ ჴელნი ტაძარსა ამას“ III მფ. 8,38; „აღიპყრა მარჯუენჱ“ ფლპ. მოც. 8,32; „აღგიპყრნენ ჴელნი“ C.—„განგიპყრნენ ჴელნი შენნი“ DE. ი. 21,18. „აპყრობასა ჴელთა ჩემთასა ტაძარსა წმიდასა შენსა“ ფს. 27,2; „ჴელზე აპყრობით ლოცვასა და ვედრებასა შინა იყუნეს“ შრთ. S, ოქრ.-შარხ. და იონ. 106,5. იხ. პყრობა; აღსაპყრობელი, ჴელის-აპყრობა.

აღულავილ-ი ხმის ამაღლება, ახმაურება: „მას ჟამსა აღჳღიანეს, რომელნი-იგი გარემოს დგეს“ ფსლტკ. 137, 27. იხ. ჳღავილი.

აღრაცხა, არაცხა, აღრაცხვა, არაცხვა: აღრიცხვა; დათვალიერება, «ანდეზ-ყოფა», «თანა-აღხილვა»: „აღრაცხეს ყოველი ძუალები ჩემი“ ეს. 12,18; „აღრაცხენ ვარსკულავნი“ დან. 15,5; „შეპრთავს და ერთბამად აჰრაცხავს“ Alh.—11, 147v.:—„აღირაცხენ მომგებელისა თჳსისა თანა“ pb.—„ანდეზოს მომგებელისა თანა მისისა“ G. ლევიტ. 25,50; „აღრაცხა აქაბ ყრმები იგი“ III მფ. 20,15; „არა აღირაცხნეს შორის ძეთა ისრაელისათა“ pb.,—„არა თანა-აღხილულ იქმნეს ძეთა თანა ისრაჱლისათა“ G, რიცხ. 1,47. „აღრაცხვა ყო ერისა“ მსჯ. 32,10; „შევდგომად აღრაცხისა მის, რომელნი-იგი აღრაცხნა დავით“ II სმტ. 2,17. „ყოველნი აღრაცხულნი ბანაკისაგან იუდაჲსა“ რიცხ. 2,9; „აღრაცხილ არიან“ მთ. 10,30. იხ. რაცხა/რაცხვა; ა(ღ)ურაცხელი.

აღრბენა არბენა: „აღვირბინო და ვეწიო“ IV მფ. 5,20; „აღირბინე და არქუ ჰაბუკსა იმას“ ზაქ. 2,4. იხ. რბენა.

აღრევა «თანა-აღრევა», შერევა, არევ-დარევა, მღელვარება, არეულობა: „აღერინეთ მათ და იგინი თქუენ“ M,—„თანა-აღერინეთ მათ და იგინი თქუენ“ G. ისუ ნ. 23,12; „ყოველი რომელი აღერიოს ამათ, ვერ იყოს ბრძენ“ ივ. სოლ. 20,1. „ეგდენსა მას შინა ჭირსა და აღრევასა ზღჳსასა“ შრთ. S, ოქრ.-შარხ. და იონ. 106,10; „არა მცირედ რაჲმე აღრევა იყო შორის სომეხთა“ რიფხ. 167,27. „ჴამდეს ბზჱსა აღრეულსა ჴრთილითა“ ეს. 10,34; „იხილე რაჲნაჲ აღრეული კაცსა“ დან. 2,41; მართუენი მათნი აღრეულად იქცეოდიან“ ეს. 11,7; „ხოლო ამბოხებაჲ აღრეული, რომელთა არა აციან შჯული“ C, ი. 7,49; „აღრეულსა მას თანა გულთან უთქუა გულის-თქუმაჲ“ რიცხ. 11,4; „აზნაურნი იგი აღრეულად გლეხითურთ ეტენებოდეს“ რიფხ. 167,37. იხ. რევა.

აღრეკა მოხრა: „ბრძანა თითოეულისა მათისა მუჴლისა

აღრეკად და გრკოლი რკინისად უკუნ ცეკად“ H—341, 473. იხ. ღრეკა.

[აღრთუა] განწყობა: „ვითარცა ქმად ებნისა ქმა-შეუნიერისად და აღრთუღისად“ ეზეკ. 33,32. იხ. რთუა.

აღრთუმა «შეწირვა», მირთმევა: „აღართუნა მუნ ყოველად დასაწუანი უფალსა“ G,—„შეწირა მუნ მრჩულად დასაწუელი უფლისა“ M, ისუ ნ. 8,31. იხ. რთუმა.

აღრთხმა აღმართვა, აზიდვა: „ვითარცა აღირთხნეს მეკრძალეთა მათ წჰიდასა მას ზედა“ ფსკტ. 150,24; „დკეს ეკრეთ აღრთხმულნი კელნი მათნი“ ფსკტ. 150,25. იხ. რთხმა.

აღრისხება გაფიცხება, მრისხანება: „აღრისხებასა ღელვათა მისთასა ძლიერებითა მკლავისა შენისადთა დააყუდებ“ B, სბხტ. 186,21. იხ. რისხება.

აღრიცხუა «ანდერძობა», დათვლა: „არა აღჰრიცხუან მოკებულსა მას, არამედ თუალავნ მოუკებელთა მათ“ H—2251, 295v; „აღრიცხნა იგინი (ერი) გალგალასა შინა“ pb.,—„ანდერძობა ყო გალგალს“ O, I მფ. 15,4. „რომლისა აღრიცხუად ვერვინ შემძლებელ იყო“ აკ. 7,9. „მოვიელინე აღრიცხუად ნაბიჯსა შენსა“ ჰ. ცხ. 200v. იხ. რიცხუა.

აღრღუევა «აღძრვა», «აღმრღუევა», აღელვება, აღშფოთება: „ზღუაჲ იგი ძლიერთა ჭართაგან აღირღოდა“ C,—„ზღუაჲ იგი ჭარისაგან დიდისა აღიძრვოდა“ DE, ი. 6,18; „რაჟამს წყალი ესე აღირღუეს“ DE, — „რაჟამს წყალი ესე აღიმრღუეს“ C, ი. 5,7. „ვერ ვიკადრე... ეგემღუევანისა მის ერისა აღრღუევად“ პოვნ. ხტეფ. 602,17. „მძლავრებისა და აღრღუევათაგან... მეეედრნიან უფალსა“ აკ. რომ.-კურთხ. მოხ. 178,8. იხ. რღუეა; აღმარღუეველი.

აღრჩევა არჩევა: „შენ განხრწნადსა საკმარსა აღირჩევ უფროჲს ძმისა შენისა“ ი.-ე. 39,35; „დაუტევე უკეთესი და აღირჩიე უდარესი“ ჰ. ცხ. 84r. იხ. რჩევა.

აღსაარება, აღსარება «მადლობა», კურთხევა; აღიარება, ალთქმა; რწმენა: „აღუვარებდა უფალსა“ DE,—„ქმადლობდა უფალსა“ C, ლ. 2,88; „ეკლესიასა შინა დიდსა აგიარო შენ“ ფს. 21,26; „რომელმან ამიარონ მე, აღვიარო იგი მეცა“ მთ. 10,32; „ნებითა ჩემითა აუვარო მას“ ფს. 27,7; „აღიარებს, ვითარმედ ცნობაჲ აქუს ღმრთისაჲ“ ხიბრძ. ხოლ. 2,13; „აღიარებდა უნებლებით“ ეზტ. 116,11; „აუარებდით უფალსა და აქებდით“ II ეზრა 3,11. „მიეცით აღსაარებაჲ უფალსა ღმრთისა მამათა ჩუენთასა“ I ეზრა 9,8; „ყოფით ვყო აღსარებაჲ ჩუენი, რომელი აღუთქუთ დედოფალსა ცისასა“ იერემ. 44,25. იხ. აღმსაარებელი.

აღსაბურველებ გახსნა, «აღკეცა», გაშიშვლება: „აჰსაბუველნი ფერკითნი ბისნი“ G, რუთ. 3,4; 3,7; „აღგესაბერველნეს უკუანა კერძონი შენნი განსაქიქებელად ქუეყანისა შენთა“ pb.,—„აღგეკეცნა ჭუე უემონი (ქუეყოჲ I) განსაქიქებელად ტერფთა ჩენთა“ O, იერემ. 13,22.

აღსაგებელი «ტკრთი», მოწყობილობა: „თანა-წარიღენ ყოველივე აღსაგებელი თჳსი, რომელ რაჲ იყოს“ II ეზრა 1,4; „კაპრაულნი ეგე აღსაგებელითურთ (რაჲ არიან?)“ O,—„კარაულნი ეგე ტკრთითურთ...“ I, II მფ. 18,2 იხ. აღგება 1.

აღსაგზლება «დამზადება საგზლისა»: „მოსრულნი აღეს აგზნეს და განეშზადნეს“ G,—„მოვიდეს და იმზადეს საგზალი“ M, ისუ ნ. 9,4. იხ. საგზლება.

აღსავალ-ი საფეხური; აღმართი; მაღლობი; კედელი: „ვითარცა მიიწია იგი აღსავალსა მას“ საქ. მოც. 21 35; „არა აღჰკდე აღსავალთა საკურთხეველისა ჩემისათა“ გამოსლ. 20, 26; „ქმნა მეფემან ძელითა ნაძკსაჲთა აღსავალი იგი სახლისაჲ“ II ნშტ. 9,11; „იქმნნეს მათდა მოხარკე და მთასა ამორრეველისასა აღსავალითგან აკრავინისაჲთ, კლდითგან და აღმართ“ მსჯ. 1,36; „დაჰფლეს იგი აღსავალსა მას საფლავსა“ II ნშტ. 32,33; „განამტკიცა აღსავალი იგი ქალაქისა დავითისი“ II ნშტ. 32,5. იხ. სლვა; აღსლვა.

აღსავსე სავსე: „აღსავსე ვარ ყოლითა კეთილითა“ ბაბ. 40,8; „მივემთხჳნით... კაცსა... მადლითა საღმრთოჲთა აღსავსესა“ ჰ. ცხ. 98r. იხ. სავსე.

აღსავსება სისავსე, სისრულე: „განსაგებელად აღსავსებისა მის ჟამთაჲსა“ ეფეს. 1, 10. იხ. სავსება.

აღსამატებელ-ი «არდაბაგი», ზღუდეზე მოვლებული გოდლები: „უკუეთუ ზღუდე არს, აღვაშენნეთ მას ზედა აღსამატებელნი ვეცხლისანი“ M,—„უკუეთუმცა ზღუდ იყო, უშენნითმცა არდაბაგნი ვეცხლისანი“ ქო. 8,9. იხ. აღმატება.

აღსამაღლებელ-ი ამამაღლებელი: „მწე ჩემდა ხარ... აღსამაღლებელად თავისა ჩემისა“ ფს. 3,4. იხ. აღმაღლება; მაღალი.

აღსამსთობელ-ი დილა: „იყოს ჩემდა აღსამსთობელად“ IV მფ. 16,15. იხ. აღმსთობა.

აღსაპყრობელ-ი ასაღებელი, მხარზე გასადები კეტი: „კიდობანი იგი შჯულისაჲ და აღსაპყრობელნი მისნი“ გამოსლ. 39,35. იხ. აღპყრობა.

აღსარება იხ. აღსაარება.

აღსარვა იხ. ასარვა.

აღსასრულ-ი «მოსრულება»; «უკუანაჲსკნელი», «ხუჱნება», «უხჱნება», ბოლო: „ღუიდოდა აღსასრული ქალაქისაჲ მის ზეკად“ M,—„აღვიდა მოსრულებაჲ ქალაქისაჲ ვიდრე ცამდე“ G, მსჯ. 20,40; „რაჲ უყოს ერმან ამან ერსა შენსა აღსასრულთა დღეთა“ Fr,—„რაჲ უყოს ერმან ამან ერსა შენსა უკუანაჲსკნელსა დღეთასა“ G, რიცხ. 24,14; „აღსასრული ამის სოფლისაჲ“ მთ. 24,3; „აღსასრული მათი სიკუდილი არს“ ჰრომ. 6,21; „ოჴერ იყოს ყოველი ქუეყანაჲ, ხოლო აღსასრული არა ვყო“ pb.,—„უდაბნო იყოს ყოველი ქუეყანაჲ, ხოლო ოჴხუნება (უხჱნება I) ხოლო არა ვყო“ O, იერემ. 4,27. იხ. აღსრულება.

აღსატრველ-ი აღსაძვრელი: „იყუნენ შენდა (ნესტუნი)... აღსატრველ ბანაკთა“ რიცხ. 10,2. იხ. აღტრება.

აღსაფხურელ-ი: „არა გუუნე აღსაფხურელ“ pb.,—„არა ვყო თქუენთჳს აღცდა“ I, იერემ. 5,18.

აღსაღებელ-ი გასაყრელი ჯოხი ტეირთის ასაღებად: „დაჰხუროდინ მას ზედა საბურველნი... და განუხუნენ აღსაღებელნი“ რიცხ. 4,6; „ქმნნე აღსაღებელნი ძელნი ულპოლველნი და შეჰმოსნე იგინი ოქროჲთა“ გამოსლ. 25,13. იხ. აღღება.

აღსაშჳნებელ-ი სასარგებლო: „სიტყუასა აღსაშჳნებელსა უთხრობნ“ მრთ. A. ანტ. დ. 27v. იხ. აღშჳნება.

აღსაშურველებულ-ი ‹ზეჰილული›, ‹განცხადებული›, ღია: „ბილვასა ღმრთისსა მხილველი ძილსა შინა აღსაშურველებული თუალითა მისითა“ G,—„განცხადებულ არიან თუალნი მისნი“ pb.,—„ზეხილულ იყუნეს თუალნი მისნი“ M, რიცხ. 24,16.

აღსაშფოთებელ-ი ამრევი: „საფასე ესე... აღსაშფოთებელი გონებისაჲ“ ბალ. 82,37. იხ. აღშფოთება.

აღსაჴრელ-ი დასატაცებელი, ‹წარსატაცებელი›; გამოსახსნელი: „წარსწყმედელად მიეცნეს და სახლნი მათნი აღსაჴრელად“ დან. 3,06; „ჩჩულნი მათნი აღსაჴრელად“ M. — „ყრმანი მათნი წარსატაცებელად“ O, ესთ. 7,4; „საფასენი შენნი აღსაჴრელად მივსცნე“ იერემ. 15,13. იხ. აღჴრა.

აღსლვა ‹ამაღლება›, ‹აღჳდომა›, ‹აღგუალ-›, ‹შესლვა›, ასვლა, წასვლა: „აღჳიდე ფინჱსა და ვიპყრა სიმაღლე მისი“ M,—„აღჴჳდე ფინჱსა იმას და შებმა უყო სიმაღლესა მისსა“ ქებ. 7,8; „აღჳედ მაღნარად“ G,—„აღგუალე მაღნარად“ იხუ 5. 7,15; „ვითარცა აღჳიდეს“ DE,—„ვითარ აღიმაღლეს მათგან“ C, ლ. 2,15; „აღჳდოდა იესუ იერუსალჵ'დ“ მთ. 20,17; „აღჳლენან ცამდე, შთაელენან უფსკრულამდე“ ფს. 106,26; „აღჳიდოდეს და გარდამოვდოდეს“ დან. 28,12; „აღჳედ ვიდრე თავადმდე მთისა მის“ მარკ. 218r. „აიძულა... აღსლვად ნავსა“ C,—„აწუედა... შესლვად ნავსა“ DE, მრ. 6,45; „აღსლვან იგი მისი რაჲ-მე არს“ ეფეს. 4,9. „არღა აღსრულ-(ასრულ C) ვარ მამისა ჩემისა“ ი. 20,17; „მახჳლი არა აღსრულ იყო თავსა მისსა“ მრთ. C. წაე. ბაკ. 94. იხ. აღმაყალი, აღსაყალი; სლვა.

აღსობა შესობა: „მი-თუ-ეყრდნეს კაცი (ლერწამსა), აღესვის ჴელსა“ მფ. IV 18,21; „ლომი კელობდა ფრჩხილთა, რამეთუ აღესვა მას ჩნდჳ და შეუდგა წალაჲ“ Sin—8,067v; „განაპო ადგილი, სადა აღსობილ იყო ჩნდჳ“ Sin. — 8, 067v. იხ. სობა.

აღსპობა ‹აღწყრა›, ‹მოსრვა›, მოსპობა: „აღესპნეს იგინი ერთგზის“ G,—„აღჴოცნე ჳევნი ერთბაშად“ pb., რიცხ. 10,44; „აღგსპნეს თჳეენ“ G,—„მოგსრნეს თჳეენ“ იხუ 5. 24,20. იხ. სპობა.

აღსპოლვა ‹მოსრვა›, მოსპობა: „ვიდრემდის აღისპოლა ყოველი ნათესაჲ, მოჴუედნი ბოროტისანი“ G,—„ვიდრემდის მოსრა ყოველი იგი ნათესაჲ, რომელნი იქმენ ძჯრსა წინაშე უფლისა“ pb., II მჴ. 28.68. იხ. სპოლვა.

აღსრულ-ი იხ. აღსლვა.

აღსრულება ‹აღვსება›, ‹განსრულება›, ‹დასრულება›, შესრულება, გათავება, ქმნა: „ვითარცა აღესრულნეს დღენი რვანი“ DE,—„ვითარცა აღიჴსნეს დღენი რვანი“ ლ. 2,21; „ვითარცა აღასრულნა... სიტყუანი ესე“ C₂—„ვითარცა დაასრულნა... სიტყუანი ესე“ DE. ლ. 7,1. „ვიდრე აღსრულებადმდე ყოველად მის წელიწდისა“ pb.,—„ვიდრე არა განსრულდეს წელიწადი სრული“ G, ლევიტ. 25,30; „ვითარცა აღასრულებდა იოანე სრბასა თჳსსა“ საქ. მოც. 13,25; „აღგისრულენ უფალმან ყოველივე თხოვაჲ შენი“ ფს. 19,6; „კურნებასა აღესრულებ დღეს და ხვალე“ ლ. 13,32; „აღესრულოს ჴელითა მისითა“ დან. 11,10; „ყოველნი დღენი აღვასრულენ კიცხეით“ იერემ. 20,7; „შენსა ნებასა აღეასრულებ“ თომა მოც. 17,41. „შემძლებელი აღსრულებად რაჲსამე“ ეს. 3,8; „ვითარცა აღესრულნეს დღენი რვანი“ DE,—„ვითარცა აღიჴსნეს დღენი რვანი“ C,ლ. 2,21. „შემდგომად აღსრულებისა მათ დღეთაჲსა“ დან. 4,31. იხ. აღსასრული, აღსრულებელი; სრული.

აღსრულება ‹მოკუდომა›, ‹სიკუდილი›, ‹დასრულება›, გარდაცვალება, მოსპობა: „აღესრულე მთასა“ G,—„მოჴედ მთასა“ M. II მჴ. 32,50; „სადა მატლი იგი მათი არა აღესრულებისა“ C,—„სიდა-იგი მატლი მათი არა დაესრულებისა“ DE, მრ. 9,48; „საყმილითა აღესრულნენ“ იერემ. 11.22; „მახჳლითა აღესრულა“ ნრს. 77,24; „ტანჯვითა აღვასრულო შენ“ ფსლტ. 140,4. „ვიდრე აღსრულებადმდე პეროჲსსა“ მთ. 2,14; „არა ვიცი დღჱ აღსრულებისა ჩემისაჲ“ დან. 27.2; „შემდგომად აღსრულებისა ორთა ძეთა აარონისთაჲსა“ G,—„შემდგომად სიკუდილისა ორთა მათ ძეთა აარონისთა“ pb., ლევიტ. 10,1; „ჟამსა მას აღსრულებისასა (ტყოდა)“ რიფს. 175,35; დაადგინოს სახელსა ზედა აღსრულებისასა“ G,—„დაადგინოს იგი სახლად ძისა მის თჳსისა მომკუდრისა“ M, II მჴ. 25,6. „აღსრულებულნი კეთილთა მიჳცეა ულნეთ მისა“ ფსლტ. 148,32. იხ. აღმასრულებელი, აღსასრული; სრულება.

[აღსუარვა] შერევა: აღსუარულ-ი ‹ქმნული›, ‹შესუარული›, ‹შერეული›, მოზელილი: „მსხუერპლი აღსუარული ზეთითა და არა-აღსუარული“ G,—„შჳსაწირავი ქმნული ზეთითა, გინა უქმნელი ზეთითა“ O, ლევიტ. 7,10; „ზეთითა აღსუარულნი“ G,—„ზეთითა შესუარულნი“ O, ლევიტ. 2,4; „აღსუარული ზეთითა ნახევრითა დოჩაკისაჲთა“, G,—„შერეული ზეთითა კერძითა მით გუერდსითა“ pb., რიცხ. 15,9. იხ. [სუარვა].

აღსუბუქება, ასუბუქება შემსუბუქება: „მრაველსა სიმძიმისაგან აღსუბუქდი“ ი. მოც. 76,30; „ამისუბუქდეს მეტლნი ჩუენი“ მარკ. 248; „რაჲთამცა აღუსუბუქეს ნავსა და განირინნეს თავნი თჳსნი დათჳსისაგან“ ჱ. სწ. 50,11. იხ. სუბუქი.

აღსუმა შესმა: „აღსუა იგი თჳსსა კარაულსა“ ლ. 10, 34; „აღსუას იგი ცხენსა“ ესთ. 6,9; „აღსუან იგი საკედარსა ოქრო-აღჴრედსა“ I ეზრა 3,9. იხ. სუმა.

აღსწრაფა ჩქარობა: „აღვასწრაფდი ბილვად“ ი.-ე. 27,30. იხ. სწრაფა.

აღსწრება მისწრება, აჩქარება: „აღუსწრო აღლვად ეტლსა“ III მფ. 12,16. იხ. სწრება.

აღსხდომა შეჯდომა, შესხდომა: „აღსხდებოდეს ოცდაათორმეტსა საჳედარსა“ M, — „აღესხდომნი ოცდაათორმეტთა საჳედართა“ G, მჴ. 10,4; „ცხენთა არღარა აღვსხდეთ“ ოვხე 14,4. იხ. სხდომა.

აღსხმა ‹აღხუმა›, აყენება: „აღსხნა იგინი თხემსა ზედა მთისასა“ G,—„აღიხუნა იგი თხჳსა ზედა მის მთისასა“ M, მჴ. 16,8; „აღგისხუნ თჳეუნ ვითარცა ორბმან ფრთეთა ზედა“ გამოსლ. 19,4. იხ. სხმა.

აღტაცება ატაცება, მიტაცება: „აღიტაცა ეს ვითარი კაცი ვარე მესამედ ცაძდე“ II კორ. 12,2; „აღიტაცა გონებითა“ მრთ. A ანტ. დ. 20v; „აღიტაცეს იგი და აღსუეს საკედარსა უბჯლისა“ მ. ცხ. 177v.

აღტაცებულ-ი, ატაცებულ-ი აყუანილი; მოშრიალე; «ფრთოვანი», მთვრალი: „ღრებლთა აღტაცებული“ ნრნ. 78,18; „სდევნიდეს მათ ქმაჲ უურკლისა აღტაცებულისაჲ“ G. ლევიტ. 20,20; „აღტაცებულ არნ იგი“ O,—„ღრთოვან არს“ pb., იგ. სოლ. 7,10. იხ. ტაცება.

აღტევება «მოხუმა», გამოცემა, გამოღება: „აღუტევნის რტონი დიდნი“ C,—„მოიხუნის რტონი დიდნი“ DE. მრ. 4,32; „აღუტევა ქმაჲ“ C,—„ქმა-ყო ქმაჲ დიდი“ DE. მრ. 15,37; „რომელთა წმიდაჲ იგი აღუტევეს ქმაჲ“ ბ. ქეს.-ხბხტ. 117,17.

აღტევებულ-ი: აღტევებულად პოხილ-ი «თქონება», მიშვებულად ნაზარდი: „შველი აღტევებულად პოხილი გამოჴდს უწყალოდ“ O,—„ძე თქონებისაჲ ყადნიერ იყოს“ pb. ზორ. 30,3. იხ. ტევება.

აღტეხა, ატეხა აღშფოთება, აღელვება; ხმობა: „აღტეხეს ერი იგი და ქალაქტენი იგი სიტყჳთა მით“ ხაქ. მოც. 17,8; „აღეტეხა და ტიროდეს“ რიფს. 170,4. „რომელი დაუბნია ასურთა მათ აღტეხასა მას მათსა“ IV მფ. 7,15; „იყოს აღტეხაჲ მათ შორის“ ეზეკ. 30,9. იხ. ტეხა.

აღტეხა, ატეხა ახსნა: „შეჰრა ვაშკარანი ჴელითა თჳსითა და ბეჭედი იგი ჴელთა მისთა ვერღარა ასტეხეს“ მ. სწ. 222,28. იხ. ტეხა.

აღტეხილ-ი იხ. ღელვა-აღტეხილი.

აღტკივება ატკივება: „აღმტკივდა ოდესმე თუალი“ მ. ცხ. 60v. იხ. ტკეება.

აღტრვა «ძრვა», დაძვრა, გამართვა: „მოიქცით და აღიტრენით თჳნი“ II მჯ. 1,7. „აღტრვასა ბანაკისასა“ G.,—„ძრვასა ბანაკისასა“ pb., რიცხ. 4,15. იხ. აღსატრველი; ტრვა.

[აღტჯრთვა] აღტვირთულ-ი დატვირთული, აკიდებული, «დასხმული», აკიდებული: „მის თანა უღლეული ვირთაჲ აღტჯრთული“ G,—„მის თანა ორნი იგი კარაულნი დასხმულნი“ M. მსჯ. 19,10. იხ. ტჯრთვა.

აღტყდომა, ატყდომა, აღდყდომა «აღტყინება»; «შეძრწუნება», შეშფოთება; ანთება, დანთება, მოდება: „ცეცხლებრ აღტყდა გული ჩემი“ Ჭ,—„აღეტყინა გული ჩემი“, ფს. 72, 21; „ნუ აღტყდებით“ C,—„ნუ შეძრწუნდებით“ DE. მთ. 24,6; „ცეცხლი აღტყდა გულისწყრომისაგან ჩემისა“ II მჯ.32,22; „ცეცხლი აღგზებული აღატყდებოდის“ ეს. 10,16; „მაყულოანსა აღიტყდების ცეცხლი და მაყუალიგი არა შეიწუების“ გამოხლ. 8,2; „ვითარცა აღტყდებინ ლერწმოანსა ნაკურცხალი ცეცხლისაჲ“ ეს. 5,24; „ოდეს აღადყდეს ცეცხლი იგი, დასხმაჲ წყალი იგი“ ჰაგ. ათ.—12, 109r. იხ. ტყდომა.

აღტყინება «აღდება», «აღტყდომა», ანთება, წაკიდება: „აღიტყინა ცეცხლი ღაჳბართა შინა“ G,—„აღუდა ცეცხლი ღაჳბრებსა მას“ O, მსჯ. 15,5; „აღეტყინა გული ჩემი“ Ჭ,—„ცეცხლებრ აღტყდა გული ჩემი“ Ჭ, ფს. 72, 21; „აღატყინის ჩუენ შორის ცოდვაჲ ვითარცა ცეცხლი“ მ. სწ. 69,6; „აღეტყინის იგი ვითარცა ნაძეძი“ Sin.—50.15r.

აღტყინებულ-ი «დამწუარი»: „დიდი რისხვაჲ უფლისაჲ აღტყინებულ არს ჩუენ ზედა“ IV მფ. 22,13; „ცეცხლი აღტყინებულ არს გულის-წყრომისაგან ჩემისა“ იერემ. 15,14; „იყუნენ წარმართნი აღტყინებულ, ვითარცა ეკალნი უანობარსა შინა“ pb.,—„იყუნენ ნათესავნი დამწუარ, ვითარცა ეკალი ველსა ზედა“ O, ეს. 33,12. იხ. ტყინება.

აღტყორცება შესროლა, ასროლა: „რომელმან აღსტყორცის ქვაჲ ალმართ, თავსაჲე თჳსსა ზედა დამოჴდეს“ ზირ. 27,27. იხ. ტყორცება.

აღტყუება სიტყვის თქმა, ამეტყველება: „ვითარცა აღიტყუა ყრმაჲ იგი, უმეტეს ხოლო დაუკჳრდა ყოველთა“ ფსკტ. 154, 10; „ვიდრემდე აღიტყუა ზაქარია“ ღთმ. შობ. 186, 15. იხ. ტყუება.

აღტყუელვა ტაშის შემოკვრა: „აღიტყუელნა ერმან [მან და თქუეს“ IV მფ. 11,12; „აღიტყუელენით ჴელნი თქუენნი“ ფს. 46,2 იხ. ტყუელვა.

აღურაცხელ-ი, აურაცხელ-ი ურიცხვი: „უმჯობეს არს ჩუენდა, რაჲთა ერთი ბრძოლაჲ მაქუნდეს და არა მრავალნი და აღურაცხნი“ მ. ცხ. 19r; „აურაცხელთათჳს წყალობათა თჳსთა მისცემს მიზეზსა წყალობისასა“ მ. ცხ. 105r. იხ. აღრაცხა/აღრაცხვა.

აღუსრულებელ-ი უსრული: „აღუსრულებელ არს თავიცა მაგისი“ ფსკტ. 150,20. იხ. აღსრულება; სრული.

აღუძველ-ი უძრავი, უშფოთველი: „აღუძველ სულითა“ ლონგ. 188,25; „აღუძველ იქმნეს ბოროტისაგან“ მ. ცხ. 74v. იხ. აღძრა; ძრვა.

აღუჯამრავ-ი უამრავი, ურიცხვი: „აჰა ესერა სიმრავლე დიდძალი მოიწია ჴინჴელთაჲ აღურაკელი და აღუჯამრავი“ მ. ცხ. 200r. იხ. უამრავი; ჰამარი.

აღჯრ-ი აღვირი, ლაგამი: „ცხენსა აღჯრნი აღუსხნით დამორჩილებად ჩუენდა“ ბაქ. 3,3; „ჰიმითა და აღჯრითა უქცინე ღაწუნი მათნი“ Ქ, ფს. 31,9; „აღჯრითა და ტაჴგანაგთა სწაული ჰუნესა შენსა კეთილად სლვად“ მ. სწ. 147,20.

[აღჯრედ-ი] იხ. ოქროაღჯრედი.

აღჯრ-სხმა, აღჯრ-ასხმა ლაგმის დადება: „არა აღჯრასხნეს ენასა თჳსსა“ იაკ. 1,26; „საჴმეთა მისთა აღჯრასხნა“ მრთ. D, ოქრ.-პეტრე და ელია 317. „შემძლებელ არს აღჯრ-ასხმად გულის-სიტყუათა თჳსთა ძლიერად“ A—85,115v; „შემძლებელ არს იგი აღჯრ-სხმად ყოველსავე გუამსა მისსა“ იაკ. 3,2. „ბრძანა აღჯრ-სხმაჲ პირთა მათთაჲ“ მხკ. 50,12. იხ. სხმა, ასხმა.

აღფრენა, აფრენა «ფრთოვან-ყოფა»: „მაგათ აღმაფრინეს მე“ O,—„ამათ ფრთოვან-მყუეს მე“ M. ჭებ. 8,4; „აღფრინდა, აღიმაღლა იგი ფრთეთა ზედა ქართასა“ ფს. 17,11; „ორბმან მან ვერ შეუძლის აფრენაჲ სიმაღლესა მას აერთასა“ Sin.—07, 46v.

აღფრენილ-ი, აფრენილ-ი გაფრენილი; გამოსულელებული: „ყუის ჭაბუკი აღფრენილ გულითა“ იგ. სოლ. 7,10; „იყო შენ ვითარცა მფრინველისა აფრენილისა მართუენი“ ეს. 16,2. იხ. ფრენა.

აღფრინება აფრენა: „სიზმართა აღაფრინნიან უცნურნი“ ზირ. 81 (84), 1:

აღფრინვებულ-ი «მფრინვალე»: „ვიხილე... ცელი აღფრინვებული“ O.—„აჰა მანგალი მფრინვალე“ pb., ზაქ. 5.1. იხ. ფრინება.

აღფრქუევა, აღფქურევა ბნევა, ფანტვა: „მტერსა ზე აღაფქურევდეს (აღაფრქუევდეს) ჰაერთა ზე“ საქ. მოც. 22,28; „აღაფქურიენ მოსე ცად (ნაცარი) წინაშე ფარაოჲსა“ გამოსლ. 9.8; „აღაფრქუევდა ცად (ცრემლთა)“ ფლკტ. 141,8. იხ. ფრქუევა, ფქურევა.

აღფუვნება აფუება: „მსჯავს არს სასუფეველი ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდეს აღაფუვნოს“ ლ. 18,21; „მცირემან ცომმან ყოველივე შესუარული აღაფუვნის“ გალ. 5.9. იხ. ფუვნება.

აღფქურევა იხ. აღფრქუევა.

აღფხურა «აღდგომა»; გლეჯა, მოთხრა, «აღცდა», აღება: „აღიფხუერ ამიერ და შთაველ ზღუად“ DE,—„აღდეგ და შთავარდი ზღუასა“ C, მთ. 21,21; „ყოველი ნერგი... ძირითურთ აღიფხურეს“ მთ. 15.13; „აღიფხურეს მეუობაჲ იგი მისი“ დან. 11,4; „სასტიკისაგან ქარისა ძირით აღიფხურის“ სიბრძ. სოლ. 4,4; „წყეევამან ღედისამან აღფხურის (სახლი) საძირკუელითურთ“ ფლკტ. 148,24. იხ. ფხურა; აღსაფხურელი.

ა(ღ)ქავება «ოხრაა», ბგერის გამოცემა, «აღყივება»: „რაჲთა ყოველსა ესმოდის იგი და აღუქავნეს ყურნი მისნი“ O,—„რაჲთა ყოველსა, რომელსა ესმეს იგი, აღუქავნენ ყურნი მისნი“ I,—„ვიდრეცა ყოველსა მსმენელსა მათსა აღუყივდენ ყურნი მისნი“ pb., იერემ. 19.3; „აქავდეს (ოხრიდეს C) და შეძრწუნდეს წყალნი მათნი“ ფს. 45.4.

აღქაფება ადიდება: „აღქაფნებოდა წყალი იგი, ვითარცა სიმქაფრე ქვეისაჲ“ ეზეკ. 47.5. იხ. ქაფება.

აღქნა, აქმნა აშენება; ამართვა: „ზღუის-ზღუდე აღაქმნეს მას გარემო ქვითა თლილთა“ O.—„ზღუდის-ზღუდე აქმნეს მას გამოთლილითა ქვითა გარემოჲს“ I. იერემ. 52, 4; „აღუქმნა მას ტაძარი მარტორსა“ ვარ. 817; „აღიქმნა თავისა თჳსისა მონასტერი და შეეყენა შინა“ Ath.—12, 136v. იხ. ქნა.

აღქუ- ქოშინი: „ცხენი ედგა ქვითილი და სარბიელი, მყუეთრ აღექუდა და მოკუდა“ H—341, 208. იხ. ქუ-.

აღქუმა, აქუმა აღება, აყვანა; მიკერა; «წევნა», მიწევნა: „მსახურთა მათ აღიქუეს პატიოსანი ჯუარი“ იზტ. 110,13; „ჴელთა ზედა აღვიქუან შენ“ მთ. 4,6; „აღიქუა ყრმაჲ იგი“ ვარ. 810; „ენაჲ ჩემი სასაა ჩემსა აქუა“ ფს. 21,16; „აღექუნენ მას ყოველნი წყევანი“ G,—„ეწინეს მას წყევანი იგი“ M, II შჯ. 20,20. იხ. აღმქუმელი/ამქუმელი, ნათლით-აღქუმა; ქუმა.

აღქცევა წამოდგომა: „აღ-თავის-იქცია იონათან ტაბლისა მისგან“ I მფ. 20,34; „აღ-თავის-იქცინა ლომმან მან ძუმან... შეიპყრა დათჳ და განხეთქა“ თეკლა 115,2. იხ. ქცევა.

აღლალება «ღალადება», ხმობა: „აღღალებასა მათსა დაეცნეს თავით თჳსით ზღუდენი ქალაქისანი“ ისუ 5. 6,5. იხ. ღალადება; ღალადი.

აღლალატ-ყოფა «ღალად-ყოფა», ხმობა: „აღღალატყავნ ყოველმან ერმან თანად“ G,—„აღალატყავნ ყოველმან ერმან“ M, ისუ 5. 6.5. იხ. ღალადი.

აღღება, აღება «მოღება», «აღკიდება», «მოსპობა»; აღება, წაყვანა; აღფხვრა; წამოყოფა; ამაღლება, აწევა; ახოცა; გაღება: „არა აიღეს მათ თანა ზეთი“ C,—„არა მოიღეს მათ თანა ზეთი“ DE, მთ. 25, 8; „რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი“ DE,—„რაჲთა აღიკიდოს ჯუარი მისი“ C, მთ. 27,32; „აღიღო ამორეველი იგი ერისაგან თჳსისაჲ“ M.—„მოსპო ამორეველი პირისაგან ერისა თჳსისაჲ“ G, მხჯ. 11,23; „აღიღეს ნეშტი ნამუსრევისაგან“ მთ. 14,20; „ეპისკოპოსთა... აღიღეს გუამი“ შუშ. IV, 6; „აღიღო ძე თჳსი... და მთაწმიდას მოვიდა“ ი.-ე. 17,4; „აღვიღოთ ქუეყანით საჴსენებელი მისი“ იგ. სოლ. 1.12; „მოძულეთა შენთა აიღეს თავი მათი“ ფს. 82, 3; „აღიღეს ერთბამად ჴმაჲ ღმრთისა მიმართ“ საქ. მოც. 4,24; „შენ აღმიღე და დამაუეთე მე“ ფს. 101,11. „იზრახა აღებად შენღა“ ეს. 51.13; „აღაღო პირი თჳსი“ მთ. 5,2.

აღ(ღ)ება ჴმისა «ღალადება»: „აღვიღეთ ჴმაჲ უღლისა მიმართ“ G,—„ეღალადებდით ჩუენ უღლისა მიმართ“ M,II შჯ. 26, 7.

აღ(ღ)ებულ-ი, აღებულ-ი ღია, გაღებული, აღებული: „პირი ჩუენი აღებულ არს თჳუენდა მიმართ“ II კორ. 6,11; „იხილა ლოდი იგი აღღებული ქარისა მისგან საფლავისაჲსა“ ი. 20.1. იხ. ღება; აღმღე, აღმღებელი, აღსაღებელი, თავაღებული.

აღყვანება «აღმოგურა», «აღმოყვანება», აყვანა, წაყვანა: „შეძლომად ზტაისა აღიყვანოს იგი“ Ქ.—„შეძლომად ჴატორსათა აღმოჰგუაროს იგი“ Ჭ. საქ. მოც. 12.4. „აღიყვანეს იგი იერუსალჱმ“ C,—„აღმოიყვანეს ყრუჲ იერუსალჱმ“ DE. ლ.2.22.: „აღიყვანა... წმიდა მაღლა ფრად“ მთ. 4,8; „აღიყვანა მის თანა მაღლა წრალი“ მ. ცხ. 29v. იხ. ყვანება.

აღყოლა «ამაღლება», კვეხნა: „სიბრძნესა შენსა ნუ აღჰყუები“ O,—„სიბრძნისა შენისათჳს ნუ ამაღლდები“ იგ. სოლ. 3,5. იხ. ყოლა.

აღყორვა ამოყორვა, დახშვა: „აღვყორო გზაჲ მისი“ ოვს 2,6; „აღიყორა პირი ქუაბისაჲ“ H—341,600. იხ. ყორვა.

აღყრა აყრა: „აღიყარა მრავალითა შიშითა და მიიკცა ქვეყანად თჳსა“ S—1141,514. იხ. ყრა.

აღყუავება «ყუავილი», აყვავება; გამოყრა, გამოფენა: „ვიხილოთ, თუ ყუავიან ვენაჯნი“ O,—„ვიხილოთ, უკუეთუ აღყუავნა ვენაჯნი“ M. ქებ. 7,12; „ნიში ეკოროვნებისაჲ არს, წუთხისა მიერ აღყუავნა“ G, ლევიტ. 13,20. იხ. ყუავება.

აღყუავილება აყვავება: „ეითარ მადლი აღყუავილდების“ ეპ. კჳპრ.-დაფლ. 92 v; „აღყუავილდა და აღორძნდა... და გარდაეუინეს რტონი“ H—341, 142. იხ. ყუავილება.

აღყუვლება «ღალად-ყოფა», ხმობა: „აღიყუელა ყოველმან ერთბამად ღაღადებაჲ დიდი და ძლიერი“ G,—„ღალად-ყო ყოველმან ერმან“... M, ისუ 6. 8,20. იხ. ყულ.

აღშობნება, აშობნება, აღშენება, აშენება აგება, აღმართვა; სიკეთით ავსება, დასახლება, «განგებულება», გაშენება, დამტკიცება; განახლება, შეძენა: „რომელნან აღაშენა სახლი თჳსი“ მთ. 7,24; „ვაჲ არს დარღუეჳისაჲ და ვაჲ არს აღშენებისაჲ“ ეკლ. 8,3; „შუენ აღუშობნეს მას განსასუენებელი“ ხჯ. 88,12; „აღეაშობნო დარღუეული მისი“ ამოს 9,11; „მეცნიერებაჲ განალღებს, ხოლო სიყუარული აღაშენებს“ I კორ. 8,1; „აღაშენებდა მათ და განამტკიცებდა მათ სიმდრტრესა მას ზედა“ განკ. ი. 200,4; „აღეშენებიან ყოველნი, რომელნი იქმან უშჯულოებასა“ მალ. 3,15; „ეჰრჩუა იერუსალჱმსა, ვითარმედ აღეშენე“ ეზ. 44,26; „მერმე აღაშობნოთ ვენაჯები“ იერემ. 31, 4; „ნუ აღეშობნებით სახლისაგან საკიცელისა“ მიქ. 1,10; „იკითხე... აღშენებაჲ მოყუარეთა შენთა“ Ქ,—„იკითხეთ... განგებულებაჲ მოყუარეთა შენთაჲ“ Ქ, ფს. 121,6; „ყოველსავე... თჳენსა აღშენებისათჳს არს“ II კორ. 12,19. „გამოვიდა... ფრიად აღშენებული“ მ. ცხ. 3081.; „იყო აღშობნებულ ტაძარი ვსე უპირადჱს (უპირატეს I) მრავლისა ქამისა“ I ეზრა 9,14; „დაჭუძნებულნი და „აღშობნებულნი მას ზედა“ კოლ. 2,7; „წარვიდეს აღშენებულნი“ ლიმ. 88,18. იხ. შობნება; აღმაშობნებელი, აღსაშობნებელი.

აღშლა, აშლა არეულობა, აღძვრა: „აღიშალნეს ქუხილნი და ელვანი“ მ. ცხ. 420r. „იყოს ერისა აშლაჲ, მეფეთა დაუწყნარებლობაჲ“ მ. ცხ. 82v. იხ. შალვა, შლა.

აღშურვება შეშურვება: „აღიშურვეს დისა მის თჳსისა“ ბხ.-ბაქ. 62,12; „აღიშურვა მტერმან, ვითარცა-იგი ყოველადვე ეშურვების ყოველთაჳე მოღუაწეთა“ მ. ცხ. 141v. იხ. შური; შურვება/შურება/შუროობა.

განზომა «მოხილვა», გაზომვა, გაყოფა: „თავთა თჳსთა გ'ანიზომენ“ II კორ. 10,12; „განზომა წინაშე ზღუდისა მის სიერცჱ სწორად ლერწმისა მის“ ეზეკ. 40,5; „ქეუანაჲ შენი საბლითა განიზომოს“ ამოს 7,17. „განზომად მეუყანისა“ M,—„მოხილვად ქეუყანისა“ G, ისუ ნ. 18,3; „ამის განზომისაებრ განჰზომო სიგრძჱ ოცდახუთ ათასი“ ეზეკ. 45,3. იხ. [ზომა]; ქეუყანის-განზომა.

განზრახება, განზრახება დარიგება, რჩევა: „მოეედ და განვაზრახო შენ“ G,—„მოეედ და გაზრახო შენ“ Fr., რიცხ. 24,14; „მე ესრე გაზრახებ“ II მფ. 17,11. იხ. ზრახება.

განზრახვა «ზრახვა», უბნობა; ფიქრი, მიჩნევა: „განიზრახვიდეს ურთიერთას“ DE, — „ზრახვიდეს ურთიერთას“ C, ლ. 6,11; „მე განვიზრახე ბოროტი“ მაქ. 2,3; „განიზრახა მიქცეად შენ მაკედონიაჲთჳე“ საქ. მოც. 20,3; „განიზრახე სიკუდილი“ ზირ. 38,6; „სულთა თჳსთა არა ესრეთ განიზრახა“ ეს. 10,7.

განზრახვა «დაკვრვება», გონება; გონიერება, აზრი: „ქანრლეულნი ასონი განზრახვითანი ჴეშმარიტებითა ერთად შეამტკიცა“ ეპ. კჳპრ.-ალვხებ. 227,13; „ცეცხლსჳეს... განზრახვაჲ გულისა შენისაჲ“ ფსდ. 11,6; „ცუდ იქმნა და ამაო განზრახვაჲ მათი“ მ. ცხ. 52v; „იყო განზრახვასა მას მათსა ამისთჳს“ DE,—„იყო დაკვრვებასა მათსა მისთჳს“ C. ლ. 24,4. იხ. ზრახვა; წინა-განზრახვა.

განზრახვის-მოდგამ-ი თანამოაზრე: მრთ. A, ბას.-კუს.-მარხ. 52v. იხ. მოდგამი.

განზრდა «გამოზრდა», გამოკვება; აღზრდა: „განმზარდა მე უფალმან, ღმერთმან ჩემმან“ G,—„გამომზარდა მე უფალმან“ M, ისუ ნ. 14,10; „განზარდის კაცნან დაკუულ ზროხათაჲ“ ეს. 7,21; „განზარდეცით იგინი სწავლითა და მოძღურებითა უფლისაჲთა“ ეფეს. 6,4; „კეთილად განზარდნის შვილნი მამამან მართალმან“ ფგ. ხოლ. 28,24.

განზრდილ-ი «აღზრდილი»: „განზრდილ (აღზრდილ Q) ამას ქალაქსა შინა და აღზრდილ ფერჴთა თანა გამალიელისთა“ საქ. მოც. 22,3. იხ. ზრდა.

განზრქობა «განსუქება», გასქელება, გამსხვილება: „ნუსადა განზრქნეს გული შენი“ G,—„ნუუკუე განსუქნე და განიერცნე“ M, II მჯ. 11,16; „განზრქა ცხიმისაჲ ამის“ მთ. 13,15; „განზრქა (მახჳლი) ცხელთაგან“ ეს. 64,6. იხ. ზრქელი.

განთავისუფლება «თავისუფალ ქმნა», თავის ხსნა: „ვითარ-ეგე შენ იტყჳ, ვითარმედ განთავისუფლდეთ?“ DE,—„ვითარ შენ იტყჳ, ვითარმედ თავისუფალ იქმნეთ?“ C, 8,37; „ჴელმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ ი. 8,32; „განათავისუფლნა ივინი ხარკისაგან“ I ეზრა 4,40; „ერისკაცობისა მისჳან ვინ განგათავისუფლა შენ“ ლონგ. 189,11. „განთავიხუფლებაჲ ისრაელისაჲ ფარაოჲსგან ზღჳთა მით და განთავისუფლებაჲ ცოდვათაგან განბანითა მით“ კ. იერ. 86,17.

განთავისუფლებულ-ი ხსნილი, გაშვებული, «თავისუფალი»: „გამოავლინო იგი შენგან განთავისუფლებული“ M,—„განავლინო იგი თავისუფლად შენგან“ G, II მჯ. 16,12; „განთავისუფლებულ არს იგი სჯულისა მისგან ქმრისა“ პრომ. 7,2; „განთავისუფლებულ ხართ ცოდვისაგან“ პრომ. 6,18; „უფლისა მიერ განთავისუფლებულ არს“ I კორ. 7,22. იხ. თავისუფლება, შდრ. განმათავისუფლებელი.

განთევა გათევა, ფხიზლობა: „ამას ესევითარსა შინა მადლობასა და აღსარებასა განათია ყოლად ღამე იგი“ მ. ცხ. 144r; „ყოველთა ერთბამად განათიოდიან ღამჱ ოგი უძილად“ ხჳმეონ. სალ. 386v. იხ. თევა.

განთეთრება გათეთრება, თეთრად გახდომა: „განთეთრდა ყანაჲ იგი“ თომა მოც. 19,1. „ვერ შემძლებელ ხარ ერთისა თმისა განთეთრებად, ანუ დაშავებად“ მთ. 5, 36.

განთეთრებულ-ი «სპეტაკი», თეთრად ქცეული: „იხილეთ ყანობირი ეგე, რამეთუ განთეთრებულ არიან და ახან მკად“ C,—„...სპეტაკ არიან და სამკალდ აწევე“ DE, ი, 35,4. იხ. თეთრი.

განთენება «ალმოჩქრვა», გათენება, დილის/დღის დადგომა: „ვიდრე განთენებამდე ხვალისა ჳჭვებდეთ“ M,—„ვიდრემდის აღმოჩქრდეს ცისკარი“ G, მჯ. 10,8; „იყო პარასკევ და განთენებოდა შაფათად“ C, ლ. 23,54; „ოდეს განთენეს ცისკარი“ იგდ. 14,2; „ვითარცა განთენა“ მთ. 27,1; „ვითარცა განთენა დღჱ“ ლ. 22, 60. იხ. თენება.

განთესვა «განბნევა», «მიმოდათესვა», გაფანტვა, დათესვა: „განგათესნეს უფალმან თქუენ“ G,—„განგაბნინეს თქუენ“ M, II მჯ. 4,27; „განგათესნე თქუენ წარმართთა შორის“ G,—„მიმოდაგთესნ თქუენ წარმართთა შორის“ pb., ლევიტ. 26,33; „განესთესნე ივინი ერსა შორის“ ზაქ. 10,9; „თესლი დიდად განთესო ყანობირსა შენსა“ II მჯ. 28,26; „მოეიმკი, სადა არა განვსთესი“ ლ. 19,22.

განთესულ-ი «მიმოგანბნეული», გაფანტული, «განბნეული»: „ნუუკუე განთესულთა მათ წარმართთა ეგულების მისლვად“ DE, — „ნუუკუე მიმოგანბნეულთა მათ წარმართთა მიჳიდეს“ C, ი. 7,35; „ეიხილე ისრაელი, განთესული მთათა ზედა, ვითარცა ცხოვარი“ II ნეტ. 18,16; „განთესულნი ვიდოდიან მას ზედა“ pb.,— „განბნეულნი იგი ვიდოდიან მის მიერ“ I, ეს. 35,8; ბ. კონკორდანსი, სახარების ქვემო კიდეზე მოთავსებული შესა-

ტყვისობა ანალოგიური ადგილებისა მახარებლებთან: „განთესული არღარა დავწერენ ამასთუს, რამეთუ ზანდეკი მასვე მოასწავებს" A—484, 314. იხ. თესვა.

განთესულება «განბნევა»: „უკუეთუ იყოს განთესულებაჲ შენი კიდითგან ცისაჲთ ვიდრე კიდედმდე ცისა" G,—„განღა თუ-ბნეულ იყო შენ კიდითგან ცისა ვიდრე კიდედმდე ცისა" M, შჯ. 30,4. იხ. თესვა.

განთიად-ი «განთიადისა», «ცისკარისა», «გაცისკრებული», «ხვალისაგან», «დღითი», დილაზე, «დილითი»: „მსთუად განთიად" C,—„ნიად განთიადსა" DE, მრ. 18,2; „განთიად" C,—„ცისკარსა" DE, ლ. 24,1; „მოვიდა დედაკაცი იგი განთიად" M,—„გამოვიდა დედაკაცი გაცისკრებულ" G, შჯ. 19,20; „განთიად ვითარ აღმოვიდოდა ქალაქად" C,—„ხვალისაგან მოვიდოდა იესუ ქალაქად" DE, მთ. 21,18; „ესმედ ღაღადებისა განთიად" pb.,—„ესმოდენ ვალალებაჲ დღითი" O, იერემ. 20,10; „განთიად ჰამდეს-ღა და მწუხრი განუყოფდეს საზრდელსა" დაბ. 40,27; „მე განვიღჳძო განთიად" ფს. 107,8; „ვითარცა თანა-წარჰვიდოდეს განთიად" DE,—„ვითარ თანა-წარჰვიდოდეს დილითი" C, მრ. 11,20.

განთიად-ი «ცისკარი», დილა: „ვითარცა აღმოვიდა განთიად" G,—„აღმოსლვასა ოდენ ცისკრისასა" M, შჯ. 19,26; „იყუნენ იგინი, ვითარცა ღრუბელნი განთიადისანი" ოსე 13,3; „წყალობაჲ თქუენი, ვითარცა ღრუბელი განთიადისაჲ" ოსე 6,4.

განთიად-განთიად დილაობით: „აგზებდეს მღდელი იგი შუასა განთიად-განთიად" ლევიტ. 6,12.

განთიადითგან დილით: „აღდგიან განთიადითგან" ეს. 5,11.

განთიადსა «განთიად»: „ნიად განთიადსა" DE,—„მსთუად განთიად" C, მრ. 18,2.

განთლა გათლა, «მოთლა»: „განთალნოს კეთილსწავლულებითა ყოველი ქერქი მისი" pb.,—„მოთალა სწავლულად ნაჭურცენი მისი" O, სიბრძ. სოლ. 13,11.

განთლილ-ი «გამოთლილი»: „მოიხუნენ ქვანი განთლილნი" G,—„მოიხუნენ ლოდნი გამოთლილნი" pb., ლევიტ. 14,42. იხ. თლა.

განთოვ(ლ)ა თოვლად/თოვლისფრად გახდომა: „განითოვნეს იგინი სელმონს" Č,—„განთოვლდენ იგინი სელმონს" Ǯ, ფს. 67,15. იხ. თოვლი.

განთრევა, გათრევა წათრევა, გაზიდვა: „განითრინეს და განსთხინეს იგინი გარე" რიფს. 175,42; „გარეშე ქალაქსა გაითრიეთ" ვარ. 818. იხ. თრევა.

განთჳსება «განყოფა», «განჩინება»: „განითჳსნეთ თქუენ ქალაქნი მათნი" G,—„განჰყუნეთ თქუენ ქალაქნი" pb., რიცხ. 35,11; „განათჳსნე ლევიტელნი შორის ძეთაგან ისრაჱლისათა" G,—„განაჩინე ლევიტელნი შორის ძეთაგან ისრაჱლისათა" pb., რიცხ. 8,14.

განთჳსებულ-ი განცალკევებული, საკუთარი: „არა აჰუნდა განთჳსებულად რაჲცა, ვიდრე ნუმსადმდეცა" მ. ცხ. 167r; „უცხო არს ყოლადვე მონაზონთაგან კრებულსა შორის განთჳსებული რაფიკობაჲ" მ. ცხ. 164v. იხ. თჳსი, თჳსება, თჳსობა.

განთჳსულ-ყოფა «განყოფა», აქნა: „და ვერძი იგი ჶორც განთჳსულ-ყო" G, —„და ვერძი იგი განყო ასოდასოდ" pb., ლევიტ. 8,20 იხ. ყოფა.

განთქუმა, გათქუმა «განქება», თქმა, თხრობა, გასმენა, მოფენა: „განუთქუას მას სახელი ბოროტი" G,—„სახელსა ბოროტსა განუქდიდეს მას" O, II შჯ. 22,14; „განთქუან სახელი თქუენი, ვითარცა ბოროტთაჲ" DE,—„განქადონ სახელი თქუენი, ვითარცა ბოროტთაჲ" C, ლ. 0,22; „სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი განეთქუმის ყოველსა სოფელსა" პრომ. 1,0; „ქებულებაჲ მისი განთქუას ყოველმან ერმან" ზირ. 39,14; „ჰამბავი იგი... განითქუმოდა" რიფს. 167,32.

განთქუმულ-ი სახელგანთქმული, სახელოვანი, ქებული: „რომელი-იგი ესრეთ განთქუმულ იყო" რიფს. 172,8; „დიდსა ჰირსა შინა არიან განთქუმულნი იგი წმიდანი" ვარ. 804; „სიმჭნითა განთქუმულ იყო ღუაწლსა შინაჲ" რიფს. 170,4. იხ. თქუმა; განსათქუმელი, სახელგანთქმული.

განთხევა «დათხევა», «განყრა»: „ვითარცა სკორწ, განსთხინე (განსთხინე pb.) იგინი" O, ეს. 30,22; „განსთხინენ (განჰყარენ pb.) ჩემგან ყოველნი ლოდვანი ჩემნი" I, ეს. 38,17; „ხოლო ჯერეული იგი გარე განსთხიაწ" მთ. 13,48; „განსთხიონ შინაფხეკი ეგი მტუერი გარეგან ქალაქისა" G, ლევიტ. 14,41. იხ. თხევა.

განთხზვა დაწვნა: „განითხზნა სამკაულად თმაჲ თაჳსა მისისაჲ" ეზდ. 10,3; „არა გარეშეთა მით განთხზჳთა თმისაჲთა და ოქროჲსა შესხმითა" I პეტრე 3,3. იხ. თხზვა.

განთხოვება მითხოვება, დანიშვნა: „განგათხოენ თქუენ ერთსა მამაკაცსა" ფიზ. XXXII,14.

განთხოვილ-ი «თხოვილი», «დაწინდ(ებ)ული», მითხოვილი, დანიშნული: „მოიყვანა გაბრიელ... ქალწულსა, განთხოვილსა კაცისა" C,—„მოიყვანა გაბრიელ... ქალწულისა, თხოვილსა კაცისა" DE, ლ. 1, 27; „იყოს ეუ ვინმე ქალი ქალწული და განთხოვილ იყოს" M,—„უკუეთუ იყოს ყრმაჲ ქალწული, დაწინდული ქრისაჲ" G, II შჯ. 22,23. იხ. თხოვა.

განთხრა ჩათხრა, გახსნა: „განთხარეს და შთაუტეეს ცხედარი იგი" მრ. 2,4. იხ. თხრა.

განირათხ იხ. განრთხმა.

განიშატიანება «განმხიარულება»: „იყო ოდეს განიშატიანდა გული მათი" G,—„იყო რაჟამს განმხიარულდა გული მათი" M, შჯ. 18,24. იხ. [ნიშატი].

განკაზმვა გაწყობა, წესრიგში მოყვანა: „განეკაზმა გული მისი მეფობისა მის მიმართ თჳსისა" მ. ცხ. 65r; „გზათა განჰკაზმვიდიედ და დაეჟაჟებედ" Alh.—11. 56r. „მოსწადდა კაცსა მას განკაზმვაჲ მისი და პრჭუა ძესა თჳსსა: წარვედ, შვილო, და განწმიდე ყანობირი იგი" მ. ცხ. 202v. იხ. კაზმვა.

განკანონება, გაკანონება დასჯა: „ჭრელობითა და შერეულებითა... განკანონა" ი.ე. 26,10; „მან მძიმედ განკანონის" ი.ე. 33,31. იხ. კანონი.

განკარგვა განახლება, შემოღება, დაწესება: „რომელი იხილვა... ქმოლად განუვებულებაჲ, განკარგა კუეყანასა სომხითისასა" ნერხ. 69,13. იხ. [კარგვა].

განკაცება «ცოდნობა», «გაგება», გაცვეთა, გალევა, დაძველება; გახდომა: „განკაცდენ იგინი სიცოცხლოთა" M,—„ღრმად ნარნი სიცოცხლითა" G. II მეფ. 20,3; „განკაცდეს სული ჩემი ჩემ თანა" O.—„დადგეს სული ჩემი ჩუენ ზედა" G. ფოდ. ეგრ. 3,20; „სამოსელი შენი არა განიბერებინეს შენგან" G. II მეფ. 5,4; „განკაცება მე შერმან" ფს. 118,139; „ყოველივე პორციელი, ვითარცა სამოსელი, განკაცდეს" ზარ. 14,13; „სალმობამან განკაცნეს იგინი სიკუდიდ" ზარ. 27,32; „ვიდრემდის განკაცდეს მთოვარე" ფს. 71,7; „განკაცდი ქუეყანასა უკეთოსა" ბარ. 3,10; „რად ეგრე, რაჲსათჳს განიკაცებიე" II მე. 13,4; „უკუეთუ დასნეულდის ერმაჲ იგი, შინითა განიკაცნიან მშობელნი" 3. ხჯ. 116,9.

განკაფულ-ი «დამდნარი», «დაბებკული», გაცვეთილი, გალეული, გარჯილი: „მოგცეს... თუალნი ნაკლულევანნი და სული განკაფული (დამდნარი G)" M,II მეფ. 23,65; „სანდალნი მათნი ძეულნი, განკაფულნი ფერჴთა ზედა მათთა" G.—„სანდალნი მათნი დაძეულებულ და დაბებკულ იყვნეს ფერჴთა ზედა მათთა" M, ისუ 5. 9,5; „განკაფულ არიან გულითა" ფს. 88,10; „მოვედით ჩემდა მაშერალნი ეგე და განკაფულნი" ფსალტ. 146,39. იხ. კაფა.

განკაცება კაცად გახდომა: „განკაცნა რაჲ სიტყუაჲ" 3. ცხ. 46r. „რომლისა თჳე აღსრულების იქმნა უფალი თქუენი იესუ ქრისტე განკაცებითა მით და სისხლთა დათხევითა" რიფხ. 165,3. იხ. კაცება.

განკეთება განდიდება, გალამაზება: „არცაღა მათსა ვსძაგებთ და ჩუენსა მას განვაკეთებთ" კ. აღრ.-აღდგ. 108,2; „სოფელი იგი უშუერი განაშენა და განაკეთა" Ath.—11, 30r. იხ. კეთება.

[განკეთრება] იხ. კეთრი.

განკეთრებულ-ი «განბოკლებული», კეთრით შეპყრობილი: „მოუწყა მას ერთი განკეთრებული" DE.—„მოჳიდა მისა განბოკლებული" C, მრ. 1,40. იხ. კეთრი.

განკეთროვნება კეთრის შეყრა: „მარიამ განკეთროვნდა, ვითარცა თოვლი" რიცხ. 12,10. „გამოვიდა პირისაგან მისისა განკეთროვნებული, ვითარცა თოვლი" IV მე. 5,27; „იყოცა ბერი განკეთროვნებულ" 3. ცხ. 171r. იხ. კეთროვანი, კეთროვნება.

განკერძა კერვა, გამართვა: „განჰკერიდეს ბადეთა მათთა" მთ. 4,21; „ვითარცა ვინ განჰკერავნ კეცსა, ეგრე არს, რომელი ასწავებდეს უგუნურსა" ზარ. 22,7. იხ. კერვა.

განკიდება გაშორება, გაცლა: „ყოველთა თანა სიყუარული გაჰქონდა და ყოველთა განჰკიდე" 3. ცხ. 454v. იხ. კიდება.

განკითხვა «დასჯა», «განსჯა», «განცდა», «კითხვა», ძიება, გამოკითხვა, «მოზღვევა», სამართლის ქმნა: „შჯულისაებრ თქუენისა განიკითხეთ" DE, — „მსგავსად შჯულისა თქუენისა დასაჯეთ" C, ი. 18,31; „განმცადე მე, უფალო, და განმიკითხე" Ჭ,—„განმიცადე მე, უფალო, და განმცადე მე" Ქ ფს. 25,2; „მესუეს იგი საპყრობილესა განშჯად (რაჲთა განიკითხონ pb.)" G. ლევიტ. 24,12; „წინაშე თქუენსა განიკითხე და არარას ვსპოვებ ამის თანა" DE,—„თქუენ წინაშე ვიკითხე და ბრალ არაჲ ვპოე კაცისა მაგის თანა" C, ლ. 23,14; „ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ" ლ. 6,37; „ეგრეთარი, რომელი განიკითხავ სხჳსა მონასა" ჰრომ. 14,4; „კაცი საჭმეთა თჳსთა ზედა განიკითხოს" ზარ. 10,14; „სასმენელმან სიტყუანი განიკითხნის" იობ 34,4; „განიკითხნა მცველნი იგი" ხაქ. მოც. 12,9; „ნუთუ შენგან განიკითხოს იგი" pb.,—„ნუ შენგან მოიზღოს იგი" O, იობ 34,33.

განკითხვა «განრჩევა», «განგებულება», განსჯა, გასამართლება, სამართალი, კითხვა-გამოძიება, სასჯელი: „თჳნიერ განკითხვისა არარას იქმოდა ყოლადვე" ი.-ე. 46,31; „განკითხვაჲ წინამძღუარი არს ცხორებისაჲ" ი.-ე. 46,60; „წრფელ არიან განკითხვანი შენნი" ფს. 118,137; „სიმართლე და განკითხვაჲ არს განმზადებაჲ საყდრისა შენისაჲ" Ქ,—„სიმართლით და განგებულებით აღმართებულ არს საყდარი შენი" Ჭ, ფს. 88,15; „პყოფ განკითხვასა მათ ზედა" ფსალტ. 142,21; „განკითხვასა ჩემსა პყოფდეს უფალი" იობ 31,14; „დღესა მას განკითხვისასა" ი.-ე., 56,10; „განკითხვად ერისა თჳსისა" Ჭ.—„განრჩ(ე ვ)ად ერისა თჳსისა" Ქ, ფს. 40,4. იხ. კითხვა.

განკიცხება, განკიცხვა «განბასრება», «შეურაცხ-ყოფა», დაცინვა: „განკიცხეს იგი და შეჰმოსეს სამოსელი მბრწყინვალე და მიუძღუანა იგი პილატეს" DE,—„განბასრა იგი და შეჰმოსა სამოსელი სპეტაკი და მიუძღუანა მენეე პილატეს" C, ლ. 23,11; „განკიცხეს იგი" C,—„შეურაცხ-ყოფდეს მას" DE, ლ. 10,14; „განკიცხა მე" 3. ცხ. 68v. „განკიცხებაჲ უჩნდა მისგან განტევებაჲ სამთაჲ მათ მონაზონთაჲ" ლთმ. 66,27. იხ. კიცხევა, კიცხვა.

განკორდება ყამირად ქცევა: „უდებებითა მისითა განკორდდა ყანობირი იგი" 3. ცხ. 202v. „ნუ უდაბნო ვექმენ ისრაელსა, ანუ ქუეყანა განკორდებულ" G,—„უდაბნო ნუ ვექმენ სახლსა ისრაჱლისასა, ანუ ქუეყანა დაყამირებულ" O, იერემ. 2,31. იხ. კორდი.

განკრება, გაკრება 1. «გარდათხევა», «განსრევა», გატანა, გადაყრა: „ქვები გაკრიბეთ გზათაგან" O,—„ქვები გარდასთხიეთ გზათაგან" I,—„ქვანი გზისაგან განასრიენით" pb., ეს. 62,10; „ყოველივე იგი გაკრიბეს ჭუაბით" 3. ცხ. 206v.

2. «ეკლესიის-ყოფა», შეკრება, შეყრა: „განკრბა ყოველი კრებული" M,—„ეკკლესია-ყო ყოველმან შეკრებელმან" G, ისუ 6. 18,1. იხ. კრება.

განკრეხვა ძარცვა, მიტაცება, მოპარვა: „პოვნა აეაზაკნი, რომელნი განჰკრეხვიდეს სენაკსა მისსა" 3. ცხ. 270 v; „განკრეხვიდა (კაცი) ჴორცელსა მისსა" 3. ცხ. 272v; „მე ვარ, რომელმან განვკრეხე სენაკი შენი" 3. ცხ. 00v. „მსგავს ხარ შენ დაბასა განშეუნებულსა წინა კერძოჲ, ხოლო უკუანაჲთა ავაზაკთაგან განკრეხულსა" 3. ცხ. 208r. იხ. კრეხვა.

განკრთობა იხ. განსაკრთობელი.

[განკრთოლვა] იხ. განსაკრთოლველად.

განკრთომა, გაკრთომა «შესულება», «დაკვრეება»,

«უგონო ქმნა», «განცთომა», «განბნევა», «აღღვინება», «განგარეება», «შეცთომა», შეკრთომა, «შინება», გაკვირვება, გაოცება: „განაკრთვნა იგინი უფალმან პირისაგან ძეთა ისრაელისათა“ G,—„შესცდინა იგინი პირისაგან ძეთა ისრაელისათა“ M, ისუ ნ. 10,10; „განვაკრთენე და განვაჴმო ერთბამად“ O,—„განვაცხადო, დავაკვირვო, ყოველიე ერთბამად განვაჴმო“ I, ეს. 42,14; „იხილეს... და განჰკრთეს“ DE, — „იხილეს... და დაუკვრდა“ C, შრ. 10,5; „განეჰკრთით გულთა ჩუენითა“ G,—„უგონო ვიქმნენით გულითა ჩუენითა“ M, ისუ ნ. 2,11; „განჰკრთეს თაფლუჩისათჳს“ O,—„შესცთეს თაფლუჩისა მიერ“ pb., ეს. 28,7; „განჰკრთა ცხენი იგი და გარდამოადგა ზედამჯდომი იგი“ Sin.—II, 2071; „გა-შცა-ჰკრთა მას სიხარულისაგან“ ჲ. ცხ. 801г; „ყოველი ბანაკი განაკრთო“ G, — „ყოველი ბანაკი მათი განიბნია“ M, მსჯ. 8,12; „განვაკრთვნე ყოველნი მეოტად“ O,—„აღვადგინნე მეოტნი ყოველნი“ G, ეს. 48,14; „ლომთა განიკრთვნეს იგინი“ O,—„ლომთა განაგარეეს იგი“ G, იერემ. 50,17; „ნუ განჰკრთებით DE, — „ნუ გეშინი!“ C, შრ. 10,6; „გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: განცთა (განკრთომილ არს DE)“ შრ. 3,21.

განკრთომა შიში, შფოთი, შეძრწუნება: „იყო მათ ზედა განკრთომა“ II ნშტ. 14,14; „განგდრიკოს შენდღესა მას განკრთომისასა“ ზირ. 11,30; „განკრთომით განპკრთენ“ ეზეკ. 20,16; „მეფენი მათნი განკრთომით განჰკრთეს“ ეზეკ. 27,35. იხ. კრთომა.

განკრთომილ-ი შეშლილი, სულელი; მოქნეული: „განბოროტნეს ისრაელი, ვითარცა წინაწარმეტყველი განკრთომილი“ ოსე 9,7; „განკრთომილი ერთი კუერთხთა მათგანი მიიწია მეფისა მის“ ფლკტ. 138,17.

განკრძალება, განკრძალვა «დამტკიცება», მომზადება, გაფრთხილება, მსახურება, დაცვა, რიდება: „იგი უფროჲს განკრძალულ იყო“ Ჭ,—„იგი დაამტკიცებდა“ Ղ, საქ. მოც. 12,13; „წინაჲსწარ განგაკრძალნენ თქუენ“ II კორ. 9,5; „წინაჲსწარ განგაკრძალებს შენ კათოლიკე ეკლესიაჲ“ მრთ. ა. კ. ეფრ.-ხულო წმ. 182; „რომელნი-იგი განეკრძალნეს და მისცეს... პური“ იკ. რომ.-ებრ. ოხაკ-ოაკ. 90,3; „განვაკრძალნეთ თავნი ჩუენნი პრელისაგან უდებებისა“ ჲ. ცხ. 290г; „უეცრე მას, რაჲთა ყოლადვე განგაკრძალებდეს და გარიდებდეს საქმეთა ბოროტთა“ ჲ. ნწ. 100,20; „განვეკრძალნეთ უკუე ბრძოლად მისა, რაჲთა ესძლოთ“ ჲ. ნწ. 271,34.

განკრძალვა სიფრთხილე: „განკრძალებისათჳს მათისა სარწმუნოებასა ზედა“ ეს. იუდ. თავნი ჲ.

განკრძალულ-ი ნიადაგმყოფი, «განმზადებული», ფრთხილად დაცული: „განკრძალულნი განვემზადენით ბრძოლად მათა“ O,—„განმზადებულნი დგეს ბრძოლად“ pb., ნეემ. 4,16; „იყუნეს განკრძალულ ერთბამად ლოცვასა“ საქ. მოც. 1,14; „დღითი-დღედ განკრძალულ იყუნეს ტაძარსა მას შინა“ საქ. მოც. 2,46; „მეკარენი იგი თითოეულად კართა მათ იყუნეს განკრძალულ“ I ეზრა 1,10.

განკრძალულ-ი გულმოდგინე, მოსწრაფე, მოწაფე; «განმზადებული», მოღვაწე: „განკრძალული იგი ყოველი იყავნ ვითარცა მოძღუარი თჳსი“ ლ. 6,40; „განკრძალულნი განვემზადენით ბრძოლად მათა“ O,—„განმზადებულნი დგეს ბრძოლად“ pb., ნეემ. 4,16; „იყო ძმაჲ ვინმე ყრიად განკრძალული“ ჲ. ცხ. 270v; „თჳსსა მსახურებასა განკრძალულ იყო“ ი.-ე. 40,27.

განკრძალულად მტკიცედ; ფრთხილად; «გულითად»: „განკრძალულად ძჳრსა იტყოდეს მისთჳს“ ლ. 23,10; „ეკრძალებოდეთ უკუე, ვითარ-ცა განკრძალულად ხელთ“ ეფეს. 5,15; „რომლისათჳს განკრძალულად (გულითად Ⴑ) ვერარაჲ მაცუს, რაჲ მიწერო უფლისა ჩემისა“ საქ. მოც. 25,26. იხ. კრძალვა.

განკრძალულ-ყოფა «განძლიერება», ბეჯითობა: „იგინი განკრძალულ იყუნეს და იტყოდეს“ C,—„იგინი უფროს განძლიერდებოდეს და იტყოდეს“ DE, ლ. 23, 5; „ლოცვასა განკრძალულ იყუნეთ“ პრომ. 12,12. იხ. კრძალვა.

განკუართვა კვართის გახდა: „ვითარცა ვინ განიკუართის როკვასა თჳსსა“ II მფ. 6,20. „განკუართულნი მოხდომად წინაშე მონათა და მჴეალთა მათ შენთა“ II მფ. 6,20. იხ. კუართი.

განკუეთა, გაკუეთა გაპრა, «განპება», «მოსრეა», გაკლეთა: „ორგან განკუეთოს იგი“ მთ. 24,51; „განკუეთეთ ყრმაჲ ეგე მწოვარი ცოცხალი ორგან“ III მფ. 3,25; „განუკუეთნეს ერისაგანთა საბჭელნი იგი ჴეამალდისანი“ საქ. მოც. 27,32; „ჴმამან უფლისამან განკუეთის ალი ცეცხლისაჲ“ ფს. 28,7; „ვითარცა წერაქჳ, რომელმან განკუეთის კლდჱ“ იერ. 22,29; „ვერ განჰკუეთს მახჳლი, ვითარ-იგი განჰკუეთს ენაჲ“ ჲ. ნწ. 9,25; „განკუეთა პაერისა მეყსეულად თჳთ თაჲთ თჳსით შეიერთების“ pb.,— „განჰპო აერი და მეყსეულად მენეე შეირწყუა“ O, ნაბრძ. ხოლ. 5,12; „განკუეთნეს იგინი ბეზჳსა“ G,—„მოსრნა იგინი ბეზჳსა“ O, მსჯ. 1,4.

განკუეთა განხეთქილება: „ყო უფალმან განკუეთაჲ ტომთა შორის ისრაელისათა“ M, მსჯ. 21,15; „მოიწიის განკუეთაჲ და შემუსრვაჲ უკერნებელი“ ოგ. სოლ. 6,13.

განკუეთილ-ი, გაკუეთილ-ი გაპრილი, გაკვეთილი, ნაპერი; მოშორებული; ნორმა: „ვითარ ძუს ორგან განკუეთილი მეჯუ ესე“ ფლკტ. 154,87; „შეჩუენებულ და განკუეთილ (არს) წესისაგან ქრისტეანეთაჲსა“ ი.-ე. 64,5; „მისცეს მოწაფჱ და გაკუეთილი შეუქმნეს თაესა კრასოველისაგან კიდე, კოკაჲ ერთი ღუნოჲ თუესა შინა და უველი ერთი...“ ი.-ე. 41,18. იხ. კუეთა.

განკუეთილება ჭრილი, ჭრილობა; წინადაცვეთა: „განკუეთილებათა არა იქმოდით სელსა ზედა ჴორცთა შინა თქუენთა“ G, ლევიტ. 19,28; „ჰხედვიდით განკუეთილებასა მას ურწმუნოთასა“ ფლპ. 3,2. იხ. განკუეთა (-ილი).

განკუთნება, განკუთნვა «განსაზღვრება», გამოყოფა; დაწესება, საკუთრად გახდომა: „ქალაქები, რომელ განიკუთნეს ძეთა ეფრემისთა“ M, — „ქალაქნი, განსაზღვრებულნი ძეთა ეფრემისთანი“ G, ისუ ნ. 16,9; „და

ჩუენ ერად თჳსა განგჳკუთნა და მონად თჳსა განგუაჴსნა" 3. ხწ. 100,11.

განკუთნებულ-ი, განკუთნვილ-ი «განსაზღვრებული», «განჩინებული»: „ძეთა გედსონისთა... ქალაქნი განკუთნებულნი (განსაზღვრებულნი G) მკლელთათჳს" O. ისუ 5. 21,27; „ძეთა აარონ მღდელისთა მისცა... ქებრონი და განკუთნებულნი (განჩინებულნი G) მისლამი" O, ისუ 5. 21,13. „თჳსზთა აჭეს... ბუნებაჲ განკუთნვილ" და საზრდელი განკუთნვილი" ბას. კეს.-ექუს. დღ. 87,11. იხ. კუთნვა.

განკუთნვილება თვისება: „სჯმელე განკუთნვილებაჲ არს (ქუეყანისაჲ)" ბას. კეს.-ექუს. დღ. 50,20. იხ. განკუთნვა (-ილი), კუთნვა.

განკურნება «ლხინება», «განცოცხლება», «განწმედა», «განმრთელება»: „გეყოფრები შენ, განკურნე ესე" G,—„გეყოფრები, ულხინე ამას" pb., რიცხ. 12,10; „განკურნე სული ჩემი" Ч,—„ულხინე სულსა ჩემსა" Ш, ფს. 40,5; „განიკურნა კაცი იგი" C,—„განცოცხლდა კაცი იგი" DE ი. 5,9; „განჰკურნებდა ყოველთა სნეულებათა" მთ. 4,23; „განიკურნა ყრმაჲ იგი მისი" მთ. 8,13; „განიკურნა სჴრიგებულება იგი" pb.,—„განმრთელებულ არს სჴრიგობაჲ" G, ლევიტ. 13,37. „რაოდენთა უჴმდა განკურნებაჲ, განჰკურნებდა" ლ. 9,11. „რომელნი განკურნებულ იყუნეს სულთაგან უკეთურთა და უძლურებათა" DE, ლ. 8,2; „არა ათხიუე განიკურნენითა" DE,— „არა ესენი ათნი განწმიდნეს" C, ლ. 17,17. იხ. კურნება.

განკჳრვება «დაკჳრვება», «მალ-», «დასულება», «განცჳფრება», გაოცება, გაშტერება, გაშეშება, «მოგრგენა»: „განუკჳრდებოდა მათ განკჳრვებითა დიდითა" DE,—„დაუკჳრდა მათ საკჳრველითა დიდითა" C, მრ. 6,42; „განუკჳრდებოდა" DE.—„ჰმაღლა მოძღურებაჲ იგი მისი" C, მრ. 6,2; „სიკეთე სისპეტაკისა მისისა განაკჳრვებს თუალთა" pb.,—„სიკეთემან სისპეტაკისა მისისამან მოაგრგინის თუალთა" O, ზირ. 48,18; „იხილეს იგი და განუკჳრდა" DE,—„ხედვედ მას და დასულბიან" C, ლ. 2,48; „განუკჳრდა ისაკს განკჳრვებითა დიდითა ფრიად" დაბ. 27,33; „განკჳრდენ დიდებულსა მას ცხოვრებასა მისსა" O,—„განცჳფრდენ დიდებულსაჲს ცხოვრებისა" pb., სიბრძ. ხოლ. 5,2; „გრძნებდა და განაკჳრვებდა ნათესავსა მას სამარიტელთასა" ხაქ. მოც. 8,9; „შეფენი განაკჳრვნის (ეარდმან) ფერისა და სურნელებისა მისისაგან" 3. ხწ. 191,12.

განკჳრვება შიში, შეძრწუნება, საკჳრველება, საოცრება, გაშტერება: „განკჳრვებამან შეიპყრა იგი" ლ. 5,9; „იყო განკჳრვებაჲ მათ ყოველთა ზედა" ლ. 4,36; „შეჰმუსრენ განკჳრვებითა თავნი ძლიერთა" ამბაკ. 3,14. იხ. კჳრვება.

განკჳრვებულ-ი გაოცებული, განცვიფრებული, შემკრთალი: „ეხილეს ჰაერნი განკჳრვებულნი და მფრინველნი დაუყდებულნი" ღვ. შობ. 101,9; „განკჳრვებულ ვარ მე თჳენითჳს" გალ. 4,20; „განკჳრვებული ჰმადლობდა ღმერთსა" 3. ცხ. 171v.

განლალება გამაყუება, გათამამება, გაკადნიერება: „მეფე იგი განლაღნა და აღჰყუა ამპარტავანებასა" რიფს. 168,32; „მეცნიერება განალაღებს, ხოლო სიყუარული აღაშენებს" I კორ. 8,1; „განლაღნა იგი ერსა შენსა ზედა" ნეემ. 6,10.

განლალება ამპარტავანება: „ნუუკუე იყუნენ თჳენ შორის... განლაღებანი, შფოთებანი" II კორ. 12,20.

განლალებულ-ი გაამაყებული; ამაყი, ზვავი: „განლაღებულ არს და მამად ღმერთსა იტყჳს" სიბრძ. ხოლ. 2,10; „განლაღებული ყოველთა ზედა" II თეს. 2,4. იხ. ლაღობა.

განლაშქრება «განწყობა»: „რავდენთა განილაშქრეს იერუსალიმს ზედა" G,—რომელნი-იგი განეწყუნეს იერუსალიმსა ზედა" O, ეს. 29,8.

განლევა, გალევა გაცვეთა, გამოლევა; დაჭანცვა: „ცეცხლსან განლია იგი" ეზეკ. 19,12; „სამოსელი, რომელი-იგი მემოსა, განილია" H—311,14; „დღითი-დღედ განვილევი მწუხარებითა" 3. ხწ. 203,22; „არა განილიო მცირედ-მცირედ ტანჯვითა" ლონგ. 180,21; „მე ჯეროვნად განვილიო და განეკუდე" II კორ. 12,15; „განილინეს გამოძიებასა გამოსაძიებელისასა" ფს. 63,7. „ცეცხლითა განლეულნი იტანჯებოდეს" ხიბრძ. ხოლ. 10,10. იხ. ლევა.

განლეწა «დალეწა»: „განჰლეწო მთა, დააწულილნე ბორკუნი" O, — „დაჰლეწნე მთანი და დაჰმწულილნე ბორკუნი" I, ეს. 41,15.

განლიგება გამტერება, განცვიფრება: „მთავრობანი იცვალნეს და ჴელმწიფებანი განლიგნეს" 3. ხწ. 124,15.

განლიგებულ-ი «განცხრებული», გაოგნებული, გაშტერებული; შემცთარი: „თუალ-უგიან და განლიგებული (განცხრებული) ხედაეს კაცსა ვისმე ერთსა" თეკ. 95,22; „განლიგებულ არს ყოველთა გზათა მისთა" ფს. XXIII, 20; „განლიგებულმან განჰმარტე ჴელი ჩემი აღმოყუანებად მისა" 3. ცხ. 428r; „როკუიდა იგი შორის მეინაკეთა მათ, განლიგებულთა თუალთა სიმთრვალითა მით ღჳნისაჲთა" Alh.—11,102v. იხ. ლიგება.

განლტოლვა (-ილი) იხ. განვლტოლა (-ილი).

განმაახლებელ-ი ახლად მქცევი: „რომელ არს შემოქმედი და განმაახლებელი და მაკხოვარი" რიფს. 168,25. იხ. განახლება.

განმაბნეველ-ი გამფანტველი: „(მგელნი)... განმაბნეველნი სამწყსოთა ღმრთისათანი" ბას. კეს.-ექუს. დღ. 33,2. იხ. განბნევა.

განმაგრება, გამაგრება «განმტკიცება», «გაძლიერება»: „განიმაგრე გული შენი" M,—„განიმტკიცე გული შენი" G, მსჯ. 10,5; „განმიმაგრეთ ზერგით კერძო" ჭ. ცხ. 10,12; „რამეთუ განმაგრდეს თუ სიმაგრე ძალისა მისისა" G,—„თუ განიძლეოს სიმაღლე იგი სიმტკიცისა მისისაჲ" O, იერემ. 51,53. „ზღუდეთა მისთა ეგულების გამაგრებაჲ" I ეზრა 9,18. იხ. მაგარი.

განმავალ-ი, გამავალ-ი მიმავალი: „ეტყოდა განმავალსა მას მისა ერსა ნათლის-ღებად მისაჲსა" ლ. 3,7; „გამავალთა ძმათა ჰკითხავნ მიზეზსა განსლვისასა" ი.-ე. 34,28. იხ. განსლვა; შინა-განმავალი.

განმაზოგებელ-ი გამანაწილებელი: „განიზრახე ადგილისა

მისთჳს, განმყოფელისა და განმაზოგებელისა ნოტიაჲსა“ ბას. კეს.-ეკუს. დღ. 47,10. იხ. განზოგება.

განმათავისუფლებელ-ი გამთავისუფლებელი, მხსნელი: „ტუეთა თანა განმათავისუფლებელი“ ეს. კჳპრ. [დაფლ.] 94r. იხ. განთავისუფლება.

განმაკრთობელ-ი შემაძრწუნებელი: „ბგერაჲ განმაკრთობელი, დაზულვაჲ კლდეთაჲ“ სიბრძ. ხოლ. 17,18. იხ. განკრთომა.

განმამაკაცება «განორძნება», გაზრდა: „ვიდრემდე განორძნდენ“ M,—„ვიდრემდის განმამაკაცნენ“ G, რუთ. 1,13. იხ. მამაკაცი.

განმამაკაცებელ-ი გააზალგაზრდაებული: „მოაგოს იგი განმამაკაცებელი კაცთა შორის“ ოთხ 33,25. იხ. განმამაკაცება.

განმამართლებელ-ი ვინც ამართლებს: „მოახლებულ არს განმამართლებელი ჩემი“ ეს. 50,8. იხ. განმართლება.

განმამტკიცებელ-ი «დამამტკიცებელი»: „ეფრემ, განმამტკიცებელი თაჳისა ჩემისაჲ“ Ქ,—„ეფრემ, დამამტკიცებელი თაჳისა ჩემისაჲ“ Ჭ. ფს. 107,9. იხ. განმტკიცება.

განმამწარებელ-ი გამამწარებელი: „მიგაელინო შენ სახლისა მის ისრაელისა, განმამწარებელთა მათ ჩემთა“ ეზეკ. 2,3. იხ. განმწარება.

განმანათლებელ-ი ვინც ანათ(ლ)ებს: „სანთელი განმანათლებელი არს ზედა სასანთლესა წმიდასა“ ზირ. 26, 29; „ჲ დაყუდებაო, განმანათლებელო სულისაო“ ჲ. ცხ. 80v. იხ. განათლება.

განმარგლა მარგლა: „მეშაკნე კეთილშან განმარგლის ყანაჲ თჳსი ღუარძლისაგან“ ჲ. ხწ. 278,14. იხ. მარგლა.

განმართ, გამართ გარეთ, შორს: „არა თუ მოყუასსა მას თჳსსა განმართ გაუტეევებდა“ მრთ. S, ი. ოქრ.-მარხ. და ითნ. 105,8; „მართალთაგან ესე ყოველი გამართ განიელტინ“ ზირ. 26,18. იხ. მართ.

განმართება, გამართება გასწორება, გამართვა, განახლება, წარმართვა; გაშლა, «განმარტება»: „განმართნეს ალაგნი ჭეუყანისანი“ ხიბრძ. ხოლ. 9,18; „მრუდი განჰმართე“ ლიმ. 64,29; „უკეთეთუ განმართებით განჰმართნეთ გზანი თქუენნი და სლუანი თქუენნი“ იერემ. 7,5; „განჰმართენით გულნი, ორგულნო“ იაკ. 4,8; „ხატი შენი განრუუნილი განჰმართო“ ეს. კჳპრ.-დაფლ. 99v; „განიმართნეს (განიმარტნეს pb.) ფრთენი თჳსნი“ O, იერემ. 48,40.

განმართება შენელება, შეკაზმვა: „უკუეთე ზეით აჲლდის (საჭმელსა), კელარი დაიუბნის და ამცნის განმართებაჲ“ ი.-ე. 37,12.

განმართებულ-ი გაშლილი, გაბმული: „ეითარცა მახჳ, განმართებული ოლეთა ზედა“ ოჳხე 5,1. იხ. მართება.

განმართლება მართლად ქცევა; სამართლის ქმნა: „უკუეთუ განმართლდეს უღლითა უშჯულოჲ ფჩი“ მიქ. 6,11; „რომელნი განიმართლებთ თაეთა თჳსთა“ ლ. 16,15; „განამართლონ მართალი და განაცრუონ უღმრთოჲ“ II შჯ. 25,1; „აღიარენ ბრალნი შენნი და განჰმართლდე“ ჱ. ხწ. 220,19; „მდაბალი და გლახაკი განამართლეთ“ ფს. 81,3.

განმართლება გამართლება; სამართალი: „მნებავს განმართლებაჲ შენი“ იობ 33,32; „პირით შენით განმართლებაჲ ჩემი გამოვედინ“ ფს. 16,2.

განმართლებულ-ი მართალი; სწორი: „რაჲთა... წოდნი განმართლებულ იპოვნენ“ იქ. რომ.-კურთხ. იხაკ და იაკ. 2,2. „კაცი გონიერი განმართლებულად ეალნ“ იგ. ხოლ. 16,21. იხ. მართლება.

განმარინებელ-ი დამახრწეველი, გადამრჩენელი; განმსხმელი: „არავინ იყო განმარინებელ ვერძისა მის ჴელისაგან მისისა“ დან. 8,7; „არავინ იყოს განმარინებელ თჳენდა“ II შჯ. 32,39. იხ. განრინება.

განმარისხებელ-ი «განმაძჭნებელი»: „და მოვიდოდიან შენდა შიშით ძენი იგი... განმარისხებელთა (განმაძჭნებელთა pb.) შენთანი“ I ეს. 60,14. იხ. განრისხება.

განმარტება «გამოთარგმანება»; «განძარცუვა»; «მიყოფა», «განპყრობა», «გარდაფენა», «ცხად-ყოფა», ახსნა; გაცლა; გაშლა; «განმართება»; «განცხადება»: „ეითარ განჴმარტებდა ჩუენ წიგნებსა“ C,—„ეითარ-იგი განმომითარგმანებდა ჩუენ წიგნთა“ DE, ლ. 24,32; „განჴმარტონ სამოსელი წინაშე ბერობასა“ G,—„განსძარცონ სამოსელი მისი და განიხილონ იგი“ O, II შჯ. 22,17; „ჴელი მისი მარცხენე მანისა მიმართ განჴმარტა“ G, — „ჴელი მარცხენე მისი მიყო მანასა“ M, მსჯ. 5,29; „განჴმარტა სამოსელი თჳსი“ G,—„განიპყრნა ჴელეონ სამოსელნი თჳსნი“ M, მსჯ. 8,25; „განჴმარტო მახე ჩემი“ O,—„გარდაჴფინო მის ზედა ბადე ჩემი“ pb., ეზეკ. 17,20; „განმარტოს ენაჲ ბრგუნული“ O,—„ცხადიყოს ენა ძლით-მზრახველი“ pb., ეს. 35,6; „განუმარტებან ყოველსა“ ჰრ. 4,34; „განიმარტის და წარიდეს მარტოჲ უდაბნოდ“ ფიზ. XXIII, 5; „ყოველსა კაცსა ნუ განუმარტებ (განუცხადებ pb.) გულსა შენსა“ O, ზირ. 8,29; „განუმარტებდეს ფერჴთა მათთა“ ანდ.-ანატ. 220,2; „განიმარტნეს (განიმართნეს O) ფრთენი თჳსნი“ I, იერემ. 48,8.

განმარტება თარგმანება, კომენტარი: „გამოეძიებს კერთხევათა მათთჳს განმარტებაჲსა“ იქ. რომ.-კურთხ. იხაკ. და იაკ. 10,1.

განმარტებულ-ი, განმარტულ-ი «განპყრობილი», «მარტი(ვ)ობა», გაშლილი, გადაფენილი; წმინდა, ნათელი; წრფელი: „ფრთენი მათნი განმარტებულ ზედა კერძო ოთხთავე მათ“ O,—„ფრთენი მათნი განპყრობილ ზენაჲთ ოთხთაჲსა“ G, ეზეკ. 1,11; „განმარტებულითა გულითა გულს-ეიდგინე მე ესე ყოველი“ I ესთ. 29,17; „ღმერთო თუალი შენი განმარტებულ არს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს“ ლ. 11,34; „თუალნი ჩუენნი განმარტულ არიან და ქედნი ჩუენნი დადრეკილ არიან წინაშე მისსა“ ბალ. 56,24; „მიილებდეს საზრდელსა მხიარულითა და განმარტებულითა გულითა“ ხაქ. მოც. 2,46; „განმარტებულითა გულითა ეიტებდით მას“ ხიბრძ. ხოლ. 1,1; „(მარტოობითა) განმარტებულითა გულისაჲთა გუშინოდენ ღმრთისა“ კოლ. 3,22.

განმარტოება მარტოდ ყოფნა: „ესე საქმენი შეუნიან

პანანელსა, რაჲთა განმარტოვდეს" მ. ცხ. 90r. იხ. მარტოვება.

განმარჯუება წარმატება, «წარმართება»: „განემარჯუებოდა საქმე იგი ტაძრისაჲ მის" I ეზრა 7,8; „უფალმან თავადმან განუმარჯუს მას" O,—„უფალმან კეთილი წარუმართოს მას" pb., ზირ. 15,10.

განმარჯუება, გამარჯუება წარმატება; მოწადინეობა, «ნება»: „ეთხოვდით ადგილსა და განმარჯუებასა ჩუენსა შეელია ჩუენთანჲს" I ეზრა 8,51; „ელენან განმარჯუებასა გულისა მათისა უკეთურისასა" O, — „მალალთა ნებასა გულისა მათისათა" pb., იერემ. 13,10.

განმარჯუებულ-ი «მარჯუე», მძლე: „ეძიებდა განმარჯუებულსა ჟამსა" C,—„ეძიებდა ჟამსა მარჯუესა" DE, მთ. 26,16; „პარითა განმარჯუებულითა მიიწინეს ბიზანტიად" ანდ.-ანატ. 234,21; „განმარჯუებული შემოვიდა" ჭ. ცხ. 52,4. იხ. მარჯუება.

განმასაზღურებელ-ი «განსაყოფელი»: „განზომა სოგრძე იგი განმასაზღურებელისა (განსაყოფელისაჲ O) მის" ეზეკ. G. 41,15. იხ. განსაზღურება.

განმატფობელ-ი იხ. განტფობა.

განმაუცხოებელ-ი უცხოდ შემქმნელი: „სარწმუნოებისა განმაუცხოებელ" ლონგ. 150,30. იხ. განუცხო(ე)ბა.

განმაქარვებელ-ი მომსპობი, წამხდენი: „ესენი წინააღმდგომ არიან და განმაქარვებელ ერთმანერთისა (ცეკლ წყლისა)" ბას. კეს.-ეჭუხ. დღ. 45,13. იხ. განქარვება.

განმაქიქებელ-ი გამამქღავნებელი: „და ესე (ქებაჲ კაცთაჲ) განმაქიქებელ და მარცხუნელ არს კაცისა" მ. ცხ. 82,12; „ჴელშემარიტებისა და ტყუილისა განმაქიქებელნი" H—241,107. იხ. განჭიქება.

განმაყენებელ-ი «წარმდევნელი», მომცილებელი; გამშორებელი: „იყუნენ მკედარნი ამის ერისანი საქმელად მფრინველთა... და არავინ-იყოს განმაყენებელ" O,—„იყუნენ მკედარნი ამის ერისანი საქმელ მფრინველთა... და არა იყოს წარმდევნელი" G, იერემ. 7,33. იხ. განყენება.

განმაშორებელ-ი მომცილებელი: „სიმდაბლისა განმაშორებელ" ლონგ. 190,1. იხ. განშო(ე)რება.

განმაცრუებელ-ი გამტეხი: „ვიყავ შე... განმაცრუებელ ფიცსა სხჳსა" მ. ხწ. 262,26. იხ. განცრუება.

განმაცხოველებელ-ი სიცოცხლის მომცემი: „სული არს განმაცხოველებელი" ი. 6,63. იხ. განცხოველება.

განმაძლიერებელ-ი ძალის მიმცემი: „განმაძლიერებელი ჩემი და მჴსენებელი ჩემი შენ ხარ" ფს. 30,4. იხ. განძლიერება.

განმაძნელებელ-ი გაუტანელი, «შეუტკბობელი»: „განმაძნელებელ ჩუენდა არს" O,—„შეუტკბობელ არს ჩუენდა" pb., სიბრძ. სოლ. 2,12. იხ. განძნელება.

განმაძჯნებელ-ი «განმარისხებელი»: „მოვიდოდიან შენდა შიშით ძენი იგი... განმაძჯნებელთა (განმარისხებელთა I) შენთანი" O, ეს. 60,14. იხ. განძჯნება.

განმაძლარ-ი, გამაძლარ-ი აესებული: „-წეკ განმაძღარ ხართ" I კორ. 4,8; „განმაძღარ არიან, არღარა ჴნებავს ჭამად" მ. ცხ. 270 v; „ვერ გამაძღარა წყლითა" O,—„არა განძღებისწყლითა" pb., ოგ. ხოლ. 30,10. იხ. მაძღარი; გა(ნ)ძღომა.

განმაწესებელ-ი «მოპატრე», გამჭრიახი, შორსმჭვრეტელი: „მოსპოლავს... წინაწარმეტყუელსა და განმაწესებელსა" O,—„მოსპოლავს... წინაწარმეტყუელს და მოპატრესა" pb., ეს. 3,2. იხ. გა(ნ)წესება.

განმახუა, გამახუა წამახვა, ალესვა: „ლერწამნი განმახუნიან" სიქელ. უწყ. 1210; „გამახუე მახჳლი შენი" ჭ. ცხ. 184,4. იხ. მახუა.

განმბნეველ-ი იხ. განბნევა.

განმგე გამგე; გამგებელი; მმართველი: „იქმნა იგი მიერითგან განმგე რჩეულ" მ. ცხ. 218 r; „რაჲთა იგი იყოს განმგე ამა საჭმესა" ბარიტ. წამ. 101v; „შეისუენა მამამან მისმან და დაშთა პანტელეონ მარტოჲ განმგედ თაჳსა თჳსისა" Sin.-11,181r.

განმგებელ-ი «განმმართველი»; ზედამდგომელი, მნე; ქვეყნის მმართველი: „ბრძენთა განმგებელ" O,—„ბრძენთა განმმართველ" pb., სიბრძ. სოლ. 7,15; „თჳსისა სახლისა კეთილად განმგებელ" I ტიმ. 3,4; „რავდენნი ურწმენონი მთავარნი და განმგებელნი მოჰკუდარ არიან სოფელსა ამას" მ. ხწ. 87,27; „დაუტევა... განმგებელად წარჩინებული ერთი" ჭ. ცხ. 68,1. იხ. განგება.

განმგებელ-ი და მწიგნობარ-ი «მწიგნობარ(თ)-შემყვანებელი»: „მსაჯულნი და განმგებელნი და მწიგნობარნი დაადგინნე თავისა შენისა" M,—„მსაჯულნი და მწიგნობართ-შემყვანებელნი დაადგინნე თაჳსა შენისა" G, II მჭ. 16,18.

განმგებელთ-მოძღუარ-ი მთავარი, მმართველი: „ალექსანდროს განმგებელთ-მოძღუარმან თქუა" Sin.-11, 234r. იხ. მოძღუარი.

განმდიდრება დიდად ან მდიდრად ქცევა: „რაჲთა თქუენ მისითა მით სიგლახაკითა განმსდიდრდით" II კორ. 8,9; „განდიდნეს და განმდიდრდეს (განმდიდრნეს O) და განსუქნეს და განპოხნეს (განსხუეს O)" I, იერემ. 5,28; „უფალმან დაიგლახაკის, განამდიდრის" I მფ. 2,7; „იცითა, თუ ეითარ განემდიდრდი შე, და თქუენცა... უეჭუელად განჰმსდიდრდეთ" მ. ცხ. 42v.

განმდიდრება სიმდიდრე: „განაშრაელე განმდიდრებაჲ მისი" ფს. 64,10. „განმდიდრებული იგი დაგლახაკნების" გრ. ანძ.-შობ. 299,4. იხ. მდიდრება.

განმდრეკელ-ი «გარდამაქცეველი», მიმდრეკელი, შემცდენელი: „მოიყუანეთ, წარმოადგინეთ ჩემ წინაშე კაცი ესე, ეითარცა განმდრეკელი ერისაჲ" C,—„მომგუარეთ მე კაცი ესე, ეითარცა გარდამაქცეველი ერისაჲ" DE, ლ. 20,14. იხ. განდრეკა.

განმეძვება «სიძვა», როსკიპობა: „არა შეგინო ასული შენი განმეძვებად იგი" G,—„არა შეგინო ასული შენი სიძვად" pb., ლევიტ. 19,29. იხ. მეძვება.

განმზადება მზად ყოფნა; მორთვა, მოწყობა: „მე განუმზადო სახლი აქლემთა შენთა" დაბ. 24,31; „განმზადებულ არიან ბრძოლად" იქდ. 5,1; „განჰმზადა სამარათალსა ზედა საყდარი თჳსი" ფს. 9,8; „რომელი განემზადებოდის ლაშქრად წინაშე პირსა მეგობრისასა" ოგ. სოლ. 29,3; „განეგემზადენით და აღეიდოდეთ იერუსალჵმდ" საქ. მოც. 21,15; „რომელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა" ლ. 7,27.

განმზადება გაწყობა: „განმზადებასა გულისა მათისასა ერჩდა ყური შენი“ ფს. 9,38.

განმზადებულ-ი «მზა»; მოსალოდნელი, «განკრძალული»: „ყუენით განმზადებულ“ DE,—„მზა იყუენით“ C, მთ. 24,44; „განმზადებულნი დგენ ბრძოლად“ pb.,—„განკრძალულნი განვემზადენით ბრძოლად მათა“ O, ნეემ. 4,16; „განმზადებულ ვარ მე მისლვად თჳენდა“ II კორ. 12,14; „და განმზადებულად გუაქუს შურის-გებად ყოელსა ურჩებისა“ II კორ. 10,6; „განმზადებულ არიან მისა ფრთენი, ეითარცა ორბისანი“ იგ. ხოლ. 28,6. იხ. მზადება, წინა-განმზადება.

განმზადებულება «ჭურჭელი», აკაზმულობა, მოწყობილობა, საჭირო ნივთები: „წარმოტყუენეს... განმზადებულებაჲ მათი“ G,—„და წარტყუენეს... ჭურჭლები მათი“ M, რიცხ. 31,6; „გჳღუაწენ ჩუენ ყოელითა განმზადებულებითა“ I ეზრა 8,31; „ყოელი განმზადებულებაჲ მის თანა წარიღენ“ II ეზრა 1,4.

განმზომელ-ი მიწის-მზომელი: „არა არს მათ შორის განმზომელი, რომელმანმცა განუზომა სამკჳდრებელი მათი“ ბას. კეს.-ბჳუნ. დდ. 100,38. იხ. განმზადება (-ელი).

განმზრახ-ი, განმზრახველ-ი, გამზრახ-ი მრჩეველი: „განგებულებით იქმნების ბრძოლაჲ, ხოლო შეწევნაჲ—გულისაგან განმზრახველისა“ იგ. ხოლ. 24,6; „უკეთუ ჰკითხის რაჲმე ვინ, ბოროტისა განმზრახველ ეჰმნის“ მ. სწ. 241,5; „არა ყოლადვე გეპოოს ჩემებრი განმზრახი“ მ. სწ. 157,6; „უბრძანა მჴედართა, რაჲთა თავები დაშჩრან ყოელთა გამზრახთა“ S—1141,61г. იხ. განზრახვა; მართლ-განმზრახველი.

განმკითხველ-ი მსაჯული, გამომძიებელი: „ყოველთა გულთა განმკითხველი არს ღმერთი“ I სწტ. 28,9; „ვინ არს განმკითხველი ჩემი“ ეხ. 50,8; „იყავ შენ მარადის შემასმენელ თავისა შენისა და განმკითხველ სულისა შენისა და მაშჩილებელ ცოდვათა შენთა“ მ. სწ. 138, 20. იხ. განკითხვა.

განმლეველ-ი «შემწუველი», გამცეთელი: „ღმერთი შენი ცეცხლ განმლეველ არს“ G,—„ღმერთი შენი ცეცხლ შემწუველ არს“ M, II შჯ. 4,24; „არს იგი (კაცი მტყუარი) განმლეველ სათნოებისა, ეითარცა გესლი რაჲნისა“ მ. სწ. 241,32. იხ. განლევა.

განმმართებელ-ი მესაჭე, გამზიდველი: „ჯარი... ურნატ-საესედ განმმართებელი“ პოვნ. სტეფ. 67,16. „მოიქცევიან მცირისაგან საჴისა, ვიდრეცა-იგი მისლვად განმმართებელსა მას უნებნ“ ოაკ. 3,4. იხ. განმართება.

განმმართველ-ი «განმგებელი»: „ბრძენთა განმმართველ“ pb.,—„ბრძენთა განმგებელი“ O, სიბრძ. ხოლ. 7,16. იხ. განმართვა.

განმმარტებელ-ი მთარგმნელი, კომენტატორი: „წარმოდეგინ აწ საშეულ... ზეცისაჲ განმმარტებელი“ ოა. რომ.-კურთხ. ისაკ და ოაკ. 6,9; „რამეთუ განმმარტებელად შორის მათსა დგა“ იქვე. 0,14. იხ. განმარტება, ურნატ-განმმარტებელი.

განმმსტრობ-ი «მსტოარი», ჯაშუში: „დამალნა განმმსტრობნი (მსტოარი M), რომელნი მიაელინნა იისუმან განმსტრობად იერიქოჲსა“ G, იხუ 6. 6,25. იხ. განმსტრობა.

განმრავალწილება «განმრაელება»: „რაჲთა ცოცხალ იყუნეთ და განჰრავალწილენით“ G,—„რაჲთა სცხონდეთ და განმრაელდეთ“ M, II შჯ. 11,8. იხ. წილ.

განმრაველება «განმრავალწილება», მრაელად ქცევა, გადიდება, შემატება, განშირება, გამდიდრება: „რაჲთა სცხონდეთ და განმრაელდეთ“ M,—„რაჲთა ცოცხალ იყუნეთ და განჰრავალწილენით“ G, II შჯ. 11,8; „განმრაელდეს მჴეცი ქუეყანისაჲ შენ ზედა“ გამოსლ. 23,29; „განმრაელებით განგაგრაველო შენ“ ჰებრ. 6,14; „განვაგრაველნე ივინი და არღარა შემცირდენ“ ბარ. 2,34; „ჴირნი გულისა ჩემისანი განმრაელდეს“ ფს. 24, 17; „განამრაველა ცოდვა“ II სწტ. 33,23; „ეგჳპტურმან განამრაველნის სიტყუანი“ ეკლ. 10,14; „წყლელებამან ზაკუეოსმან განამრაველნის ბრძჳნი“ ზირ. 27,28; „განამრაველებ ტანჯვათა მაგათ“ ანდ.-ანატ. 217,8; „განმრაველდეს ოქროჲთა და ვეცხლითა“ იუდ. 5,3. „ჴანმრაველებითა უშჯულოებისაჲთა განჴმეს სიყუარული მრაჳალთაჲ“ მთ. 24,12. იხ. მრაველება.

განმრაცხელ-ი რომელიც ითვლის: „პოეა კაცი... განმრაცხელი წელთა მრაჳალთაჲ“ Sin-97,70v. იხ. მრაცხელი.

განმრთელება «განცოცხლება», «განკურნება», «განგება»; გამოჯანსაღება; «განცხოველება»: „უკუეთუ იქმნეს ჯორცსა ტყაეისა მისისასა წუთხი და განმრთელდეს“ G,—„უკუეთუ იყოს ჯორცსა ტყაეისა მისისასა წყლულებაჲ იგი რაჲმე და განცოცხლდეს“ pb., ლევიტ. 13,16; „ვიღრე არა განმრთელდეს“ G,—„ვიდრემდის განეგნეს“ M, იხუ 6. 5,9; „სინანული მჴცას არს უძლურსა ჭეუმდებარესა, რომელი განმრთელდის სენისაგან“ მ. სწ. 58,18; „განმამრთელნეს ჩუენ შემდგომად ორისა დღისა“ G,—„განმაცხოველნეს შემდგომად ორისა დღისა“ O, ოსე 6,2.

განმრთელებულ-ი «განკურნებული»: „განმრთელებულ არს სჯრიგობაჲ“ G,—„განიკურნა სჯრიგებელება იგი“ pb., ლევიტ. 13,37. იხ. მრთელი.

განმრუდება განხრა; შეცვლა; «გარდაქცევა»: „პირი თჳსი განმრუდოს“ O,—„გარდააქციოს პირი თჳსი“ pb., ზირ. 27,26; „განიმრუდა პირი მისი“ I შჯ. 21,13. იხ. მრუდება.

განმრყუნელ-ი წამხდენი, გამფუჭებელი: „მიაყარეთ ჩუენ მელები მცირჱ, განმრყუნელი ვენაჯთაჲ“ ქება 2,15; „ნუმცა მიგუტაცებს კრავსა სამწყსოჲთ შენით აღთქუმულთა ამათგან განმრყუნელი იგი მგელი“ რიფხ. 104,30. იხ. განრყუნა.

განმსტრობა, განმსტუროობა, განმსტუჳრობა: «განხილვა», «მოხილვა», «სტუანვა», თვალთვალი, ჯაშუშობა: „განიმსტურეს ჴუეყანაჲ“ pb., — „განიხილეს რაჲ ჴუეყანაჲ“ G, რიცხ. 13,26; „მიაელინნა... რაჲთა გამოიკულიონ ქალაქი და განიმსტრონ ესე ქუეყანაჲ“ I სწტ. 19,3. „წარაელინა მოსე განმსტუროობად იაზიროსსა“ G, — „წარაელინა მოსე მოხილვად იეზერისა“ pb., რიცხ. 21,32; „განმსტრობად“ G,—„სტეანვად“

M, ახუ 5. 6.25; „წარაკლანა... განსტერობად, სადაცა ბუნ იყო ეთოპელთა" Sin.—11,894r. იხ. მსტ(უ)ეროება.

განმსტერობელ-ი მზვერავი, ჯაშუში: „განმსტერობელთა მის ქეყანისათა მოიპეს სამოსლები" რიცხ. 14,6. იხ. განმსტეროება.

განმსყიდელ-ი «მოფარდული», ეაჭარი: „გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელა იყიდდა ტაძარსა" DE,—„გამოასხა ყოველი მოფარდული და მომსყიდველები ტაძარსა მას შინა" C, მთ. 21,12; „იყოს განმსყიდელი იგი, ვითარცა მომსყიდელი" ეს. 24,2. იხ. განსყიდა.

განმსჭუალვა, განმშჭუალვა «შემშჭუალვა», მიკვრა; დალურსმვა: „განმჭუალენ შიშითა შენითა ჴორცნი ჩემნი" Ქ.—„შევმჭუალენ შიშსა შენსა ჴორცნი ჩემნი" Č, ფს. 118,120; „განვიმსჭუალნით მწუხარებითა, ვითარცა მესმრიოა" მ. სწ. 31,8. იხ. მშჭუალვა.

განმტკიცება «განმაგრება», «განძლიერება», «ვამყარება»: „განიმტკიცე გული შენი" G,—„განიმაგრე გული შენი" M. მხკ. 19,5; „ყრმაჲ განმტკიცნებოდა" DE, — „ყრმაჲ იგი... განძლიერდებოდა" C, ლ. 1,80; „რომელმან განამტკიცენ ყოველნი სიტყუანი შენითა" რიფს. 104,18; „მკლავემან ჩემმან განამტკიცოს იგი" ფს. 88,22; „განამტკიცნეს პირნი მათნი უფროჲს ღმრთისა" იერემ. 5,3; „განამტკიცოს სიტყუაჲ ჩუენი გულსა შინა შენსა" pb.,—„დასჯერდინ სიტყუაჲ ჩემი გულსა შენსა" O, ეგ. ხოლ. 4,4. „შე უფროჲსად განმტკიცებულ ვარ ქრისტჱს მიმართ" ეზტ. 122,1. იხ. მტკიცება.

განმტყუენება გაცრუება: „განამტყუენე ალთჳმაჲ იგი, რომელი ალმოჰქ მე" მ. სწ. 126,30. იხ. მტყუენება.

განმღებ-ი, განმღებელ-ი «რომელმან განაღოს», გამღები, გამხსნელი: „არა იყო განმღები ქართა ჴორიათაჲ" G.—„არეინ იყო, რომელმანცა განახუნა კარნი მის ჭორისანი" M, მხკ. 3,25; „ყოველი განმღებელი ყოველსა საშოჲსაჲ" G,—„რომელმან განაღოს საშოჲ" pb., რიცხ. 18,15. იხ. განღება.

განმყოფ-ი, განმყოფელ-ი გამანაწილებელი, მფშვნელი, მომტეხი; «მომპოვნებელი»: „განმყოფი ნატჳენაჲთად" G. მხკ. 5,30; „ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თჳენ ზედა?" ლ. 12,14; „არა ვინ იყო განმყოფელ მათა" გოდ. იერემ. 4,4; „განმყოფელო საცოურისაო" A,—„მომპოვნებელო საცოურისაო" B. სხსტ. 132,23. იხ. განყოფა.

განმყოფელ-ი გამშლელი, გამრთხმელი, «მომპოვნებელი» (?): „განმყოფელმან ფრთეთა თჳსთაჲსთან შეიწყნარნა ფრინი" G.—„განუკნა ფრთენი თჳსნი და შეიკრიბნა იგინი" M, II მჯ. 32,11; „განმყოფელო საცოურისაო" B.—„მომპოვნებელო საცოურისაო" A, სხსტ. 132,23. იხ. განყოფა.

განმშჭუალვა იხ. განმსჭუალვა, სამსჭუალი, სამშჭუალი.

განმცდელ-ი მაცთური, ავაზაკი: „ნეეკეე განგცადნა თჳენ განმცდელმან ჩემ" I თეს. 3,5; „ძალი შენი, კაცისა განმცდელისაჲ" ოსე 6,9. იხ. განცდა.

განმცემელ-ი «გამომცემელი», გამცემი: „პელი განმცემელისა ჩემისაჲ ჩემ თანა ტაბლასა ზედა" ლ. 22,21; „რომელი-იგი იყო განმცემელ" DE,—„რომელი-იგი იყო გამომცემელი" C, ლ. 6,16. იხ. განცემა; შინა-განმცემელი.

განმცხრომელ-ი ამაყი, ზვიადი; მომლხენი, მამხიარულებელი; მოცეკვავე: „თუალნი განმცხრომელნი დამდაბლდენ" ეს. 5,15; „ნუ წარსწყმედ განმცხრომელსა მაგას ქალაქისასა" ფილიმ. 20ბv; „სარგებელ გეყოს იგი უფროჲს ხილვასა თიატრონისასა, მომღერალთა და განმცხრომელთა" მ. სწ. 61,8; „სადა-მე იყვნენ მაშინ მსუმელნი ღჳნისანი და განმცხრომელნი მრაველითა სახიობითა და ჴმითა ქნარისა და სტჳრისადთა" მ. სწ. 15,8; „შეიყვანა იგი განმცხრომელთა ტაბლასა, გინა მოსუმურთა შეებისა" Sin.—11,125v; „ნუმცა ხართ წინაშე დედათა მხიარულ და განმცხრომელ გულითა, და წინაშე მამათა და ძმათა თქუენთა მჭმუნვარე პირითა და მწუხარე გულითა" მ. სწ. 271,19; „არასადა ყურად იხუენით ჴმანი დედათა განმცხრომელთანი" მარკ. 248v. იხ. განცხრომა.

განმწარება, გამწარება «ვანრისხება»; მწარედ ქცევა: „განვმწარენ მე უფროჲს თჳენსა" G,—„განმწარდა ჩემზჱ უფროჲს თჳენსა" M, რუთ 1,13; „განგამწარეს შენ, უფალო" ფს. 5,11; „კერპებითა მათითა განმწარეს მე" M,—„განმარისხეს მე კერპებთა ზედა" G, II მჯ. 32,21.

განმწარებულ-ი მწარე, განრისხებული: „იგი თაეად განმწარებულ არს" გოდ. იერემ. 1,4; „განმწარებულ ხარ მშობელთა მაგათ მიმართ შენთა" ფსლტ. 148,30. იხ. მწარე.

განმწესებელ-ი წესრიგში მომყვანი: IV მფ. 20,19. იხ. განწესება.

განმწმედელ-ი ვინც წმენდს: „რამეთუ განმწმედელი იგი და განწმედილნი იგი ერისაგან არიან ყოველნი" ჰებრ. 2,11. იხ. განწმედა.

განმწჯსება «აღორძინება», გაზრდა: „განმწჯსნა ყრმაჲ" G,—„აღორძნდა ყრმაჲ იგი" M, მხკ. 16,24; „განმწჯსნა ყრმაჲ იგი და იქმნა ჰაბუკ" მ. ცხ. 140r. იხ. მწჯსი.

განმწყრალება „განამწყრალა ეფრემ და განარისხა" pb.,—„გული განაწყო ეფრემ და განარისხა" O, ოსე 12,14. იხ. წყრომა.

განმხიარულება «განიშატიანება», გამხიარულება: „იყო რაჟამს განმხიარულდა გული მათი" M.—„იყო ოდეს განიშატიანდა გული მათი" G, მხკ. 16,24; „განამხიარულე მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა" ფსლტ. 127,4. „რაჟამს ეშმაკ განმხიარულებული დუღდა" ფსლტ. 133,1. იხ. მხიარულება.

განმხილება გამქლავნება, შერცხვენა: „არა უნდა განმხილებაჲ მისი" მთ. 1,19. იხ. მხილება.

განმჯნობა გამხნევება, გამამაცება, გაძლიერება: „განმჯნდი ძალითა" ნაუმ 2,1; „განმჯნდით და იქმნენით ძე ძლიერებისა" მ. ცხ. 89r; „განამჯნო იგი და ნუგეშინისცა" მ. ცხ. 186r; „განამჯნო იოსებ" მ. სწ. 207,21. იხ. მჯნობა.

განმჯრწნელ-ი მომსპობი, გამანადგურებელი, წამხდენი:

„ნიავ-ქარი შემწეველი და განმკრწნელი“ ეერემ. 51,1. იხ. განკრწნა.

განნათლება იხ. განათლება.

განნაჩინებ-ი «შესაწირავი», ხვედრი: „მჴარი იგი განნაჩინებისაჲ მოვიღე“ G,—„მჴარი იგი შესაწირავისაჲ მოვიღე“ O, ლევიტ. 7,34; „განუჩინეთ განნაჩინები განჩინებულად უფალსა დასაბამად თჳისა თქუენისაჲ“ G,—„განუჩინეთ შესაწირავი შესაწირავად უფლისა პირველი თჳთაგან“ pb., რიცხ. 15,20. იხ. განჩინება.

[განნახევრება] განნახევრებულ-ი «ზოგი», ნახევარი: „იქმნა განნახევრებული ნაწილი განსრულთაჲ ბრძოლად“ G,—„იყო ზოგი იგი ნაწილი, რომელ განიყვეს ბრძოლად“ pb., რიცხ. 31,30; „იყო განნახევრებული იგი შესაკრებელსად ცხოვართაგან“ G,—„იყო ზოგი იგი კრებულისა ცხოვართაგან“ pb., რიცხ. 31,43. იხ. ნახევრება.

განწკრევა, განკრევა «განბნევა», გაფანტვა, «განფიწლვა», «განქარევება», «განბერვა»: „რომელსა ზედა დაეცეს, განაქრიოს იგი“ DE,—„რომელსა ზედა დაეცეს, განაბნიოს იგი“ C, მთ. 21,44; „ეითარცა-იგი განინკრიოს სანკრეველითა“ O,—„ეითარ სახედ განიფიწლვის ფიწლვასა“ pb, ამოს 9,9; „განვა(ნ)კრინე იგინი სოფლებსა შორის“ O,—„განვფიწლნე იგინი სოფლებსა შორის“ G, ეზეკ. 29,12; „განვაკრიო მიწაჲ მისი მისგან“ O,—„განფიწლონ მტუერი მისი მისგან“ G, ეზეკ. 26,4. „ეითარცა არმურნი განანკრინეს იგინი“ O,—„ეითარცა ალმურმან განაქარვნეს იგინი“ pb, ხაბრძ. ხოლ. 6,24; „განანკრიეთ იგი“ O.—„განვბერენ იგინი“ pb., მალ. 1,12. „პრანა... განკრევაჲ ნიჴებითა წინაშე ჭარსა ნაცარი იგი ძუალთა მისთა წჳდათაჲ“ Sin.-11,3661. იხ. ნკრევა/კრევა.

განორძინება «ალორძინება»; «განმამაკაცება», ზრდა: „თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ“ DE,—„თესლი იგი აღორძნდებინ“ C, მრ. 4,27; „ვიდრემდე განორძნდენ“ M, — „ვიდრემდის განმამაკაცნენ“ G, რუთ 1,13. იხ. ორძინება.

განოტება გაძლეება, განდევნა, მოცილება: „განაოტოს პირისა შენისაგან მტერი“ აპ. რომ.-კურთხ. მოხ. 100,4; „ბოროტთა გულის-სიტყუათა განვოტებდი, ხოლო კეთილთა მოუწოდდი“ მ. ცხ. 295v; „განოტებ შიშსა ღმრთისასა შენგან“ მ. ცხ. 295v. „სწრაფით რბიოდა იგი, განრაჲ-ოტებულ იყო იგი სოდომით“ მ. სწ. 105,28. იხ. ოტება.

განპარვა მოპარვა: „სადა მპარაჲთა დათხარიან და განპარიან“ მთ. 6,19; „კედელი დაითხარებოდა და საფასე ჭრა განიპარებოდა“ Alh.-11, 1751. იხ. პარვა.

განპატიჟება დასჯა: „რომელმან განბძაროს პოროტი სამეუფოჲ... ერთითა პატჟითა განიპატიჟნენ ორნივე იგი“ მ. ცხ. 229v. იხ. პატჟი.

განპება «განხეთქა», გაპობა, განხეთქილება; «განკეთება»: „არა განეპოთ ეგე (კეართი)“ C,—„არა განეხიოთ ესე“ DE, ი. 19,24; „განიპო კეუანაჲ ქუეშე კერძო ფერკთა მათთა“ G, — „განსთქდა კეუანა ფერკთა კეუეშე მათსა“ M, რიცხ. 10,31; „განაპეს სამთა ამათ ბანაკი იგი“ I მნტ. 11,18; „უფროჲსად განიპის“ DE,—„უძკრეს განხეთქილ იქმნის“ C, მრ. 2,21; „განიპო აერი და მეყსეულად მუნვე შეირწყუა“ O,—„განკუეთა პაერისა მეყსეულად თჳთ თაეით თჳსით შეურთების“ pb., სიბრძ. ხოლ. 5,12; „გუერდი განუპეს ლახურთაჲ მ. სწ. 70,27. „ყამი არს განკებისაჲ და ყამი შეკერისაჲ“ ეკლ. 3,7; „ამისთჳს არს განკებაჲ და ჴლომაჲ შორის მონაზონთა მსგავსად მსოფლითა“ მ. სწ. 264,18.

განპებულ-ი გაბლეჩილი; «ხეთქილი»: „რომლისა პლაჯი არა განკებულ იყუნენ“ ხ. გად.-დაბ. 188,82; „განპებულსა (ხესა) ჭეშე“ O,—„ხეთქილსა (ხესა) ჭეშე“ pb., დან. 13,54. იხ. პება; ფრთე-განპებული, პლაჯ-განპებული.

განპებულობა გაპობა, გაბლეჩა: „პლიკი არა მრჩობლ განპებულობს“ G,—„პლაჯი მისი არა განპებულ არს“ O, ლევიტ. 11,4. იხ. განპებული.

განპოხება «განსხუობა», გასუქება: „განდიდნეს და განმდიდრდეს და განსუქნეს და განპოხნეს“ I,—„განდიდნეს და განმდიდრნეს და განსუქნეს და განსხუენ“ O, იერემ. 5,28; „(წჴმაჲ მყუდროჲ) სიღრმედ მიიწევს და განაპოხებს ყანასა“ A—02, 238. იხ. პოხა.

განპყრობა «განმარტება», გაშვერა, აღმართვა, გაშლა; «აღპყრობა»: „განიპყრნა გედეონ სამოსელნი თჳსნი“ M,—„განჰმარტა სამოსელი თჳსი“ G, მხ. 8,25; „განგიპყრნენ ჴელნი შენნი“ DE, — „აღგიპყრნენ ჴელნი“ C, ი. 21,18; „განგიპყრენ ჴელნი ჩემნი“ ეს. 65,2; „განიპყრნის ფრთენი თჳსნი“ ოზ 30,36.

განპყრობილ-ი გაშლილი, გაშვერილი; «განმარტებული»: „იყუნეს ჴელნი მოსესნი განპყრობილ“ გამოსლ. 17,12; „ფრთენი მათნი განპყრობილ ზენაჲთ ითხთასა“ pb.,—„ფრთენი მათნი განმარტებულ ზედა კერძო ოთხთაეე მათ“ O, ეზეკ. 1,11. იხ. პყრობა.

განრაცხა აღრიცხვა, დათვლა: „იხილა და განრაცხა იგი“ ზირ. 1,9; „ვინ-მე შეეძლოს განრაცხად?“ ზირ. 18,3. „თმანიცა თაესა თჳენისანი ყოველნი განრაცხილ არიან“ ლ. 12,7. იხ. რაცხა.

განრბევა გარბენა, გაქცევა: „განარბია აქაბ და წარეიდა და მიეგებოდა ელიას“ III მფ. 18,10. იხ. რბევა.

განრგნება «გამოწვედება», დანაყვა: „განარგნა, რომელი შეეკრიბა“ G,—„გამოწვიდა, რომელი-იგი შეეკრიბა“ O, რუთ 2,17.

[განრევა] შერევა: „ცანი მისა ცეარ-განრეელ ღრუბლითა“ აპ. რომ.-კურთხ. მოხ. 198,9. იხ. რევა; ყუავილ-განრეული.

განრვალება რვალად, სპილენძად ქცევა: „ცაჲ განრვალდა“ მრთ. D. ოჭრ.-პეტრე და ელ. 817. იხ. რვალი.

განრთხმა «განყოფა», «მიყოფა», «წარმოზიდვა»; გაბმა; გაშვერა, გაშლა, «განცრცობა»; გაკრვა: „განრთხა ანგელოზმან მან უფლისამან წჳერი იგი კეერთხისაჲ“ M,—„განყო ანგელოზმან უფლისამან წჳერი კეერთხისაჲ“ G. მხ. 6,21; „განირთხ ჴელი შენი“ G,—„შიაე ჴელი შენი“ M, იხუ 6. 8, 18; „ვითარცა განართხიდეს (წარმოჰზიდვიდეს Ꙗ) მას საბლითა“ Ქ. ხაქ. მოც. 22,25; „განირათხ ჴელი შენი“ მთ. 12,13; „საბლითა განართხეს მახე ფერჴთა ჩემთაჲს“ Ქ. ფხ. 139,6; „ვითარცა ბელეკონმან განერთხენ რტონი“ ზირ. 24,22; „განართხნა ბაბილონი თჳსნი“ O,—„განერცნა ბაბილონნი მისნი“

G, ეზეკ. 37,6; „ვაი-რაგ-არ თხეს ძელსა მას ზედა“ ეზტ. 122,17; „განგართხა შენ ქუეყანასა ზედა“ ეზეკ. 32,4; „ქალი განრთხმული ჩემდამო“ ეზეკ. 2,9. იხ. რთხმა.

განრთხმულობა გაჭიმვა; „ძარღუნი განრთხმელობისა მათისაგან დაფლხუდიან“ H—2251, 2851. იხ. რთხმა; განრთხმა(-ულ-).

განრინება «ცხორება», «ჭსნა», «ცხოვნება», გადარჩენა, თავის დახრწვა: „რომელსა უნდეს სული თჳსი განრინებად“ DE,—„რომელსა უნდეს თავისა თჳსისა ცხორებად“ C, მრ. 8,35; „განირინე თავი შენი“ C,—„იჴსენ თავი თჳსი“ DE. მრ. 15,30; „სხუანი განარინნა, განირინენ თავცა თჳსი“ C,—„სხუანი აცხოვნა, იცხოვნენ თავცა თჳსი“ DE, ლ. 28,35; „განმარინე მე. უფალო, კაცსა უკეთურისა“ Ქ, ფს. 139,2; „განმარინა მე ჴელთაგან ჰეროდესთა“ ხაჭ. მოც. 12,11. „ვერ ძალ-მიც განრინებად მთად კერძო“ დაბ. 19,19; „როშელთა ვერ უძლავს განრინებად ბრძოლისაგან“ ეს. 46,2.

განრინებულ-ი «ცხოვნებული», «განრომილი», გადარჩენილი: „წარწყმიდოს განრინებული ქალაქით“ Fr.,—„წარწყმიდოს ცხოვნებული ქალაქისაგან“ G, რიცხ. 24,19; „განრინებულნი განერნეს ქალაქებსა“ M.—„განრომილნი შეიქცეოდეს ქალაქთა ძნელთა“ G, იხუ 6. 10,20; „განრინებულნი საბრჴისაგან ეშმაკისა“ შჯ. 51,6.

განრიხ(უ)ვა «მორისვა», გაკრეჭა: „არა განჴრისო პარჳშთა ცხოვართა შენთაჲ“ G.—„არცა მოჭრისო ცხოვარი იგი პარჳშთა შენთაჲ“ M, II შჯ. 15,10. იხ. რის(უ)ვა.

განრიხვება, გარიხვება «გულმოწყე/გულმწყრალ ქმნა»; «გულის-განწყობა», «რიხვა», «განმწარება», «განძგნება», გაწყრომა, გაგულისება, აღშფოთება, «ზრზენა»: „განურიხვნა მოსე ელიაზარს“ O,—„გულმოწყე იქმნა მოსე ელიაზარს ზედა“ G, ლევიტ. 10,16; „განრიხვნა ბალაკი ბალაამს ზედა“ pb.,—„გულმწყრალ იქმნა ბალაკ ბალაამს ზედა“ G, რიცხ. 24,10; „ნუ... განჴრიხვნები ჩუენოჲ, უფალო“ B,—„ნუ... მრისხავ ჩუენ, უფალო“ A, სბსტ. 136,9; „განმარიხვეს მე კერპებთა ზედა“ G.—„კერპებითა მათითა განმამწარეს მე“ M, II შჯ. 32,21; „განმარიხვონ მე“ M,—„განმაძგნონ მე“ G, II შჯ. 31,20; „რაჲსათჳს განრიხვნები ერსა შენსა ზედა გულის-წყრომით“ გამოსლ. 32,11; „განრიხვნა ნაბუქოდონოსორ ყოველსა მას ქუეყანასა ზედა ფრად“ ოდე. 1,11; „ესეთნეულებითა საქმითა განრიხვებ შენოჭმედსა“ სად. 44,20; „განრიხვნა და აღვირა სავარძელთაგან თჳსთა“ ფლტკ. 149,8; „მამანი ნუ განარიხვებთ შვილთა თქუენთა“ კოლ. 3,21; „განრიხვნა ფრად მეფე იგი“ ფლტკ. 145,23; „განარიხვებს სალმობასა სულთასა“ მრთ. S, ოქრ.-მარხ. და ოთ. 105,25; „განრიხვნეს ორთა მათ ძმათათჳს“ DE,—„გული განიწყუს ორთა მათ ძმათათჳს“ C, მთ. 20,24; „რომელიცა განარიხვებს სტჯესა, არა ცხონდეს“ pb.,—„რომელი აზრზენდეს სიტყუასა, იგი ვერ ცხონდეს“ O, ეგ. ხოლ. 18,7. „ნუ ისწრაფი სულთა შენითა განრისხებასა“ ტკლ. 7,10. „განრისხებული აღადგინებდა კუნესასა დიდსა ქრისტეანეთა ზედა“ ფლტკ. 133,5; „აღიძრა სულითა თჳსითა ეითარცა განრისხებული“ ლ. 11,33 იხ. რისხება/რისხვა.

განრომა, გარომა გადარჩენა; თავის დახრწვება, ხსნა; «დავრდომა»: «მიგანრომა», დარჩომა: „არამცა განერა ყოველი ჯორციელი“ მთ. 24,22; „რაჲთა განერე კაცი კურციკი საფრჩესა“ მრთ. S, ოქრ.-გურიტ. 228,3; „არა განმერე ჴელთაგან ჩემთა“ ბად. 44,21; „მართალი მჴეცისაგან განერეს“ ეგ. ხოლ. 11,6; „განერა ჯურჯერი, რომელსა იქმოდა თაჳსაგან, ჴელთა შინა მისთა“ იერემ. 18,4; „რომლითა გაერებოდი, იგი ხოლო დაიმჭირე“ ი.-ე. 44,8; „სოონდ განერენით“ I,—„სოონდ მიგანერენით“ O, შაქ. 2,7.

განრომილ-ი «განრინებული», თავდახრწუული: „ვიდრე არა დაშთომამდე მათგანი განრომილი“ G,—„ვიდრემდის რაჲთურითაი არა დაშთა მათი განრინებული“ M, იხუ 6. 8,22. იხ. გა(ნ)საროშელი.

გუადრაკ-ი, გუარდაკ-ი საცეცხური; «ტაფაკი», საბარშაეი ჭურჭელი: „გუარდაკები ვეცხლისაჲ ოცდაცხრა“ I ეზრა, 2,13; „აღმოაგო იგი გუარდაკთა“ O,—„შეწეა შერთული ტაფაკსა შინა“ pb., II მფ. 18,9..

გუადრუც-ი ყუთი; ყულაბა: „მჰარაეი იყო და გუადრუცი იგი აჭენდა მას“ DE, ი. 12,6; „ქმენით გუადრუცი და დადგით იგი ბჭეთა თანა სახლისა უფლისათა“ II ნეტ. 24,8; „დასხნა გუამნი მათნი კრანისა გუადრუცთა და უბრძანა მათი ზღუასა შთაბნეულაჲ“ H—341,14; „დაჰკარდა ვისმე გუადრუცი, რომელსა შინა იდვა ათასი დრაჰკანი“ მ. ცხ. 109r.

გუალ- წასელა; მოსელა; ადგომა, რბენა: „გუალე, გარდავედ“ გამოსლ. 19,24; „გუალე და მოვიქცეთ ჩუენდა“ I მფ. 9,5; „ვუალე. მიეედ სახიდ შენდა“ O, II მფ. 11,6; „გუალე“ O, I მფ. 20,30. იხ. აღგუალ-, აღმოგუალ-, გამოგუალ-, განგუალ-, გარდაგუალ-, მიგუალ-, შეგუალ-, წარგუალ-, წარმოგუალ-.

გუალვა «უწჯროება»: „ეითარცა ღრუბელი წჯისაჲ ჟამსა გუალვისასა“ („...ჟამსა შინა უწჯროებისასა“ pb.) O, ზირ. 32,20; „იყოფეიან... ესეეითარი გუალვაჲ და ყენებაჲ წჯისაჲ“ პოეტა სტეფ. 661,17; „წულ'ა მას გუალვისასა არა ეშინოდის“ I, იერემ. 17,8.

გუამ-ი «ჭორცი», «სხეული», «ტანი», «სული»; «ბუდე», ქარქაში; მუცელი; ორგანიზმი: „გამოითხოვა გუამი იესუსისი“ DE,—„მოჰსთხოვნა ჴორცნი იესუსნი C, მთ. 27,58; „დაიბანოს წყლითა ყოველი გუამი მისი (სხეული მისი G)“ pb., ლევიტ. 16,4; „დაიბანოს ტანი (გუამი pb.) მისი წყლითა“ G, რიცხ. 19,7; „შეეიდა ჯაჭუსა გუამი მისი“ Ჭ.—„რკინასა განვლო სულმან მისმ ნ“ Ქ, ფს. 104, 18; „გული ჩემი შეძრწუნდა გუამსა ჩემსა“ Ჭ, ფს. 108,22; „იქმნა გუამი ესე ტაძარ და საყოფელ სულისაჲ“ გრ. ნოს.-ძაც. აგებ. 212,3; „გამოვიტაცო კელის-საპყრობელი ჩემი გუამისაგან (ბედისაგან pb.) მისისა“ O, ეზეკ. 21,8; „რაჲთა არა ყოველსა გუამსა კრებულისასა განეზაოს მაკუდინებელი იგი სენი მისი“ ბ.-ე. 20,12.

გუამიერ-ი ხორციელი: „რომელიმე არს მათგანი (არსთაგანი) გონებიერი და რომელიმე გუამიერი“ გრ. ნოს.-ძაც. აგებ. 55,28.

გუამოვან-ი სხეულიანი: „უპყრობს (არს) ვუამოთა დიდთა მათ შორის ვუამოვანთა“ გრ. ნოს.-კაც. აგებ. 152,20.

გუარ-ი «წესი», «ვითარება», სახე: „დაიცვათ მღდელობაჲ თქუენ ყოველსავე გუარისა (წესისა pb.) საკურთხეველისაჲსა“ G. რიცხ. 18,7; „რომლითა გუარითა მოკუდა აარონ“ G.—„ვითარცა-იგი აჰრონ, ძმაჲ შენი“... M, II შჯ. 32,50; „დაესრულა ყოველი გუარი ხილისაჲ“ მ. ცხ. 1087; „სამ გუარად განყოფილ არს საქმე“ მ. ცხ. 870г.

გუარდაკ-ი იხ. გუადრაკი.

გუარსამ-ი სიგიჟე, სიცოფე; ჭკუაშეშლილობა: „სახელდებით სენსა მას გუარსამ“ გრ. ნოხ.-კაც. აგებ. 164,24.

გუახინება შიშშილი: „ვინ შეიწოხვენ ესე გუახინებაჲ“ მრთ. D, ი. ოქრ.-პეტრე და ელია 822.

გუბ-ი თეფში, გობი; «მთხრებელი»: „აღაკო გუბი წყლითა და დადგა ქუე ვაკედ და ეყსა შინა გარდაიქცა იგი... მერმე განრისხნა მას ზედა, აღიღო იგი და შეახეთქა კლდესა და განტება იგი“ მ. ცხ. 201г; „შთააგდეს იგი გუბესა... და აღადგინეს მის ზედა ღუერფი დიდი ქჳშისაჲ“ M,—„შთააგდეს იგი მთხრებელსა და აღადგეს მას კონცხი ქჳათაჲ“ G. იხუ 5. 6,29. იხ. დაგუბება.

გუგა «თვალის ბაია» (საბა): „დაიცვა იგი ვითარცა გუგაჲ თუალისაჲ“ G. II შჯ. 32,10; „დამიცევ მე, უფალო, ვითარცა გუგაჲ თუალისაჲ“ ფს. 16,8; „ნუმცა დაბრმდებიან გუგანი თუალთა ჩუენთანი“ რიცხ. 104,24; „წარუგდო გუგაჲ ერთი თუალისა მისისაჲ“ ფლკტ. 183,18.

გუდა «ვაშკარანი», პარკი: „ნუ მოიგებთ ოქროსა... ნუცა გუდაჲ გზასა“ C,—„ნუ მიიღებთ ოქროსა... ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა“ DE, მთ. 10,10; „შთადვა იგი ორთა გუდათა“ O, IV შჯ. 5,23.

გუელ-ი გველი, «დევი»: „გუელი ნუ მისცესა მას“ მთ. 7,10; „მოგცე თქუენ ჴელმწიფებაჲ დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა“ ლ. 10,19; „გუელმან აცთუნა ევა“ II კორ. 11,3; „იყაცით თქუენ მეცნიერ ვითარცა გველნი“ ფიზ. XIV. 2; „არცა გუელთა გესლიანთა კბილთა სძლეს“ pb.,—„არცა დევთა გესლოვანთანი ერეოდეს კბილნი“ O, მიქ. 1,8.

გუელ-თევზ-ი «ამათ შინა არიან მრავალნი განყოფანი, ვითარცა სახედ: გუელ-თევზი და ეშაკნი“ მას. კეხ.-ექუს.. დღ. 97,25.

გუელისა ნაცემ-ი «გუელისაგან მოწყლული», გველის ნაკბენი: „ვითარცა გუელისა ნაცემი განეზავის“ O,—„ვითარცა გუელისაგან მოწყლული განირთხა“ pb., იგ. ხოლ. 28,32.

გუელის-მბრძოლ-ი Ichneumon: „არა შჯამოთ...გუელის-მბრძოლი და მწავსი მღსი“ ლევიტ. 11,22. იხ. მბრძოლი.

გუემა «ტანჯვა», «წყლვა», «დაცემა», «შოლტითა ცემა», «წურთა»: „რომელნიმე ტანჯეს“ DE, მრ. 12,5; „გუემა (იწყლაქ) ვითარცა თქუა“ ფს. 101,5; „გუემა ეგჳპტე“ Ქ.—„დასცა ეგჳპტე“ Q. ფს. 135,10; „გუემონ იგი“ M,—„წუართონ იგი“ G, II შჯ. 22,18; „იესუ გუემა და მისცა“ C,—„იესუს შოლტითა ჰსცა და მისცა“ მთ. 27,20; „გუემოთ იგი ენითა“ I, იერემ. 18,18; „ნაცემნ ეგუემნე იგინი მწარედ“ ი. მოც. 78,12; „ეგუემოი კუერთხითა კაცთაჲთა“ O, II შფ. 7,14; „გუემეს მე ესოდენ, ვიდრე ვნინღა და მოცა-ვკუედ“ მ. ცხ. 346г.

გუემა «გუემულობა», ცემა: „განკურნებელ არს გუემისა მისგან“ C,—„განიკურნა გუემულებისაგან“ მრ. 5,29; „ცემაპან გუელისაპან ყეის წყლულებაჲ, ხოლო გუემაჲან ენისაჲან შემუსრის ძუალები“ O, ზირ. 28,21; „მე გუემად განმზადებელ ვარ“ ფს. 87,18; „გუემათა და მხილებათა მოპსტან სიბრძნე“ O, იგ. ხოლ. 20,14.

გუემა კუერთხითა გაროზგვა: „სამგზის კუერთხითა ეგუემე“ II კორ. 11,25.

გუემა წყაროჲთა სისხლისაჲთა «დამტნობა»: „იყო წყაროჲთა სისხლისაჲთა გუემულ ათორმეტ წელ“ DE,—„იყო დამტნობასა ზედა ათორმეტ წელ“ C, მრ. 5,25.

გუემა ჯურთითა/ჯჯრთითა ცემა: „ჰგუემთ ჯურთითა (ჯჯრთითა O) მოუუასსა მას მედად (მეტად O)“ I, ეს. 58,4. იხ. დაგუემა, მგუემელი, ნაგუემი, საგუემელი, უგუემელი. ღუეა-გუემელი, ცისად-ცისად გუემული.

გუემულება «გუემა», ცემა: „განიკურნა გუემულებისაგან“ DE, — „განკურნებულ არს გუემისა მისგან“ C, მრ. 5,29.

გუერდ-ი «კოტჯლი», ქსესტი, საწყაო: „ათი გუერდი არს გომორი“ O,—„ათნი კოტჯლნი არიან ღომორ“ G, ეზეკ. 45,14.

გუერდ-ი გვერდი; მხარე, ფერდი: „უჩუენნა ჴელნი და გუერდნი“ ი. 20,20; „სცა გუერდსა პეტრესსა“ ხაქ. მოც. 12,7; „გუერდთაცა მათთა ძუალნი ჩანან შორით“ ანდ.-ანატ. 218,21; „დაისუა იგი გუერდით მისა“ Sin.—11, 125v; „უგუმირა გუერდსა. მას უფლისასა“ ლონგ. 188,18; „გუერდნი ჩრდილოჲსანი, ქალაქი მეუფისა დიდისაჲ“ ფს. 47,3; „გუერდითა და მჴრითა აქენებდით“ O. ეზეკ. 34,21; „დასწვე გუერდსა შენსა ზედა მარცხენესა“ O, ეზეკ. 4,4.

გუერდით ახლოს: „აღიშენა სენაკი გუერდით სენაკსა ბერისასა“ მ. ცხ. 225г. იხ. იგურდივ, მგუარდით, მგუარდ.

გუერდით კერძო «იგურდივ»: „შთადვე ეგე გუერდით კერძო კიდობნისა მის“ M,—„შეკართ ესე იგურდივ კიდობნისა“ G, II შჯ. 31,20; „დაკლან იგი გუერდით კერძო საკურთხეველსა მას ბღუარით კერძო“ M, ლევიტ. 1,11.

გუერდის-თხრა «შეთხრა», თხრილი: „არა თუ გუერდის-თხრასა ვპოვენ“ O, — „არა შეთხრასა შინა ჰპოვენ იგინი“ G. იერემ. 2,34. იხ. თხრა.

გუერდქცეულ-ი დამრეცი, დაქანებული: „რაჟამს არნ იგი ადგილსა გუერდქცეულსა, მსწრაფლ შთაქჳნის იგი“ მას. კეხ.-ექუს. დღ. 54,28. იხ. ქცეულდ (ქცევა).

გუეს-ი იხ. სიგუესე.

გუეც-ი მზაკვარი, ძაბუნი: „ყოველად გუეც არს და ეერაგ პირუტყჳ იგი“ ფიზ. XVIII, 2; „იპოვნიან გუეცნი“ ფიზ. XVI 26.

[გუვება] იხ. მიგუვება, შეგუ(ე)ება.

გუთუფარ-ი პირის ფარი: „მეფე ესე უკეთური გუთუფარ იყო და მით ჰბრძავს ეკლესიათა“ რიცხ. 108,31. იხ. ფარი.

გულ-ი «გონება», «თავი თჳსი»; შეგაგული: „განაღგნეს გული ერისაჲ“ G,—„გარდაცვალეს გონებაჲ ერისაჲ“ M, ისუ ნ. 14,8; „ცნა იესუ გულსა თჳსსა“ C, — „იესუ გულისჴმა-ყო თავით თჳსით“ DE, მრ. 5,30; „წერილი

გულად უწეს[ს] გონებასა, სადა-ივი მოგონებანი იშვებიან" Alh.-12,836v; „შევიშალოს გონებაჲ გულისა შალვითა" ϑ. ხწ. 150,16; „სიბოხესა მას და ძალსა საზრდელისა'ღუძლი განჰყოფს სიმკურალითა სისხლისაჲთა და მიჰძღუანებს გულად, მეფისა მის ასოთაჲსა" ϑ. ხწ. 176,28; „გულითა გულისჴმა-ყონ" მთ. 18,15; „იტყოდა იგი გულსა თჳსსა" O, I მფ. 1,13; „რაჲდენ არიან საუნჯენი გულთა შინა ზღუასთა" O, III ეზრა 4,7; „რომელი-იგი შთაჴდა გულსა ქეყუანისასა" ჯ. იერ.-აღდგ. 164,10. იხ. გულის-განწყობა, დიდგული, დიდგულება, ერთგული, ორგული, ორგულება/ორგულობა, უგულო.

[გულარძნა] იხ. გარდაგულარძნა.

გულარძნილ-ი მრუდე, მოხრილი, გადახრილი, მიხრილ-მოხრილი, ღლარჭნილი, ცბიერი, «ქცეული», «გამოქუცნეილი», «ძნელოვანი»: „ვიდოდე... გულისწყრომითა გულარძნილითა (ქცეულითა G)" pb., ლევიტ. 26,24; „შეწიროს იგი, გულარძნილი იგი მსხუერპლი განატეხთაჲ" O,—„შეწიროს გამოქუცნეილი მსხუერპლი განატეხთაჲ" G, ლევიტ. 6,21; „იყოს გულარძნილი იგი მარილად" DE,—„იყვნეს ძნელოვანნი ადვილად" C, ლ. 3,5; „ნათესავო, ურწმენოო და გულარძნილო" მთ. 17,17; „გულარძნილ არიან გზანი იგი მარცხენითნი" O, იგ. სოლ. 4,27; „ნათესავსა დრეკად და გულარძნილსა" G, II მფ. 22,6; „კაცი გულარძნილი გამოიტყჳნ ბოროტსა" O, იგ. სოლ. 16,28; „არარაჲ არს მათ შინა გულარძნილი და არცა ქცეული" ϑ. ხწ. 22,8.

გულარძნილად «ქცეულად», მიმოქცევით: „ხჳდოდითა ჩემდა მომართ გულარძნილად" pb., — „ხჳდოდით ქცეულად" G, ლევიტ. 26,23. შდრ. მრავალგულარძნილი.

გულარძნილება/გულარძნილობა ურჩობა, დაზარება: დაჩაგერა: „რომელი გულარძნილებდეს სწავლად, შეიბორკილის ბოროტითა" O, იგ. სოლ. 17,16; „მოყუასსა ზედა გულარძნილობდეს" O, ϑ. ცხ. 289v.

გულარძნილება სიმრუდე, მზაკვრობა, «განდრეკილება»: „გექმნა შენ გულარძნილება უფროჲს დედათა სიძეჲაჲ შენი" O,—„იქმნა შენ შორის განდრეკილება უფროჲს დედათასა სიძეჲსა ზედა შენსა" G. ეზეკ. 16,34; „უხვარის გულარძნილებასა ზედა ბოროტსა" O, იგ. სოლ. 2,14; „რომელი სავსე არს გულარძნილებითა" ვარ. 822.

გულ-ი თჳსი-ი «თავი თჳსი»: „ცნა იესუ გულსა თჳსსა" C,—„იესუ გულისჴმა-ყო თავით თჳსით" DE, მრ. 5,30. იხ. გულ(ს)-გდება, გულგდებული, გულ(ე)ება, გულთ(ა)-მეცნიერი, გულითად(ი), გულითადობა.

გულისაებრ «მსგაესად გულისა»: „მისცა მას... გულისაებრ მისისა საჴსარი განსაცხრომელი" G,—„მისცა მას... მსგაესად გულისა მისისა საჴსარი მაღალთა" M, მწყ. 1,15.

გულ(ს)-გდება იძულება: „ჲესს-ჰიტყუანი გულისა ჩემისანი გულ(ს)-მოგდებდეს შე ფრიად" O, III ეზრა 5,21. იხ. გდება.

გულგდებულ-ი გაოგნებული, გულამოგდებული, შეძრწუნებული: „გულგდებულ იყო სული ჩემი ფრიად" O, III ეზრა 1,3; „აჰა ერთი მონათა მისთაგანი შეუარდა გულგდებული და ჰრქუა" ანდ.-ანატ. 200,82; „ძწოლასა შინა არიან გულგდებულნი და ზარგანქცილნი" ϑ. ხწ. 128,20. იხ. გდებელი.

გულგდებულად გულშემკრთალად: „სული იგი ჴამსა მას ეჰქენ გულგდებულად, ვითარცა მფრინველი შეპყრობილი მახითა" ϑ. ხწ. 225,26. იხ. გდება.

გულდებულ-ი გულდანდობილი: „გულდებულ იქმნენით" ვარ. 813.

გულდებულ-ყოფა გამხნევება, «ნუგეშინის-ცემა»: „გულდებულ-ყუენით" ხაჴ. მოც. 27,25; „გულდებულ-ეყავ იგი" O,—„ნუგეშინის-ვეც მას" ეხ. 57,18.

გულდებულად იმედიანად. იხ. დება.

გულება, გულვება «ხილვა», «კრძალვა», «ჯერ-ჩინება», «ძიება», «გულს-დება», ნდომა, ხედვა, ზრახვა, აზრად ქონება, ძიება, ლოდება: „იგულეთ, რაჲ-ეგე გესმის" C,—„იხილეთ, რაჲ-ეგე გესმის" DE, მრ. 4,24; „იგულე თავი შენი" M,—„ეკრძალე თავსა შენსა" G, II მჯ. 8,11; „ეითარ-იგი მეგულვა ყოფად მთდა, გიყო თქუენ" G.—„ეითარ ჯერ-მიჩნდა მთდა ყოფად, იგი გიყონ თქუენ" pb., რიცხ. 33,50; „ეგულებოდა შეპყრობაჲ მისი" DE,—„ეძიებდეს მას შეპყრობად" C, მრ. 12,12; „რომელსა ეგულებოდა მიცემაჲ მისი" C,—„რომელსა გულსდვა მიცემაჲ მისი" ი. 12,4; „ეგულებოდა ზორვად" ხაჴ. მოც. 14,18; „ეგულებოდა ცემად მსა ფერჴითა" ფსალტ. 140,6; „გარდამოიხილე და იგულე ყუედრებაჲ ჩუენი" O, გოდ. იერემ. 6,1; „ეგულვა მას ზედა მისლვად და მოკლვად დაეითისა" O, II მფ. 21,16; „ეგულვა მოკლვაჲ მისი" O, გამოხლ. 4,14; „ეგულებისა ერსა მისლვად მუნ" ი. მოც. 60,17; „მეგულებისა სიკუდილი" ϑ. ცხ. 47v.იხ. განგულება, დაგულება, მგულებელი, უგულება.

გულთ(ა)-მეცნიერ-ი გულთა მხილველი: „ყოველთა გულთა-მეცნიერო" ხაჴ. მოც. 1,24; „გულთ-მეცნიერი ღმერთი ეწამა მათ" ხაჴ. მოც. 15,8; „ღმერთი გულთ-მეცნიერ არს" O, I მფ. 16,7. იხ. მეცნიერი.

გულითად «განკრძალულად», სანდოდ, ერთგულად: „რომლისათჳს გულითად (განკრძალულად Ղ ვერრაჲ მაჴსეს, რაჲ მიეწერო უფლისა ჩემისა" Ш ხაჴ. მოც. 25,20; „რომელმანცა თქუენთჳს გულითად იზრუნა" ფილიპ. 2,20. იხ. გული.

გულითად-ი ერთგული: „ჰპოვე... კაცი გულითადი ჩემი" ხაჴ. მოც. 19,22; „ესეა... მეგობარი სარწმუნოჲ და გულითადი" ϑ. ცხ. 233v; „ვხედვიდეთ მას, ეითარცა გულითადსა მეგობარსა" ϑ. ხწ. 179,19. იხ. გულითად.

გულითადობა ერთგულება: „თქუენისა სიყუარულისათჳს გულითადობასა გამოვიცდე" II კორ. 8,8. იხ. გულითადი.

გულის-განწყობა გულის მოსვლა, გაწყრომა, «განმწყრალება»; «განრისხება»: „გული განაწყო ეფრემ და განარისხა" O,—„განამწყრალა ეფრემ და განარისხა" pb., ოსე 12,14; „გული განიწყეს ორთა მათ ძმათათჳს" C,—„განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს" DE, მთ. 20,24; „არცა გული განუწყრეს და არცა განრისხნეს" ფსალტ. 105,1. იხ. გაწყობა.

გულის-განწყრომა გულის მოსვლა, «განრისხება»: „ამისთვს გული არა განუწყრა მეფესა“ O, I ეზრა 4,31; „არა გული განუწყრა, არცა განრისხნა“ ფსალტ. 144,38. იხ. განწყრომა.

გულის-ზრახვა ფიქრი, «ვონება»: „ვიდრე იგი გულის-ზრახვად დაჟომილ იყო ჩუენებისა მისთჳს“ ხაქ. მოც. 10,10; „გულისჴმა-ყონა იესუ გულის-ზრახვანი მათნი“ ლ. 5,22; „დრეკეთ გულის-ზრახვათა განაშორიან ღმრთისაგან“ O, — „გულარძნილნი გონებითა განეყოფიან ღმრთისაგან“ pb., ხიბრძ. ხოლ. 1,3; „გულის-ზრახვანი შეაძრწუნებდეს მას“ O, დაბ. 4,16. იხ. ზრახვა.

გულის-თქუმა «გულის-მთქუმელობა», «თნეება», სურვილი, ნატერა, «გულის-სიტყუა», «გულის-ჴმა»: „გულმან უთქუას მეფესა სიკეთისა შენისაჲ“ Ქ.— „სთნდეს მეფეს სიკეთე შენი“ Ჭ. ფს. 44,12; „უკუეთუ გულმან გითქუას“ M.—„გულის-მთქუმელობდეს სული შენი“ G, II მჭ. 12,20; „გულის-თქუით გულმან გითჳა წარსლვად სახიდ მამის შენისა“ O, დაბ. 31,30; „გული ეთქუმიდეს აგარაკთათჳს“ O, მიქ. 2,2; „მიახლებად ღმრთისა გული ეთქუამს“ O, ეს.58,2; „არა გული გითქუმიდეს ღუინოსა“ მ. ცხ. 119v. „გულის-თქუმაჲ მამისა თჳენისაჲ გნებავს ყოფად“ DE, ი.8,44; „გულის-თქუმათა შინაარს ყოველი უცნი“ O, იგ. ხოლ. 13,4; „ისიძია და იმრეშა დაალრესა გულის-თქუმაჲ თჳსი“ მ. ხჭ. 27, 22; „(ჯგიეს)... გულის-თქუმაჲ (გულის-ჴმაჲ Ჭ) გულისა მისისაჲ“ Ქ.— „გულის-სიტყუანი გულისა მისისნი“ Ქ, ფს. 32,11. იხ. თქუმა.

გულის-კლება წუხილი: „ნუ გულსა გაკლს“ მ. ცხ. 123v. იხ. კლება.

გულის-კლება წყენა, წყრომა, წუხილი; ნანება: „აჴენდა მათ ურთიერთას გულის-ქლებაჲ“ მ. ცხ. 234r; „არა აჴენდა საქმესა მას ზღუდაჲ სულისაჲ, არამედ გულის-კლებაჲ კაცობრივი“ მ. ცხ. 302v; „ყოველადვე არა იყო დრტჳნვაჲ გინა გულის-ქლებაჲ“ ი.-ე 26,26; „შეემთხჳა მას უმეტესი გულის-ქლებაჲ“ მ. ცხ. 93r. იხ. კლება.

გულის-კუნესა ოხვრა: „ესე ლოცაჲ ილოცა... გულის-კუნესითა“ მ. ცხ. 143v. იხ. კუნესა.

გულის-მთქუმელ-ი მსურველი, მოწადინე: „არა ვიყუნეთ გულის-მთქუმელ ბოროტისა“ I კორ. 10,6; „გულის-მთქუმელ ყოველისა სიძჳსისა“ ლონგ. 180,26. იხ. მთქუმელი.

გულის-მთქუმელობა «გულის თქუმა»: „უკეთუ გულის-მთქუმელობდეს სული შენი“ G,—„უკუეთუ გულმან გითქუას“ M, II მჭ. 12,20. იხ. მთქუმელობა.

გულის-სათქუმელ-ი სასურველი, საწადელი: „გულის-სათქუმელ არიან ოქონი უფროს ოქროჲსა და ანთრაკისა პატიოსნებისა მრავლისა“ ფს. 18,11; „ყოველი სახლი მისი აღივსოს გულის-სათქუმელითა“ O, ზირ. 1,21; „კაცი გულის-სათქუმელთაჲ ხარი შენ“ O, დაბ. 9,29; „პერი გულის-სათქუმელი არა ვჭამე“ I, დაბ. 10,9. იხ. სათქუმელი.

გულის-ხაკლებელ-ი სანანებელი, საწყენი: „უკუეთუ კაცი საწყალ და გულის-ხაკლებელ არს, რაჟამს ეკსორია იქმნეს უცხოსა ქუეყანასა“ მ. ხჭ. 70,6. იხ. საკლებელი.

უგლეხ-სარეველ-ი სარეველა მცენარეთაგანია; Melanthium, «სონიჯი»: „სთესის გულის-სარეველი და ძირაკი“ O,—„დასთესის მცირედ სონიჯი ანუ ძირაკი“ G, ეს. 28,25; „კუერთხითა გამოიყარების გულის-სარეველი“ O.—„კუერთხითა განიბერტყების სონიჯი“ G, ეს. 28,27. იხ. სარეველი.

გულის-სიტყუა «წადილი», სურვილი; ტუტუნი, «დასულება»: „გული ეტყოდა განძლებად“ DE,—„სწადინ აღსებად“ C. ლ.15,16; „გულის-სიტყჳთ გული მითქუმიდა პასჭასა ამას ჭამად თქუენ თანა“ ლ. 22,15; „ყოველსავე იქმოდეთ თჳნიერ დრტჳნვისა და გულის-სიტყუათა“ ფლპ. 2,14.

გულის-სიტყუა «გულის-თქუმა», «გულის-ჴმა», «ბრუნვა», «დასრულება», ზრახვა, აზრი, ფიქრი: „იწყო გულის-სიტყუად და ურად“ C,—„იწყო დასულებად და ურად“ DE, მრ. 14,33; „გულის-სიტყუანი გულისა მისისანი“ Ქ, — „გულის-თქუმაჲ (გულის-ჴმაჲ Ჭ) გულისა მისისაჲ თესლითი-თესლამდე“ Ქ, ფს. 32,11; „მიუტევე უფალსა გულის-სიტყუაჲ შენი“ Ჭ,—„მიუტეე უფალსა ზრუნვაჲ შენი“ Ქ, ფს. 54,23; „გულის-სიტყუათა მათ მისთა განაშორიან ძილი“ O, ზირ. 42,9; „გულისაგან გამოელენ გულის-სიტყუანი“ მთ. 15,19; „გულის-სიტყუათა დავარღუეთ“ II კორ. 10,5; „ამით გულის-სიტყჳთა აიძულებდა თავსა თჳსსა და ჰყოფდა“ მ. ცხ. 72v; „მალე არს ჭარი, ხოლო გულის სიტყუანი კატ!ანი უმალეს მისა არიან“ მ. ხჭ. 300,5. იხ. სიტყუა.

გულის-წყება გულის-მოსვლა, გულის-მოყვანა: „ნუ გულსიწყებთ გზასა ზედა“ O. დაბ. 45,24.

გულის-წყება გულის ამოსკვნა, წუხილი: „ხოლო შენდა წყმედა და ჩუენდა შეურაცხება და გულის-წყებაჲ“ ფსალტ. 106,28. იხ. წყება.

გულის-წყრომა გაჯავრება, «რისხვა»; გულის მოსვლა: „აღავზნათ გულის-წყრომაჲ თქუენი ვითარცა ეკსლ“ ბახ. კეხ.-ეკუხ. დღ. 100,9; „ლომსა თანა იშუა გულის-წყრომაჲ“ იქვე, 126,4; „აღივსო მეფე იგი გულის-წყრომითა დიდითა“ ბალ. 17,30; „იწყუს გულის-წყრომად იაკობისთჳს“ C,—„იწყუს რისხვად იაკობისა“ DE, მრ. 10,41. „გული უწყრებოდა და იტყოდეს“ C,—„ჰრისხვიდეს და იტყოდეს“ DE, მრ. 14,4. „გულის-წყრომასა დაწუნარებს გალობაჲ“ მ. ცხ. 180v; „აღივსნეს ყოველნი გულის-წყრომითა“ ლ. 4,28; „განრისხნა გულის-წყრომაჲ ჩემი“ O, ოვხე 8,5. იხ. წყრომა.

გულისხმა, გულისჴმა «გულისჴმის-ყოფა», «გულის-სიტყუა», «გულის-თქუმა», სიბრძნე, გონება: „შეუფარებად იგი... ყოლითა გულისჴმითა“ (გულისჴმის-ყოფითა DE)“ C, მრ. 12,38; „გულისჴმაჲ გულისა მისისაჲ თესლითი-თესლამდე“ Ქ,—„გულის-თქუმაჲ (გულის სიტყუანი Ქ) გულისა მისისანი თესლითი-თესლამდე“ Ქ, ფს. 32,11; „არა აჴენდა მათ გულისხმაჲ“ ბარ. 3,28; „გარდაართხა ცაჲ გულისხმითა თჳსითა“ O,—„გულის ხმის-ყოფისა მიერ თჳსითა გარდაართხა ცაჲ“ G, იერემ. 51,15; „გულისხმითა თჳსითა გარდაართხა ცაჲ“ O.—„ცნობისა მიერ თჳსისა გარდაართხა ცაჲ“ G, იერემ. 10,12. იხ. ხ(უ)მა.

გულისხმიერ-ი, გულისხუმიერ-ი, გულისჴმიერ-ი «მეცნიერი», გონიერი, ჭკუიანი: „გონიერ და გულისხმიერ გუო შენ გზასა მას, რომელსაცა ხჳდოდი შენ“ ფს. 31,8;

„გულისხუმიერ იყო ყოველთა შინა" G, ისუ ნ. 1,7; „გულისჴმიერი" G,—„მეცნიერი" pb., II მჯ. 1,13. იხ. გული.

გულისხმის-/გულისჴმის-მყოფელ-ი ბრძენი, «გონიერი», ჭკუიანი: „იყოს თუ ვინმე გულისჴმის-მყოფელ ანე გამომძიებელ ღმრთისა" ფს. 52,3; „პირი კაცისა გულისხმის-მყოფელისაჲ ბრძენ" O, ოგ. ხოლ. 17,24; „გულისჴმის-მყოფელნი ყოველსა სიბრძნესა, რომელთა იცოდიან მეცნიერებაჲ" I, დან. 1,4; „ამ ისმინე გულისჴმის-მყოფელებრ" ათ. მრთ. 467; „ძენი უცნობონი არიან და არა გულისხმის-მყოფელნი"pb.,—„შვილნი უგუნურნი არიან და არა გონიერნი" O, იერემ. 4,22. იხ. მყოფელი.

გულისხმის-საყოფელ-ი «საგრძნობელი»: „გულისხმის-საყოფელნი გულსა ჩემისანი ქენესი" O,—„საგრძნობელნი ჩემსა შეარყევიან ჴელისანი" pb., იერემ. 4,19. იხ. საყოფელი.

გულისხმის-ყოფა, გულისჴმის-ყოფა «ცნობა», «მოგონება», შეტყობა, «უწყება», «გრძნობა», შეგნება, ცოდნა, განბრძნობა, «დადება (გულსა)», «მოხედვა», «მწევნელ ყოფა»: „არღა გულისჴმა-გიყოფიეს" C,—„არა გიცნობიეს" DE, მრ. 7,18; „გულისჴმა-ყვეს, ეითარმედ ხილეაჲ იხილა" C,—„ცნეს, რამეთუ ჩუენებაჲ რაჲმე იხილა" DE, ლ. 1,22; „როგორი აღმოიკითხვიდეს, გულისჴმა-ყოფდინ (ესცნობდინ DE)" C, მრ. 13,14; „გულისხმა-ყვეს სიტყუაჲ იგი" DE,—„მოეგონა სიტყჳსა მის" C, ლ. 2,17; „გულისჴმა-ყაე დღეს" G,—„უწყოდი შენ" M, II მჯ. 9,3; „გულისჴმა-ყო, რამეთუ ჴელმწიფებისაგან ჰეროდესისა არს" DE,—„ვითარ-ცა აგრძნა, ვითარმედ საბრძანებელისაგან ჰეროდესი არს" C, ლ. 23,7; „არაჲნი იყო, რომელნიმცა გულისხმა-ყო მისთჳს" pb.,—„არა იყო მწევნელი მისი" G, მჯ. 3,26; „გულისჴმა-ყვეს მრავალთა" DE,—„იცნეს იგი მრავალთა" C, მრ. 6,33; „არა გულისხმა-ყუნეს მათ საქმენი ღმრთისანი" Č, ფს. 27,5; „რომელმან გულისხმა-მიყო მე" ფს. 15,7; „უგუნურმან არა გულისჴმა-ყაე ესე" ფს. 91,7; „ვითარ გულისჴმა-ყო" მთ. 12,15; „დაფარულნი მისნი გულისხმა-ყუნეს" O, ზირ. 39,10; „მიეც გონებაჲ შენი და გულისჴმა-ყაე, რომელსა იკითხვიდე" მ. სწ. 78,3; „გულისჴმა-ყოფდა გულსა თჳსსა" C,—„დაედგა გულსა თჳსსა" DE, ლ. 2,10; „გულისხმა-ყვენით გულითა თქუენითა ყოველნი ესე სიტყუანი" M,—„მოხედეთ გულითა თქუენითა ყოველთა ამათ სიტყუათა მიმართ" G, II მჯ. 32,46.

გულისხმის-ყოფა, გულისჴმის-ყოფა «სიბრძნე», «მეცნიერება», «გულისჴმა», გონიერება: „განუკჳრდებოდა მათ ყოველთ, რომელთა ესმოდა გულისჴმის-ყოფაჲ" DE,—„დაუკჳრდებოდა ყოველთა, რომელთა ესმოდა სიბრძნე"C, ლ. 2,47; „ესე არს სიბრძნე თქუენი და გულისჴმის-ყოფაჲ" G,—„ესე არს სიბრძნე და მეცნიერება თქუენდა" M, II მჯ. 4,6; „შეუყარებად იყო... ყოველითა გულისჴმის-ყოფითა (გულისჴმითა C), DE მრ. 12,33; „იობ არა გულისჴმის-ყოფით იტყოდა" M, იობ 34,35; „ნუ იყოფენით ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა თანა არა არს გულისხმის-ყოფაჲ" ფს. 31,9; „არიან ყოველნი უკეთურ და არა იციან გულისჴმის-ყოფაჲ" O, ეს. 50,11.

გულისხმის-ყოფასა მიწევნა, გულისჴმის-ყოფასა მიწევნა გონს მოსულა: „აწღა გულისჴმის-ყოფასა მიჳწიე" ანდ.-ანატ. 199,28. იხ. ყოფა.

გულისჴმა იხ. გულისხმა.

გულისჴმიერ-ი იხ. გულისხმიერი.

გულისჴმის-მყოფელ-ი იხ. გულისხმის-მყოფელი.

გულისჴმის-საყოფელ-ი იხ. გულისხმის-საყოფელი.

გულისჴმის-ყოფა იხ. გულისხმის-ყოფა.

გულისწერება: „მოველოდე ღმრთ'ა... გულისწერებისაგან ნიაქჳარისა" ფს. 54,9. იხ. ისწრება.

გულკლებულ-ი გულნაკუნი: „ვცანთ მანდა ყოფაჲ თქუენი და ფრიად გულკლებულ ვართ" ი.-ე. 25,22. იხ. კლებული (კლება).

გულმანკიერ-ი ცბიერი, მზაკვარი: „მოყუასსა შენსა ზედა გულმანკიერ ხარ და ძრახს იესენებ" ს. სწ. 27,29. იხ. მანკიერი.

გულმაჯლ-ი «ნანარი»: „ურმა ვიყაე გულმაჯლ და სელით შეიემთხჳ სახიერი" pb.,—„ურჩაჲ ვიყაე ნანარი და სული მხეედა კეთილი" O, სიბრძ. ხოლ. 8,10. იხ. მაჯლი.

გულმედგარ-ი მშიშარა: „გულმედგარ ხართ" მთ. 8,26. იხ. მედგარი.

გულმოწყე მრისხანე, მკაცრი: „ისმინეთ, მ გულმოწყენო, რომელნი იქმთ ბოროტსა" ბას. კეს.-ექუს. დღ. 105,21. იხ. [მოწყე].

გულმოწყე-ქმნა «განრისხება»: „გულმოწყე იქმნა მოსე ელიაზარს ზედა" G,—„განურისხნა მოსე ელიაზარს" O, ლევიტ. 10,16. იხ. ქმნა.

გულმწყრალ-ი განრისხებული, «მრისხანე», «ქადნიერი», გულმოსული: „გელ-წყრომამან გულმწყრალისამან აღიდგინის ღალატი" O, ზირ. 28,10; „კაცი გულმწყრალი არა შეუნიერ არს" O, ოგ. ხოლ. 11,25; „ძლიერნი გულმწყრალ არიან, ღჳნოსა ნუ სუმედ" O.—„ძლიერნი მრისხანე არიან, ღჳნოსა რაჲთა არა სუმიდეს" pb., ოგ. ხოლ. 31,4; „მეფემ გულმწყრალი შეარდეს ბოროტსა" O,—„მეფე ქადნიერი შთაარდეს ძრახს შინა" pb., ოგ. ხოლ. 18,17; „ივი მარადის გულმწყრალ არს საქმესა ზედა ჭნობაცა და დიდებაცა" მ. სწ. 230,10.

გულმწყრალ-ქმნა «განრისხება»: „აარონს ზედაცა გულმწყრალ იქმნა ფრიად" G,—„აჰრონს ზედაცა განრისხნა უფალი ფრიად" M, II მჯ. 9,20. იხ. მწყრალი.

გულმწყრალობა გულფიცხელობა, მრისხანება: „ცხოველნი იგი პორცის-მჭამელნი საკრძალე არიან გულმწყრალობისა მათისათჳს" გრ. ნოხ.-კაც. აგვგ. 180,4. იხ. მწყრალობა.

გულპებულ-ი: „იყო შენ გულპებულ ხილეითა მით თუალთა შენთაჲთა" M, II მჯ. 28,34. იხ. პებელი (პება).

გულპყრობა დაიმედება, იმედი: „განსადა-ვირთხ ობოლსა ზედა ჴელი ჩემი გულპყრობით" O, იობ 31,21. იხ. პყრობა.

გულპყრობილ-ი «მტკიცე», მხნე: „გულპყრობილ იყუენით" DE.—„მტკიცე იყუენით" C, მრ. 6,50.

გულპყრობილ ქმნა/ყოფა გაკადნიერება; გამხნეება; იმედის ქონა: „ამისთჳს გულპყრობილ იქმნა გული ძეთა კაცთაჲ მას შინა საქმედ ბოროტისა" O, ეკლ. 8,11;

„ყველაზრობაც იყავ, გიორგი!“ გიორგ. 202r; „ნუ გველაზრობენ ცხენები ფრიად და ნუცა სასოწარკვეთილ იქმნები დროად“ ბალ. 162,27. იხ. ბარობილი (ბარობა).

გულსა დადება სწრაფვა, ცდა: „გულსა დაიდეთ და პოვნიდეთ ყოველი ხარკი მათი და ზეცრი“ O, II ეზრა 4,22. იხ. დადება.

გულსა დება იხ. გულს-დება.

გულსავსე დაიმედებული, მოიმედე: „გულსავსე ვარ შენდამი“ ჭ. ცხ. 279r. იხ. სავსე.

გულსავსება «გულქველება», სისავსე, სიუხვე: „სახარებაჲ ესე არა იყო თქუენდა მიმართ სიტყუთ ხოლო, არაუედ... გულსავსებითა მრავლითა (გულქველებითა პოვლითა Q)“ I თეს. 1,5; „თანა-შეტყუებულნი სიყუარულით ყოველსა ბიძართ სიმდიდრისა, გულსავსებისა კოლ. 2,2. იხ. სავსება.

გულსავსე-უოფა დაჯერება: „კაცად-კაცადი თჳსითა გონებითა გულსაცსე იყაუნ“ ჰრომ. 14,5; „ინება გულსავსე-უოფად მისა“ ჭ. ცხ. 282r; „მან გულსავსე ყოს იგი“ ჭ. ცხ. 29r; „ამას არა იქუეულ ვარ, არამედ გულსავსე ვარ“ A—92,253. იხ. უოფა.

გულსა მოჴდომა განზრახვა, ფიქრი, «გონება»: „არა ესრეთ გულსა მოუჴდა“ O.—„არა ესრეთ იგონებს“ G, ეზე. 10,7; „არა გულსა მოიჴადა, რამეთე ჩუენცა კაცნი ვართ“ ანდ.-ანატ. 105,11. იხ. მოჴდომა.

გულსა შთაგდება მოხიბლვა: „გულსა შთაუგდის ვინ- ჰრთ. A. კ. იერ.-სინან. 64. იხ. შთაგდება.

გულს-დგინება გულმოდგინება, სწრაფვა, მიდევნება: „გამრთებულითა გულითა გულს-ვიდგინე მე ესე ყოველი“ M. 15შტ. 29,17; „გულსიდგინეს დამდაბლებაჲ ჩემი“ ფს. 16,11; „რომელსა ეუარდეს შვილი თჳსი, გულსიდგინოს გუემაჲ მისი“ ზირ. O, 20,1; „საეკლესიოსა მის მიმართ ხოლო გულსიდგინე“ ანდ. ანატ. 203,14. იხ. დგინება.

გულს-დგმა «მტერება»: „ჰეროდიას გულსედგა მისი და ეწადა მოკლვაჲ მისი“ DE.—„ჰეროდე ჰემტერა მას და ეწადა მოკლვაჲ მისი“ C, მრ. 6,19. იხ. დგმა.

გულს-დება, გულსა დება «გულება», «ზრუნვისა დება», ფიქრი; ნდომა: „რომელსა გულსედვა მიცემაჲ მისი“ DE,—„რომელსა ეგულებოდა მიცემაჲ მისი“ C, ი. 12,4; „არა თუ გლახაკთაჲ რაჲმე ზრუნვაჲ ედვა მას“ DE, ი. 12,6; „გულსედვა ბოროტი მისთჳს“ ნრნ. 77,4; „ესრე ედვა გულსა“ Ჭ,—„ესრეთ ეგულებოდა“ ხაქ. მოც. 12,4. იხ. დება.

გულს-მოდგინე მოსწრაფე, გულმხურვალე, მოწადინე, მხნე: „სული გულს-მოდგინე არს“ მთ. 26,41; „რაჲთა ეცნაგუსთ გულსმოდგინესა მას და მოშიშსა მოწასა“ თომა 15,89; „რომელი მოსწრაფე და გულს-მოდგინე არნ- ოქრ.-მარხ. და თინ. 103,6.

გულს-მოდგინება «ნეფსითობაჲ», სწრაფვა, გულდადება, ნდომა: „ეჳოცხადნა გამოცხადებაჲ ისრაჱლსა შორის გულსმოდგინებითა (ნეფსითობითა G) ერისაჲთა“ O, მსჯ. 5,2; „ჰპოცუდა ყოველთა გულსმოდგინებითა გულისაჲთა“ ხაქ. მოც. 11,23; „დიდითა გულსმოდგინებითა მწუალებს სიკეთჱსა მათ თანა“ ანდ.-ანატ. 201,1. იხ. მოდგინება.

გულს-მოდგინედ მოსწრაფებით, ზრუნვით; ბეჯითად, «გულს-მოდგინებით»: „გულსმოდგინედ ეძიებდა“ კ. იერ.- გამოჩ. ჯუარ. 287,20; „გულსმოდგინედ სწაულის“ pb., იგ. ხოლ. 13,24; „ეძიებდეს გულსმოდგინედ“ ლ. 15,8; „რომელთა შეიწუნარეს სიტყუანი იგი ყოველითურთ გულსმოდგინედ“ Ჭ.—„რომელთაცა შეიწუნარეს სიტყუაჲ იგი ყოველითა გულსმოდგინებითა“ Ქ, ხაქ. მოც. 17,11; „მოისწრაფდა გულსმოდგინედ სიხარულით ჴორწილისა მის (აღსრულებად)“ რომფს. 103,21. იხ. მოდგინე.

გულსნეულ-ი გულით ავადმყოფი, სუსტი: „გულსნეული იგი შეურაცს იქმნეს“ O, იგ. ხოლ. 12,8; „ნუ ხარ... გულსნეულ და დაშთომილ საქმითა შენითა“ O, ზირ. 4,34. იხ. სნეული.

გულტკივნეულ-ი გულნატკენი, გაჯავრებული; მონანული: „იყო ვინმე ბერი გულტკივნეული“ მ. ცხ. 21r; „გულტკივნეულ ვარ ძჳლად, ორნი შვილნი.., დღეს დამიმარხვან“ მ. ცხ. 185r; „რაჲთა იქმნეს გულტკივნეულ“ ჭ. ცხ. 100r. იხ. ტკივნეული.

გულფიცხელ-ი გულქვა, უწყალო, ჯიუტი: „ვიდრემდის გულფიცხელ ხართ“ ფს. 4,3; „გულფიცხელი იგი ვერ მიემთხჳნოს კეთილსა“ O, იგ. ხოლ. 17,10; „მეგობრისა თანა გულფიცხელისა ნუ განისუენებ“ pb.,—„მეგობარ მრისხანესა ნუ თანა-ეკეცევი“ O, იგ. ხოლ. 29,24; „ყოველი სახლი ისრაჱლისაჲ მაცილობელი არს და გულფიცხელი“ O, ეზეკ. 3,7; „ნუუკუე გულფიცხელ არს იგი და არა ჰნებავს მოდრეკად ქედი“ მ. სწ. 250,11. იხ. ფიცხელი.

გულფიცხ(ე)ლობა «სიფიცხლე გულთაჲ», გულქვაობა, უწყალოება; სისასტიკე: „ჴოსე გულფიცხელობისა თქუენისათჳს გიბრძანა განტეუებაჲ ცოლთა თქუენთაჲ“ მთ. 19,8; „წინა-დაიცვეთ გულფიცხელობაჲ თქუენი“ G,—„განიშორეთ სიფიცხლე ეგე გულთა თქუენთაჲ“ M, II მკ. 10,10; „შეჰსრნა გულფიცხლობითა მათითა“ O, ზირ. 16,11; „ნუ ემსგავსები ჰ კაცო, გულფიცხელობასა რომლისამე მფრინველისასა, რომელთა-იგი რაჟამს იხილნიან მართუენი იგი მათნი მფრინვ ლად, ჰკორტნიდიან მათ და აჰუნებდიან იგი ფრთითა მათითა, ეიდრემდის გარდაასხნიან ივინი ბედისაგან და არღარა იღუწიედ მათთჳს“ ბ. კეხ.-ეჭუხ. დღ. 117,4. იხ. ფიცხელობა.

გულქველება «გულსაცსებაჲ»: „სახარებაჲ ესე არა იყო თქუენდა მიმართ სიტყუთ ხოლო, არამედ... გულქველებითა მრაველითა (გულსაცსებითა მრაველითა)“ Q, I თეს. 1,5.

გულ-ღჳძლ-ი: „ნაწლავი და გულ-ღჳძლი ფრინჯთერთ განკრძა განსაეალსა მისსა“ S—1141,509. იხ. ღჳძლი.

გულჩრჩლ-ი გულჩვილი: „ეიქმნეთ ჩუენ მოწყალე, სახიერ და გულჩრჩლ ყოველსა ზედა მწუხარეთა და ჭირვეულთა“ მ. სწ. 54,22. იხ. ჩრჩლი.

გულძჳრ-ი ბოროტი, ცუდი, აეი: „გულძჳრ რაჲმე იყოს შენთჳს“ მთ. 5,28. იხ. ძჳრი.

[გულძჳრება] იხ. მოგულძჳრება.

გულძჳრობა ბოროტება, სიაეე: „რომელსა მტერი ესუას და გულძჳრობაჲ ეპყრას გულსა შინა თჳსსა“ მ. სწ 27,19. იხ. ძჳრება/ძჳრობა; შდრ. გულძჳრი.

გულწრფელება გულმართლობა: „არა ქმსახურებდ შენ უფალსა ღმრთისა შენსა სიხარელით და გულწრფელებით“ M, II შჯ. 28,47.

გულწყებულ-ი შეწუხებული, მწუხარე: „გულწყებულ იყო ნერონ ფრიად“ პეტრე მოც. 48,23. იხ. წყებული (წყება).

გუმერა, გმერა, გურემა «ქენება», კერა, ცემა: „ლახერითა უგემირა (უგმირა C) გეერდსა მისსა“ ი. 19,34; „მიგუმირა მე კეერთხითა მით სამგზის“ პოეზ. სტეფ. 658,19; „უკუეთუ მტერობით უგუმიროს (უკენოს pb.) მას“ G, რიცხ. 25,20; „უგუმირა გეერდსა მისსა“ O, II მფ. 8,27; „შეიპყრა იგი გურემაბან, და ტკივილისა მისგან განირთხა თავი თჳსი პირადმართ“ მ. ცხ. 2332.

გუმერილ-ი მოწყლული, დაჭრილი: „დაეცნენ... გუმერილნი გარეშე“ I, ეთერმ. 51,4. იხ. განგემერა, განგერემა, დაგუმერა, საგემერელი.

გუმიზ-ი იხ. გომიზი.

გუნ-ი იხ. გჳნი.

გუნდ-ი «ერი», «მმთავრობი», «მთავარი», «მწყობრი», დასი, ბანაკი, კრებული: „იუდა წარიყვანა მის თანა გუნდი ერთი“ C,—„იუდა წარიყვანა ერი“ DE, ე. 18,3; „გუნდი მისი მოიწინეს“ O,—„მმთავრობათა მისთანათა მიიმარჯუეს“ G, მნჯ. 9,44; „რომელი მოვალს ვითარცა გუნდი ბანაკთაჲ“ O,—„მომავალი ვითარცა მწყობრი ბანაკთაჲ“ pb., კებაზ. 12; „განყო სამასი იგი კაცი სამად გუნდად“ M,—„განყვნა სამასნი მამაკაცნი სამ მთავრებად“ G, მნჯ. 7,16; „იყო სპასალარი გუნდსა ზედა ერთსა ბანაკისასა“ გრი, 22; „იელტონ ყოველნი იგი გუნდი გარსკულავთაჲ“ ხ. გაბ.-მოცაქ. 91,22; „გამოჰნდეს გუნდნი ანგელოზთანი“ ფსკტ. 150,9; განყო ერი იგი სამად გუნდად“ I, I მფ. 11,11; „გუნდნი ანგელოზთანი და კრებული ძალთა ზეკათა შინა... თაყუანისცემენ“ მ. ნჯ. 100,27. იხ. თანაგუნდი.

გუნდრუკ-ი საკმეელი, thus: „მოართუე მას ძღენი: ოქროჲ, გუნდრუკი და მური“ მთ. 2,11; „გუნდრუკსა შესწირვიდენ შენდა“ I, ეს. 60,6.

[გურა] იხ. აღმოგურა, გამოგურა, მიგურა, მოგურა, წარგურა.

გურდემლ-ი გრდემლი: „ჰგიეს იგი ეითარცა გურდემლი განუკეთელი“ O, იობ 41,15; „უბრძანა მიღებად გურდემლი მჭედელთაჲ საყოობილესა მას“ ანდ.-ანატ. 224,14.

გურემა იხ. გუმერა.

გურინვა იხ. მგურინაჲ.

გურიობა «დაძრომა», «შუება»; მოვლა, მოტარება: „ყამ რაჲდენმე გარე გურიობ“ O,—„ყამსა რომელსამე გარე დაძრებინ“ pb., ფს. ხოლ. 7,12; „მოიღე ქვარი, გურიობდ ქალაქი მეძავი“ O,—„მიიღე ქვარი, იშუებდ ქალაქი მეძავი“ G, ეს. 23,16; „აგურიობნა იგინი უდაბნოს ზედა ორმეოც წელ“ G, რიცხ. 32,13.

გურიობა აშლა, მიმოლეენება: „გურიობამან გულის-თქუმისამან ცეკლის გოზებაჲ უმანკოთაჲ“ M, სიბრძ. ხოლ. 4,12.

გურიტი: turlur: „მოცემდ შესაწირავი... ორნი გურიტნი ანუ ორნი მართუენი ტრედისანი“ ლ. 2,24; „ქმაჲ გურიტისაჲ ისმა ქეეყანასა ჩუენსა“ O, ქებ. 2,12; „გურიტმან და მერცხალმან და მჭურინავმან და ეელისა სირთა დაისწაელნეს ჟამნი მოსლვისა მათისანი“ I, იერემ. 8,7.

გურკა კურკა; კურკლი: „ჰამდა ბერი დღითი-დღე გურკასა ბაიავსასა ათორმეტსა“ მ. ცხ. 1095; „პოეა ბურმან გურკაჲ აკლპისაჲ“ მ. ცხ. 3627.

გურკნვა მოხვევა, მოფერება, ჩახუტება: „არა რეცა გუშინ გიგურკნეედი შენ მკერდი ჩემი ზედაჲ“ ფსკტ. 142,16.

გუს- იხ. შეგუს-.

გუშაგ-ი მზერაჲ, თვალყურის მადეენებელი: „გუშაგნი წარაელინა დავით ხილად, თე ჰეშმარიტად მოსრეე არსა-ძი“ O. I მფ. 26,4.

გუშინ: -გუშინ მეშჯდს- ჟამსა დაუტევა იგი სიცხემან“ ი. 4,52; „გუშინ და ძეუეა“ M, I მფ. 4,7; „გუშინ და ძოლან“ M. I ნშტ. 11,2. იხ. გუშინდელი, გუშინდითგან.

ეუშინდელ-ი: „გეშინდელი დღე, რომელ წარეწდა“ ფხ. 89,4; „გუშინდელი იგი სიტყუაჲ თეალსაცა გეამისასა სანთლად იტყოდა“ ხ. გაბ.-მოც. ხაკნ 89,5; „არა მოიჯსენენ გუშინდელნი იგი კეთილნი“ ფსკტ. 150,9. იხ. გუშინ.

გუშინდითგან გუშინდლიდან: „გუშინდითგან და ძეუანდითგან“ O. გამოსლ. 21,29; „გუშინდითგან“ გამოსლ. 4,10. იხ. გუშინ.

გუჯარ-ი წიგნი, დაწერილი: „საგანძერისა გუჯარნი“ ქ. ცხ. 194,12; „იყო გუჯარი დაწერილი ტაძრისა შინა და რაჟამს მღდელი ვინმე დაიგონიან და დაწერიან სახელი მისი“ მრთ. C. პავ. თეპ. 221.

[გჯან] იხ. დაგჯანება.

გჯან-ი «მცხუედი»: „შეწყნარებელ მისა, ვითარცა ღრუბელი გჯანი“ pb.,—„რომელნი სათნო არიან მისა, ვითარცა ღრუბელი მცხუედი“ O, ფს. ხოლ. 16,15.

გჯანად გვიან: „გჯანად ირწმენე (სიტყუაჲ), მალიად სარწმენო იყაე“ მ. ცხ. 2357.

გჯვის იხ. ვ.

გჯნ-ი, გუნ-ი სიყვითლე (სენი): „დაგსცნე თქენ მჯერკალებითა და გჯნითა“ O. ამოს. 4,9; „გჯეჯმოს... გუმითა ხორშაკისაჲთა, გჯნითა და დანდალეკითა“ M, II შჯ. 28,22.

გჯრგჯნ-ი გვირგვინი; «არდაბაგი», მოაჯირი: „შეთხზეს გჯრგჯნი ეკალთაგან“ მთ. 27,29; „გჯრგჯნი ედგა ოქროჲსაჲ და შარაენდედი იყო ზეხისაჲ და ძოუელისაჲ“ O, ეზთ. 8,15; „გჯრგჯნი მოალ დიდმან თუედოს“ ნრხ. 73,13; „უკმნე გჯრგჯნი სართლსა შენსა“ G,—„არდაბაგი გარეშოს მისა მოკმენ“ pb., II შჯ. 22,3. იხ. გჯრგჯნოსანი, გჯრგჯნოსან ქმნა/ყოფა.

გჯრგჯნის-თანამოდგამ-ი მეფის მოადგილე: „მეორეთა მათ გუნდთა გჯრგჯნის-თანამოდგამ ეყაე“ მნჯ. 80,8. იხ. თანამოდგამი.

გჯრგჯნის-მომცემელ-ი გვირგვინის მომნიჭებელი: „გჯრგჯნის-მომცემელი იგი მძლეთაჲ“ კ. ბერ.-მარტკლ. 180,26. იხ. მომცემელი.

გჯრგჯნოსან-ი გვირგვინის მატარებელი: „ცათა შინა წინაშე მაღლისა გჯრგჯნოსან იქმნეს“ მ. ცხ. 1201. იხ. გჯრგჯნი.

გჯრგჯნოსან ქმნა/ყოფა გვირგვინით შემკობა: „არა

გკრგკნისან იქმნების" II ტიმ. 2,5; „დიდებითა და პატიოთა გკრგკნისან ჰყავ იგი" ფს. 8,6; „რომელმან უთმინონი იგი მოთმინებითა გკრგკნისან ჰყუენ" ვარ. 509. იხ. ქნა, ყოფა.

გძილ-ი «ძვიდე», «გისოსი»: »გძილი მისი გარშოგს-გარეშე მრგუალად ზოგი წყრთისაგ" O,—„ძგიდე მისი და მოგარეებული მისი გარემო კერძო წყრთისა" pb., ეზეკ. 42,17; «ცოდ ერთ იყო გძილი ბაკად გამოთლილი შინაგან გარემოგს" O,—„გისოსი გოჯეულსა ქქონებელი გამოთლილსა შინაგან მრგულივ" pb., ეზეკ. 40,43; »გძილსა ეზოსა ერთისასა ერთ კერძო შესაკინძველად" გამოსლ. 26,9.

გძლაბ-ი იხ. გრძლაბი.

დ

დონ, ქართული ანბანის მეოთხე ასო, რიცხვითი მნიშვნელობა—4.

დ-ჯერ: »მკორედ პარკად" DE, მთ. 23,42.

და და (კავშ.); რათა (კავშ.): „მომიპყრ და ვეპამო"- ია. რომ.-ქართხ. იხაკ-იაკ. 12,6.

-და (ნაწილაკი): „რომელთა აღრიცხეაგ კნინლა-და შეუძლებელ არს" ი.-ე. 28,33.

-და თან; -თჳს, მომართ/მიმართ: „ღალდებაგ ჩემი შენდა შეჯდინ" ფს. 101,2; „ძმის-წული ჩემი ჩემდა და მე მისდა" O. ქება 2,16; „გამოვედით ჩემდა" O, IV მფ. 18,31; „არა იწყებეთ მოსლვად ჩევნდა" მსკ. 40,14.

და (დისა) და: „დაგ მისი ვარ" დაბ. 2,18; „დანი მაგისნი ყოველნი ჩუენ თანა არიან" DE, მრ. 6,8. იხ. დედდა, მამდა, ცოლის-და.

დაახლება დაახლოება, მიახლოება: »უკუეთუ ვინმე დააახლნეს საცხოვარნი თჳსნი ყანობირსა" ხალ. 61,10; „ნუეკეი დაეახლები მათ, ნუცა შეეხები მათ" მ. ცხ. 20ვ. იხ. ახლება.

დაბა «აგარაკი», სოფელი, უანა: „უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა (აგარაკებსა C)" DE, მრ. 6,14; „მოპელიდა... ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა" მთ. 9,35; „თაგდი ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად" ლ. 8,1; „მოზღუდეს დაბნები მათი" O, იგდ. 4,4; „მო-რაგა-ვიდოდეს დაბასა" მრ. 18,12; „შეუდგნ მათ... დაბით-დაბად" Sin.—11,94ვ. იხ. დაბუები, მდაბიო, მდაბიონი, მდაბიური, მდაბერი. შდრ. ედაბნო.

დაბა-გ ხისხლისა-გ «აკელდამა» (იხ.)

დაბადება «დაფუძნება», დამყარება, შექმნა, ქმნა, შობა: „რომელ შენ დაჰბადე" Ქ,—„რომელ შენ დაფუძნენ" Ქ. ფს. 8,4; „ადამ პირველად დაიბადა და მერმე ევა" I ტიმ. 2,13; „დაჰბადე იგი და შეექმენ იგი" I. ეს. 43,7; „ვიდრე მთანი არღა დაბადებულ იყუნეს" ფს. 89,2; „რომელმან დაჰბადნა ცანი და კეუყანაგ" M, დაბ. 14,19.

დაბადება «დასაბამი», ქმნილება; ბიბლია: »დაბადებითგან სოფლისაგთ" C,—„დასაბამითგან სოფლისაგთ" DE. მთ. 25,34; „დასაბამითგან დაბადებისაგთ" მრ. 10,6; „დღითი-დღედ ვიკითხავ დაბადებასა" მ. სწ. 259,21.

დაბადებულ-ი ქმნილი; შობილი: „მაბარენ ჩუენ დაბადებულითა შენითა" ფს. 91,5; „აღიცხო ქეყანაგ დაბადებულითა შენითა" ფს. 103,24; „ესე ყოველი სარგებელისაჲს კაცთაგს დაბადებულ არს" მ. სწ. 89,27. იხ. ბადება; შდრ. პირველ-დაბადებული.

დაბადებულობა შექმნილება: „ნუ შეურაცხ-ჰყოფ ღმრთისა დაბადებულობითა შენითა მის მიერ" მ. სწ. 9,31. იხ. დაბადებული (დაბადება).

დაბალ-ი იხ. სიდაბლე.

დაბანა «მობანა», «განბანა», მონათვლა: „დაიბანე საბანელსა მას სილოამისასა" DE,—„მოიბანე ემბაზსა მას სილოამს" C, ი. 9,7; „დაბანნა იგინი ნაგუემისაგან" Ქ.—„განბანნა იგინი ნაგუემითა" Ქ, საქ. მოც. 10,33; „დაიბანენ ფერჴნი ჩემნი" O, ქება 5,3; „დაჰბანენ ფერჴნი მისნი მტუერისაგან" მ. სწ. 178,32. იხ. ბანა.

დაბანაკება დადგომა, განლაგება: „დაიბანაკა უდაბნოსა მას" დაბ. 12,8; „დაებანაკა იორსა ზედა" ჯ. ცხ. 50,10.

დაბანაკებულ-ი «დავანებული», დადგომილი: „იხილა ბანაკი ღმრთისაჲ დაბანაკებული" დაბ. 32,1; „დაბანაკებულ იყუნეს ღელესა მას შინა" M,—„დაეანებულნი ღელესა შინა" G, მსკ. 7,12. იხ. ბანაკი.

დაბა-ქალაქ-ი «დაბნები და ქალაქები»: „მიეიდეთ... დაბა-ქალაქთა" C,—„წარეიდეთ... დაბნებსა და ქალაქებსა" DE. მრ. 1,38. იხ. ქალაქი; შდრ. დაბნები.

დაბგერება «ბგერა», დგრიალი, ფეხის ხმა: „დაიბგერენ ფერჴითა და თქუ: ვაშა!" O,—„და იბგერენ ფერჴითა და თქუ: ვაშა, ვაშა!" pb., ეზეკ. 6,11.

დაბებკულ-ი «განკაფული», დაგლეჯილი, დაფლეთილი, დაკონკილი: „სანდალნი მათნი დაძეულებულ და დაბებკულ იყუნეს ფერჴთა ზედა მათთა" M,—„სანდალნი მათნი ძეულნი, განკაფულნი ფერჴთა ზედა მათთა" G, იხუ ნ. 8,5; „სამოსელი ჩუენი არს ძეული, დაბებკული, ნაგეთაგან შეურებული" ხალ. 88,18; „არა გემოსოს ძონძი დაბებკული ჟამსა მიგებისასა" მ. სწ. 290,20. იხ. ბებკელი (ბებკა).

დაბერება მოხუცება: „რაჟამს დაჰბერდე" ი. 21,18; „მე დავბერდი და გარდაჰკჳედ დღეთა" GM, იხუ ნ. 28,2; „დაბერდა იოდაე, სავსე დღითა" M, II ნშტ. 24,15; „რომელი ჰაბუკა არა დაბერდა" მ. სწ. 3,21. „მე დაბერებულ ვარ" O, I მფ. 12,2; „მშობელნი ეგე დაბერებულ არიან და სცთებიან" ფსკ. 120,6; „დაბერებულსა ამას სოფელსა... გამოუჩნდა ძუ იგი" ია. რომ.-ქართხ. იხაკ და იაკ. 104,1; „მოხუცებულ ვარ და დაბერებულ" მ. სწ. 204,31.

დაბერვა «დანესტუა», «ყურება», ჩაბერვა, დაყურება: „დაჰბერო ნესტესა" M, — „დაჰნესტუა რჩისასა" G, მსკ. 7,18; „იყოს ვითარცა დაჰბეროთ ნესტუსა მას, მოადგეთ ქალაქსა მას ყოველნი მბრძოლნი" M,—„იყოს, ვითარცა აყურნეთ საყურნი, აღღაღატყაენ ყოველმან ერმან თანად" G, იხუ ნ. 6,8; „დაჰბერეთ ნესტუსა ახალ

სა თავსა თუეთასა" ფს. 80,4; „დაჰბერონ საყურსა მას დიდსა" I, ეს. 27,12. იხ. ბერვა.

დაბეჭდვა ბეჭდის დასმა, გამოსახეა, დაწერა: „დაბეჭდეს ლოდსა მას დასისა მის თანა" C, მთ. 27,66; „დაჰბეჭდე ბეჭდითა შენითა" O, დან. 12,18; „დავწერე წიგნსა შინა და დავჰბეჭდე" O, იერემ. 32,10; „მისცეს მას საფიცი მტკიცე და დაუბეჭდოს მძივითა მით..., რაჲთა უშიშად მოვიდეს მისა" მ. სწ. 294,4; „დაჰბეჭდა მას ჯუარი სამჯერ" ი. მოც. 62,14.

დაბეჭდვინება ბეჭდის დასმევინება: „დავაწერე ქარტაჲ და დავაბეჭდიე" მ. ცხ. 420г. იხ. დაბეჭდვა.

დაბეჭდულ-ი, დაბეჭდილ-ი ბეჭედდასმული; «დაკრძალული»: „ვერ ძალ-მიც აღმოჩინთვად, რამეთუ დაბეჭდულ არს" I, ეს. 20,11; „ვითარცა სიტყუანი წიგნისა დაბეჭდულისანი" I, ეს. 20,11; „ოქროჲ და ვეცხლი დაბეჭდული ძუს სახლსა შინა ჩემსა" H—341,730; „იხილეს კარი... დაბეჭდილი (დაკრძალული—var.)" თეოდრ. 568. იხ. ბეჭედი.

დაბზარვა იხ. დაბძარვა.

დაბირ-ი, დაბირამ-ი საღვთო მცნების წარმოსათქმელი ადგილი ტაძარში: „პირისპირ დაბირისა" III შფ. 7,49; „ქმნა... სერსეროთი დაბირამს" M, II 57ტ. 8,10.

დაბმა დაბმა; გადგმა, მოკიდება; დაწყება; «განბმა»: „დააბა საკედარი თჳსი" თეოდრ. 558; „დაიბენ ძირნი ჭეშ კერძო" O,—„განიბან ძირი ჭეშ" pb., ეს. 27,31; „ძირნი მი'ნი დაიბნა ღრმიად" თომა მოც. 18,24; „დაეაბათ აწ ძალთა ღმრთისაჲთა" ათ. მრთ. 230г. „ვირი დაბმული" მთ. 21,2; „ცხენნი ხოლო დაბმულნი" O, IV შფ. 7,10. იხ. ბმა; ძირდაბმელ-.

დაბნებ-ი სოფლები, მხარენი: „დაადგინნა მეფემან დაბნებისა მთავარნი ყოველსა სოფელსა" ეს. 2,8; „წარვიდეთ... დაბნებსა და ქალაქებსა" DE,—„მივიდეთ... დაბა-ქალაქთა" C, მრ. 1,38. შდრ. დაბა.

დაბნევა «დაგდება», დაცემა, გაბნევა, გაფანტვა, «დატეხება»: „დააბნია ვეცხლი იგი" DE,—„დააგდო ვეცხლი იგი" მთ. 27,5; „დააბნია სამოსელი თჳსი" DE,—„დააგდო ფიჩ თჳსი" მრ. 10,50; „საუუდრეს... არს მჴედარი, რაჟამს თაჲთ თჳსით ჩუენად დაბნიის შიშისაგან საკურველი თჳსი" მ. სწ. 103,20; „მოაწინის მწუხარებანი, რაჲთა დაბნიოს გონებაჲ" მ. სწ. 74,14; „დააბნია სამოსელი თჳსი მათ წინაშე" A,—„დაუტევა სამოსელი თჳსი მათ თანა" B, სბსტ. 188,22.

დაბნევა დაფანტვა: „მაჯანად არა ჯერ-არს დაბნეულ საკმართაჲ" მ. ცხ. 40v. იხ. ბნევა.

დაბნელება დაესება, «შერიყუნება»: „მზე დაბნელდეს" მთ. 24,29; „ბნელი შენ შიერ არა დაბნელდეს" ფს. 138,12; „დაუბნელდენ თუალნი მათნი, რაჲთა არა ჰხედვიენ" მრთ. 11,10; „დაბნელდი შესულებითა" I, იერემ. 8,21; „ცაჲ დაბნელდა ღრუბლითა" III შფ. 18,45; „დღე დამედ დაბნელოს" O, ამოს. 5,8; „აჰა დაბნელდა" C,—„შეიდნ-რიეუნებოდა" DE ა. 6,17.

დაბნელებულ-ი დაესებული; უსინათლო; ბნელი: „დაბნელებული ესე სოფელი განანათლე" ფლკტ. 141,28; „დაბნელებულ და შესულებულ თავნი მათნი არიედ მრავლითა მით უგუნურებითა" ოქრ.-მარხ. და ათონ. 110,20; „რაჲთა დაგუ.მორჩილნეს ჩუენ თჳსსა მას დაბნელებულსა განზრახებასა" ათ. 90,14.

დაბორკილებულ-ი «შებორკილებული»: „შეეყიდინ შენ წინაშე სულ-თქუმაჲ დაბორკილებულთაჲ (შებორკილებელთაჲ ქ)" C, ფს. 78,11. იხ. ბორკილი.

დაბრკოლება, დაბრკოლება «დაყდუნება», «წიწვა», «ცთუნება», «ბრკუმა», ხელის შეშლა, შეფერხება, შეცთენა, შეჩერება, დახეეა უკან; «საფრჩეებაჲ»: „გამოსრულ ვარ დაბრკოლებად შენდა" pb.,—„მოსრულ ვარ დაყდუნებად შენდა" G, რიფს. 22,32; „რომელმან დაბრკოლოს ერთი" DE.—„რომელმან აცთუნოს ერთი" C, მრ. 9,42; „ნუცა დაბრკოლდები პირისაგან მათისა" M,—„ნუცა იწიწვი პირისაგან მათისა" G, II შჯ. 31,6; „დამაბრკოლნა ჩუენ სატანა" I თეს. 2,18; „დაბრკოლებდეს შენებისა მისგან" I, II ეზრა 4,4; „არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ" ლ. 7,28; „არა დაბრკოლნეთ ოვინი" მთ. 17,27; „დაბრკოლნა იგინი ზრახვისა მისგან" სჯ. მოც. 27,43; „ვინ დაგაბრკოლნა თქუენ ჭეშმარიტებისა: არა მორჩილებად" გალატ. 5,7; „მე დავაბრკოლნე დამკჳდრებულნი ამის ქუეყანისანი პირითა" O,—„მე უსაფრჩეებ დამკჳდრებულთა ქუეყანისა ამისთა" pb., იერემ. 10,18; „ნეტარ არს კაცი, რომელი არა დაბრკოლდეს პირითა თჳსითა" pb., — „ნეტარ არს კაცი, რომელსაცა არა უბრკუმა ენითა თჳსითა" O, ზირ. 14,1.

დაბრკოლება შეფერხება, ხელის შეშლა: „ქელმწიფებაჲ ეგე თჳეუნი დაბრკოლება ექმნეს უძლურთა მათ" I კორ. 8,9; „შებრკოლდეს იგინი ლოდსა მას დაბრკოლებისასა" ბრთმ. 9,32.

დაბრკოლებულ-ი დაკლებული: „დაბრკოლებულ არიან დიდებასა ღმრთისასა" ბრთმ. 3,23. იხ. ბრკოლება.

დაბრმობა დაბრმავება: „რომელნი ხედვიდეს, დაბრმნენ" C, ი. 9,39; „ნუმცა დაბრმდებიან გულსანი თუალთა ჩუენთანი" რიფს. 164,24; „ჴრთმმან დაბრმნის თუალნი მხედველთანი" O, გამოსლ. 23,8; „დაუბრმნა გონებანი ურწმუნოთანი" II კორ. 4,4; „სიყუარულეა სოფლისაჲ ამის დაბრმობს კაცსა და ვერ შემძლებელ არს ბილვად შეუნიერებასა" მ. სწ. 102,30. „გგუემოს... დაბრმობითა გონებისაჲთა" pb., II შჯ. 28,28.

დაბრმობილ-ი შესლბობილი, გაბეცებული: „დაბრმობილნი გულნი გჳონან" მრ. 8,17. იხ. ბრმობა.

დაბრყჳლება თვალის სინათლის მოკლება; დაბლაგვება: „დაუბრყჳლდეს თუალნი მისნი ხედვად" O, დან. 27,1; „მისგან დაბრყჳლდიან (თუალნი) და ვერ შეუძლიან ხილვად" მ. სწ. 193,34; „მახჳლნი ჩუენნი დაბრყჳლდეს" რიფს. 100,19.

დაბრყჳლებულ-ი სინათლე დაკლებული: „მსგავს არიან იგინი თუალთა დაბრყჳლებულთა, რომელნი ვერ შემძლებელ არიედ ხილვად ბრწყინვალებასა მზისასა" მ. სწ. 154,6.

დაბრჯგუელება: „დაბრჯგუელდეს ჩემნი საწერტელნი" Ath.—11,210г. იხ. [ბრჯგუელება].

დაბუდება «დამკჳდრება», დადგომა: „მფრინველთა ცი-

სათ დაიბუდეს (დაიჭედრეს C) რტოთა მისთა“ ლ. 13,19; „ჴოლო მისთ ზედა დაიბუდეს ყოველთა შფრინველთა“ O, ეზეკ. 31,6; „დაიბუდის თაგუსაჲ მათ შინა“ Sin.—11,89г. „ყველაზე ტალაკრებითა უდაბნოსა დაბუდებულ“ ოქრ.-მარხ. და ოთ. 101,14.

დაბუნაგება დაბინავება: „დაიბუნაგეს მთასა გარე (ავაზაკთა)“ მ. სწ. 292,1.

დაბურვა «დახურვა», «დაფარვა», შებურვა, აფარება, შეხვევა; «გარდართუება», «გარდართება»: „დაჰბურეს თავსა და ჰგულებდეს მას“ ლ. 22,64; „დაბურდინ მით კერძობაჲ წესებისაჲ“ G. რიცხ. 4,3; „დაბურონ იგი საბურველითა ტყავისაჲთა“ G,—„დაფარონ იგი საბურველითა ტყავთა“ pb.. რიცხ. 4,8; „დაიბურა პირი თჳსი“ ფილმ. 292v; „ესენი დაბურვიდეს მათ და დაიდგენდეს“ pb.,—„მათ გარდართუეს (გარდაჰრთჳს O) და გაწყვეს იგი“ OI, ნეჰმ. 3,3.

დაბურვა დახურვა: „მამაკაცისაჲ არაჲ ჴერ-არს დაბურვაჲ თავისაჲ“ I კორ. 11,7.

დაბურვილ-ი «მობურვილი», მოხურული: „იყო იგი დაბურვილ“ O,—„იყო იგი მობურვილ“ G, დან. 13,32. იხ. ბურვა.

დაბუშება, დაბუშუება «დაწნა», მოდუნება; გაშეშება; დაბუქება: „დაიბუშა ჴრცელი ბარკლისა იაკობისი“ O, დან. 32,23; „სიჴოაულე ძეალთა მისთა დაიბუშუა (დაწნა pb.)“ O, ოთხ 33,19. იხ. ბუშება, ბუშუება.

დაბნელულ-ი შესვრილი: „დაბნელულ იყუნეს წჳმედათა მათ სისხლითა“ ანდ.-ანატ. 227,9. იხ. ბნელება.

დაბძარვა, დაბზარვა «ჩამოპება», გახეთქა, დახევა: „თხრიენი... დაიბძარნეს“ G, იხუ ნ. 9,13; „დაიბძარნა იისუპან სამოსელნი თჳსნი“ G,—„ჩამოიპო ისო სამოსელი თჳსი“ M, იხუ ნ. 7,6; „ჴორცნი მათნი დაიბზარნეს... გუეშთია“ Sin.—11,124г.

დაბძარვა დაბზარვა, დახეთქა: „ბრძანა... ზროხისა ძარღჳთა უბელეთა დაბძარვაჲ ბეჭთა მისთაჲ“ მ. ცხ. 177v.

ლაბძარულ-ი დამსკდარი, გაპობილი: „ეჩუენნა ჴორცნი დაჭრილნი და დაბძარულნი“ მ. ცხ. 168v. იხ. ბძარვა.

დაგდება «დაბნევა», «დატეება», «განგდება», მიტოვება, «დაცადება»: „დაადგო ვეცხლი იგი“ C, —„დააბნია ვეცხლი იგი“ DE, მთ. 27,6; „არა დაგაგდოს შენ“ M, — „არა დაგიტეოს შენ“ G, II მჴ. 4,21; „ნუ დამაგდებ მე“ Ქ, — „ნუ განმაგდებ მე“ Ⴑ ფხ. 37,22; „დაადგო იგი ჭეუყანასა ზედა“ pb.,—„დასცა იგი ჭეუყანად“ O, დან. 8,7; „რომელმან არა დამიგდე მე. მჴევლი ესე შენი“ ფლკტ. 140,22; „საწუთროჲ ესე დაგიგდებს“, ბალ. 96,15; „დაეაგდე სამკჳდრებელი ჩემი“ pb..—„დაეაცადე სამკჳდრებელი ჩემი“ O, იერემ. 12,7.

დაგდება «დამშჳილება», დახურვა, დახშვა: „დაუგდნა (კარნი)“ G,—„დაშჳეღნა (კარნი)“ M, მხ. 3,26. იხ. გდება.

დაგდებულ-ი «დაცკვნებული», გაგდებული, შეურაცხყოფილი: „ჴუენ დაგდებულ გზათა ზედა“ O.—„იყო დაცკვნებულ საზარცთა ზედა“ G, იერემ. 14,14; „არა ვიხილე მართალი დაგდებულ“ ფხ. 36,25; „პოვეს მკუდარი დაგდებული გზასა ზედა“ მ. ცხ. 382г. იხ. გდება.

დაგება «შთადება», ჩაგება; დადება, გაშლა, დაფენა, «დაჯდომა»: „დააგო ღანკლასა ზედა“ M,—„შთადვა კალათსა“ G, მხ. 6,19; „დააგენ მხჳლნი ქარქაშთა მათთა“ მ. სწ. 60,14; „არაჲ მაქუს, რაჲ დაუგო მას“ ლ. 11,6; „დაუგო მათ ტაბლაჲ“ ხაჭ. მოც. 10,24; „დაუგეს სარეცელი ერდოსა ზედა და დაწუა“ O, I მფ. 9,25; „რომელმან დაუგოს მახჳ“ O, ზირ. 27,29; „სამსჯაროჲ დაეგო და წიგნნი განეხუნეს“ O,—„სამსჯაროჲ დაჯდა და წიგნნი განეხუნეს“ G, დან. 7,10.

დაგება შერიგება: „დაეგე ძმასა შენსა“ მთ. 5,24; „დამაგნა ჩუენ თჳსა თჳსსა ქრისტჱს მიერ“ II კორ. 6,18; „მრავალთა ლაღულთა დაგებ“ მრთ. A, ანტ. დ. 201. „გინებისაჲ არს დაგებაჲ“ G, ზირ. 27,23; „დაგებაჲ ესე მოვიღეთ“ მროშ. 5,11. იხ. გება.

დაგება მიქცევა, მიმართვა: „დაგებდა მას მშჯობად“ ხაჭ. მოც. 7,20. იხ. გება.

დაგება მიგება, მიზღვა: „ანუ თუ მისა დავაგე მე ბოროტი მათ, რომელთა მომაგეს მე ბოროტი“ ფხ. 7,5. იხ. გება.

დაგება შეწირვა: „დაეგე მათ“ ბად. 45,24. იხ. გება.

დაგებულ-ი დადებული, მორთული, გაშლილი; «გარდაგებული»: „მას ზედა დაგებული შეურაცხ-ჰყავთ“ O, მალ. 1,7; „დაჰშჳდი ცხედარსა ზედა დაგებულსა (გარდაგებულსა G)“ O, ეზეკ. 28,41; „მან გიჩუენოს თქუენ ჭორი დიდი, დაგებული“ მრ. 14,15. იხ. გება, წინა-დაგება.

დაგებულ-ი იხ. წინა-დაგებული.

დაგესლება დაჟანგება: „ნუ დაგესლდების იგი ქუათა თანა წარსაწყმედელად“ O, ზირ. 29,18. „ოქროჲ თქუენი და ვეცხლი თქუენი დაგესლებულ არს“ იაკ. 5,3; „ჴურკელი რაჲმე დაგესლებული დალეთუ მრავალ-გზის განპრცხა წყლითა, გესლი იგი არავე განეყარის მისგან“ მ. სწ. 48,17.

დაგვა იხ. სადაგავი, სადაგველი.

დაგლა დანაყვა, დამსხვრევა, შემუსრა; «მოგლა»: „დაეგლნე იგინი და არღარა აღემართნენ“ O, II მფ. 22, 39; „რომელი ურწმუნოთა მათ ნათესავთა შეტყუებით დაჰგლის“ აპ. რომ.-კურთხ. მოს. 174,3; „დაგალე და იცხე“ pb.,—„მოგალე და დაიდევ წყლულებასა შენსა“ I, ეს. 38,21.

დაგლახაკება გაღატაკება, გაუბადრუკება, დაჩაგვრა, «დამდაბლება»: „მდიდარნი დაგლახაკდეს, შეეშინა“ ფხ. 33,11; „დაეგლახაკნე დაკიპარო“ O, იგ. ხოლ. 30,9; „უფალმან დაგლახაკის, განამდიდრის“ O, I მფ. 2,7; „რომელთა დაგლახაკნეს იგინი ფრიად“ O, ნეჰმ. 9,29; „ეთარ დაეგლახაკენით“ I, იერემ. 8,19; „დაჰგლახაკნე მკჳდრობისაგან შენისა“ O,—„დაჰმდაბლდე სამკჳდრებულისაგან შენისა“ pb., იერემ. 17,4.

დაგლახაკებულ-ი ღატაკი, გაჭირვებული, «მდაბალი»: „შეურაცხ და დაგლახაკებულ ვართ ქრისტჱსთჳს“ ფლკტ. 138,87; „დაგლახაკებულ ვართ ყოველსა ქუეყანასა ზედა“ O,—„ვართ მდაბალი ყოველსა შორის ქუეყანასა“ G, დან. 3,37. იხ. გლახაკება.

დაგლეჯა «მოგლეჯა»: „უკეთეთ რაჲმე მოჰკლის მტერისა მიერ... წუერთა დაგლეჯაჲ, გინა მიმთხუეაჲ“ ო.-ე. 35,33. იხ. გლეჯა.

დაგმობა მოძულება, ყვედრება (საყვედურის თქმა): „დაგმე ამაოჱაჲ საწუთროჲსაჲ“ ჱ. ცხ. 88r; „დაჰგმო თავსა თჳსსა“ ჱ. ცხ. 290v. იხ. გმობა.

დაგოზილ-ი გლესილი, დაწებებული: „მოგუართეეს... თჳთო საწყაული ზეთი ჰერწლითა, დაგოზილი ცარცითა“ ჱ. ცხ. 109v. იხ. გოზა.

დაგრილება ჩრდილის მოფენა, გაგრილება: „დაგრილეს მაღნართაცა ყოველთა ხეჲა სულნელთა“ ბარ. 5,8; „დაჲაგრილეთ ხესა ქეშე“ დაბ. 18,4; „ღრუბელმან... დაჲაგრილა მათ“ ჱთ. 17,5; „მიეიდა ხესა ქეშე, რაჲთამცა დაიგრილა“ H—241,420.

დაგრკილულ-ი «დამღილული», ჭიანაჭამი: „პური მათი საგზალი, ჭელი და დაგრკილული და დაჭმული“ G,— „პური საგზლისა მათისაჲ განჴმელ იყო და დამღილულ“ M, იხუ 6. 0,5. იხ. [გრკილი].

დაგუბება: „დაყონ მდინარჱ იგი, რომელი შესდიოდა ქალაქსა და დაჲაგუბონ იგი“ S—1141,511. იხ. [გუბება].

დაგუემა დაცემა, დარტყმა, დანარცხება: „რაჟამს-იგი არა დაჲგუემნ მოძმესა მას თჳსსა ჭეუყანასა“ ბ. კეს.-იქუხ. დღ. 61,7. იხ. გუემა.

დაგულება შენახვა: „დაიგულეს სიმარჯუესა მათსა მრავალგან“ ჭ. ცხ. 30,10. იხ. გულება.

დაგუმერა «განგუმერა», «წერტა», «დაწერტა», დაჩხვლეტა, დაკოდვა: „დაგუმირნა ორნივე იგი, კაცი იგი ისრაჱლელი“ Fr,—„განგუმირნა ორნივე ისრაჱლელი კაცი“ G, რიცხ. 25,8; „მკჳდრნი გაზჱრისნი დაგუმირნა“ M,— „დამკჳდრებულთა ღაზჱრისათა უწერტა“ G. იხუ 5. 16,10; „დაგუმირეს იგი სართმებითა მით- თომა მოც. 19,35; „დაჲგუმერდი მათ მახჳლითა“ O, — „დაწერტნენ იგინი მახჳლითა“ pb., იერემ. 28,17. იხ. გუმერა.

დაგჳანება დაყოვნება: „ნუ დაჲგჳანდები“ მარკ. 248.

დადარნება «დამალვა», «მზერა», საფარს ცხოვრება: „დაიდარნა ველსა შინა“ G.—„დაეშალა მათ“ M, მხ. 0,48; „დაიდარნეთ უკუანა კერძო ქალაქისა“ G,—„უმზირდით უკუანა ქალაქსა“ M, იხუ 5. 8,4; „დაიდარნოთ“ O, IV მფ. 6,6.

დადარ(ა)ნებულ-ი «მზირი», ჩასაფრებული: „დადარანებულნი იგი აღდგენ ადრე ადგილით მათით“ M,— „მზირნი აღდგედ მწრაფლ ადგილით მათით“ G, იხუ 5. 8,18; „იყოს დან ვითარცა გული, დადარანებული გზათა“ აპ. რომ.-კურთხ. მოხ. 182,17; „ნეუკუე მთათა ვიდრემდე განდგომილ ეყავ, ანუ კეეთა სადაჳე დადარნებულ“ Ath.—11,84v.

[დადარნეულება] იხ. დადარნება.

დადარნეულებულ-ი ჩასაფრებული: „გული დადარნეულებული გზასა ზედა ცემად ტერფთა ჰუნთასა“ აპ. რომ.-კურთხ. იხაკ და იაკ. 90,6.

დადგინება «წარმოდგინება», «დაჳანება», დაყენება, დაწესება, დანიშვნა: „დამიდგინოს მე აწ აქა უფროჲს ათორმეტი დასი ანგელოზთაჲ“ C,—„წარმომიდგინოს მე აქა უმრაველეს ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთა“ DE, მთ. 20,53; „არაჳინ იყო კაცი, რომელმანჳცა შეიყუანა იგი სახიდ და და-მცა-ადგინა“ M.—„არა მუნ კაცი შემკრებელი მათი სახიდ დაჳანებისათჳს“ G, მხ. 19,15; „დაადგინა იგი გოდოლსა ზედა მის ტაძრისასა“ მთ. 4,5; „დაადგინა იგი მთაერად ეგჳპტჱსა ზედა“ საქ. მოც. 7,10; „დაჲადგინენ ადგილსა თჳსსა“ O, ნეემ. 18,12; „დაგადგინენ თქუენ შეილად“ I. იერემ. 8,10; „მე დამადგინა თქუენდა მსაჯულად და განმგებელად“ ი.-ე. 30,6.

დადგინებულ-ი «ზედამდგომელი»: „მოუჴდეს მოსეს ყოველნი დადგინებულნი ათასის-თავებად“ G,—„მოვიდეს მოსესა ყოველნი ზედამდგომელნი ათასის-თავთა“ pb., რიცხ. 31,48. იხ. დგინება.

დადგმა «დადება», «წინა ყოფა», «დასხმა», «ა(ღ)დგმა»: „უკუეე დასდგა კლდესა შინა ბეღე შენი“ G,— „და-თუ-სდჳა კლდესა შინა ბეღჱ შენი“ pb., რიცხ. 24,21; „დაადგემდით ფერჴთა თქუენთა ქჳდთა ზედა მათთა“ M,—„დადგენით ფერჴნი თქუენნი ქჳდთა ზედა მათთა“ G, იხუ 6. 10,24; „დამიდგა ბადჱ ფერჴთა ჩემთა“ O, გოდ. იერემ. 1,13; „დაგიდგა თქუენ იგაი“ M,— „წინა-გიყო თქუენ წინა-ყოფაჲ“ G, მხ. 14,12; „ქუანი... დადგნა იისუმან“ G,—„ქუანი.. დასხნა ისო“ M, იხუ 6. 4,20; „დადგა იგი ქალაქსა თჳსსა“ M.—„აღდგა იგი ქალაქსა თჳსსა“ G, მხ. 8,27; „დაიდგნა მეჯლნი, ილოციდა“ ლ. 22,41; „ეითარცა სიძესა, დამადგა მე გჳრგჳნი“ ეს. 61,10;„სხჳა იგაი დაუდგა მათ“ მთ. 13,24; „დაიდგნეს საყდარნი სასჯელისანი“ ფს. 121,5. „მხიარულ არნ (მცონარი) ტაბლისა დადგმახა და წეხნ მარხჳისათჳს“ ჱ. სწ. 248,7.

დადგმულ-ი «დადგომილი», დადებული: „შეიპყრობდეს ვითარცა საბრჳ დადგმული, საესჳ მფრინველითა“ O.— „შეიპყრობდეს ვითარცა მახჳ დადგომილი, საესჳ მფრინველითა“ I, იერემ. 5,27. იხ. დგმა; შარაჳანდდადგმული.

დადგომა «დგომა», «დამტკიცება», «ფერჴის დაპყრობა», «დაშთომა», «დადგრომა», შედგომა, გაჩერება: „რაჟამს დასდგეთ თაჳუანის-ცემად“ C,—„რაჟამს ჰსდგეთ ლოცვასა შინა“ DE, მრ. 11,25; „განყოფილი თავსა ზედა თჳსსა ვერ დადგეს“ C,—„რომელი განეეთის თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცის“ DE, მთ. 12,25; „დადგა იესუ“ DE,—„ფერჴი დაიპყრა იესუ“ C, მრ. 10,49; „არა დაგიდგეს მათგანი არაჳინ წინაშე თქუენსა“ M,—„არა დაშთეს მათგანი არცა ერთი წინაშე თქუენსა“ G, იხუ 5. 10,8; „ვერღარა უძლონ დადგომად (დადგრომად C)“ Ч, ფს. 85,18; „ჩუენ არა დაჳდგებოდეთ“ ი.-ე, 50,2; „გზასა ცოდჳილთასა არა დადგა“ ფს. 1,1; „შილა და ტიმოთე მუნვე დადგეს“ საქ. მოც. 17,14; „დინებისაგან დადგეს“ ბ. კეხ.-40-თჳს 119,20; „მეისარი ვერ დაუდგეს“ O. ამოს 2,15; „დადგეს ღიახესა ზედა“ ჭ. ცხ. 60,4. „შეიძეს იგინი ფუნდუკსა ერთსა დადგომად მას შინა და განსუენებად სიცხისაგან“ ჱ. სწ. (?)

დადგომილ-ი «დადგმული», გაკუდებული: „შეიპყრობდეს ვითარცა მახჳ დადგომილი, საესჳ მფრინველითა“ I,— „შეიპყრობდეს ვითარცა საბრჳ დადგმული, საესჳ მფრინველითა“ O, იერემ. 5,27. იხ. დგომა; წინა-დადგომა.

დადგრომა, დადრგომა «ადგილ(ის)-პყრობა», «ყოფა», «დაყოფა», «დაყოვნება», «ლოდნა», «დაჳანება», «დასადგურება», «დაჯდომა», «დადგომა»; «დაძინება»: „დაღაადგრა ადგილსა მას, სადაცა იყო, ორ დღე“ DE,—„ად-

